

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

5/2024

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



5/2024

შვედარეზიტი სარეტილი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	დავით მაისურაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ნოტარიუსი რინარდ ბოკი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დოქ. არჩილ ჩოჩია
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი გონა ოყრეშიძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	დემეტრე ეგნატაშვილი
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ფრანკ ჰუპფელდი	რაჟდენ კუპრაშვილი
ხათუნა დიასამიძე	სულხან გველესიანი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	ნატალი გოგიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	ოსკარ ფონ კოსელი
	რაფაელ კნეერი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავშაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

სამოქალაქო სამართალი

ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა

პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა

გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი

7

უხეში გაუფრთხილებლობის ცოდნასთან გათანაბრება უძრავი ნივთის
კეთილსინდისიერად შექენისას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე)

ნატალი გოგიაშვილი

45

სტატიები

სისხლის სამართალი

დაუფლების, როგორც ქურდობის შემადგენლობით გათვალისწინებული

ქმედების განსაზღვრება სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტების

გათვალისწინებით

თემურ ცქიტიშვილი

57

სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „ჯარისკაცები
არიან მკვლელები“ (შაკინოვი)

72

ბლოგი

იუმორი და სამართალი

ლევან ნანობაშვილი

76

ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიის შემთხვევაში წვლილთა შენონა*

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ულრის ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

1. კონცეპტი და პრაქტიკული მიდგომა:

თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში (ავარიაში), რამდენიმე ავტომობილი მონაწილეობს, მათ მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შენონის მიხედვით, აუცილებლობის ძალით გულისხმობს, რომ, ზოგადად, ყველა მონაწილე პასუხისმგებელია ზიანზე.¹ ამასთან დაკავშირებით (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფში განვიხილავთ შემდეგ: „... თუ [ავარიაში] მონაწილე ავტომობილები მესამე პირის წინაშე კანონის ძალით არიან ვალდებული აუნაზღაურონ ზიანი.“

ამიტომაც, პირველი აზრობრივი მანიპულაცია უნდა იყოს, ყოველი პოტენციური მონაწილის მიმართ დელიქტური შემადგენლობის წინაპირობების შემოწმება, ანუ, უნდა დადგინდეს

მძღოლის პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისათვის (ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფით) ან პასუხისმგებლობა ნავარაუდები ბრალისათვის (კანონის მე-18 პარაგრაფი). რეალურად მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ის ავარიაში „მონაწილე“ და მხოლოდ ამის შემდეგ იხსნება გზა, ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონის მიხედვით, ამ პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. ამის შედეგია ის, რომ მძღოლი, რომელიც არ არის ამავდროულად ავტომობილის მფლობელი, თავიდანვე ვერ ჩაითვლება ამ შენონის პროცესის მონაწილედ, თუ ის თავად არ აგებს პასუხს გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მიხედვით ან ნავარაუდები ბრალისათვის (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-18 პარაგრაფის შესაბამისად. მას არ შეეარაჩება არც ავ-

* სტატია პირველად გამოქვეყნდა პროფ. ლადო ჭანტურას 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში (თბილისი, 2023).

¹ BGH, Urteil vom 17. November 2009 - VI ZR 64/08 - NJW 2010, 930, juris Rn. 13, für § 254 BGB; იხ.

ლიზინგით მიღებული ავტომობილის შემთხვევაში მფლობელის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 7 ff.; BGH, Urteil vom 7. Dezember 2010 - VI ZR 288/09 - BGHZ 187, 379, juris Rn. 6 ff.

ტომობილის მფლობელის მიერ ავარიაში შეტანილი კაუზალური წვლილი², გამომდინარე იქიდან, რომ პასუხისმგებლობის ერთიანობა (Haftungseinheit) მძღოლსა და ავტომობილის მფლობელს შორის (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, თავი: I. 2. და მომდევნო თავები), თავის ამოსავალ წინაპირობად მიითვლის, რომ ორივე პირი პასუხისმგებელია ზიანის დადგომისათვის.

თუმცა სასამართლო პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ამ ლოგიკურად წინმსწრები საფეხურის გამოტოვება ხდება, თუ ერთი მონაწილის კაუზალური წვლილი, წვლილთა შენონის ფარგლებში, გადანონის მეორე მონაწილის კაუზალურ წვლილს. მოცემულ სიტუაციაში საკითხი, საერთოდ აგებს თუ არა პოტენციური მონაწილე პასუხს, საბოლოო ჯამში, არარელევანტურია (და არ ახდენს ზეგავლენას გადაწყვეტილებაზე), რადგან ის კაუზალური წვლილი, რომელიც მას შეეარაცხება, შედეგის კუთხით, არ გამოიწვევდა მის წილობრივ პასუხისმგებლობას. ამიტომაც, ჩვეულებრივ, უფრო დამაჯერებელი და მარტივია, რომ ამ ტიპის პოტენციური მონაწილის მიმართ, ლოგიკურად წინმსწრები პასუხისმგებლობის საფუძვლის შემონახვა [საერთოდ აგებს თუ არა პასუხს] საერთოდ არ მოხდეს და მისი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უკუგდებულ იქნეს მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მისი (თუნდაც ჰიპოთეტური) წვლილი ავარიაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მეორე მონაწილის.

მაგალითად, თუ გზაჯვარედინზე ერთმანეთს ეჯახება ორი ავტომობილი, რომელთაგან ერთ-ერთი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით მთავარ გზაზე (შესაბამისად, ჰქონდა უპირატესობა), ხოლო მეორე – მეორეხარისხოვან გზაზე და შესაბამისად, ჰქონდა მოცდის ვალდებულება, აქ არაგონივრულია და მხოლოდ დროის კარგვა იმ საკითხის გამორკვევა – უპირატესობის მქონე ავტომობილის მხარეზე დამატებით იყო თუ არა სახეზე დაუძლეველი ძალა (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 II პარაგრაფი) თუ აურიდებელი მოვლენა (კანონის 17 III პარაგრაფი). მოცემული გადაწყვეტა

ძალაშია მით უფრო, რამდენადაც დაუძლეველი ძალის სამართლებრივი შემადგენლობის წინაპირობები იმდენად მაღალია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებულ პრაქტიკაში მხოლოდ აბსოლუტური გამონაკლისის სახით შეიძლება იყოს მოცემული (იხ. ამასთან დაკავშირებით თავი: II. 6. ა). თუმცა, მკაცრად სქემატური მიდგომა მოითხოვს, რომ იმ პირებს შორის პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევისას, რომლებიც პასუხს აგებენ ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე დელიქტური წესით, დამატებით შემონახდეს, ხომ არ არის აქ სახეზე პასუხისმგებლობის გამორიცხვა კანონის 17 III პარაგრაფის მიხედვით.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში, ისედაც თვალნათელია [და შესაბამისად, დასაშვებია ზემოთ ხსენებული საფეხურის გამოტოვება], რომ უპირატესობის (უპირატესი მოძრაობის უფლების) მქონე ავტომობილის მფლობელის კაუზალური წვლილი ავარიაში, ნებისმიერ შემთხვევაში, უფრო ნაკლებია ვიდრე – მოცდის (გზის დათმობის) ვალდებულების მქონე ავტომობილის მფლობელის (იხ. ქვემოთ თავი: 2. ბ) ბ). ამიტომაც, ამ ტიპის შემთხვევებში, უფრო მარტივი და დამაჯერებელია, ჰიპოთეტურად იქნეს დაშვებული, რომ უპირატესობის მქონე ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა (პრინციპულად) სახეზეა და მხოლოდ ამის შემდგომ ეტაპზე – პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შენონის მიხედვით – დადგინდეს, რომ მხოლოდ მოცდის ვალდებულების მქონე ავტომობილის მფლობელი (თუ მძღოლი) აგებს პასუხს, რადგან ავარიის გამონწვევაში მისი წვლილი გადანონის. ეს წესი მით უფრო ძალაშია შუქნიშნის წითელზე გაჩერების ვალდებულების დარღვევისას.

მაშინაც კი, როდესაც, შედეგის კუთხით, პასუხისმგებლობის განსაზღვრა მის გამონწვევაში შეტანილ წილთა თანაფარდობის მიხედვით ხდება, ხშირ შემთხვევებში, სამოსამართლო თუ საადვოკატო პრაქტიკისათვის აზრს მოკლებულია ცალკე დაასაბუთოს, თუ რატომ არ არის აქ

² შდრ. BGH, Urteil vom 17. November 2009 - VI ZR 64/08 - NJW 2010, 930, juris Rn. 13.

სახეზე დაუძლეველი ძალა თუ აურიდებელი მოვლენა. ამ გარემოებების არარსებობა უკვე თავისთავად იგულისხმება, როდესაც პასუხისმგებლობაში წვლილთა შენონაზე და მონაწილეთა კაუზალურ წვლილებზე იწყება საუბარი (რაც აუცილებლობის ძალით გამორიცხავს დაუძლეველ ძალასა თუ აურიდებელ მოვლენას). ამიტომაც, ჩვეულებრივ, საკმაოდ მოუხეშავად და ზედმეტად გამოიყურება, ამ ტიპის კონტექსტში დაუძლეველ ძალასთან და აურიდებელ მოვლენასთან დაკავშირებული განაზრებები (განსაკუთრებით, თუ ისინი სიღრმისეულ ხასიათს ატარებენ).

2. ავარია რამდენიმე ავტომობილის მონაწილეობით

ა) ზოგადი კრიტერიუმები/ამოსავალი წესი:

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-17 პარაგრაფის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მისი ფარგლები, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ეს ზიანი ერთი ან მეორე მონაწილის მიერ კაუზალურად განპირობებული [წვლილთა შენონის მიხედვით პასუხისმგებლობის განსაზღვრა].

ამ კანონისმიერი რეგულაციის უკან დგას ის მოსაზრება, რომ ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი საფრთხე არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დამაფუძნებელია, არამედ აისახება, ასევე, პასუხისმგებლობის გამოწვევაში შეტანილ წვლილთა შენონაზეც. თუ პასუხისმგებლობის საფუძველი კონსტრუირებულია, როგორც საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობა (მაგალითად, ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფი), მართალია, ერთი მხრივ, გადამწყვეტია მოვალეობის დარღვევის ხარისხი

და, მეორე მხრივ, გაკიცხვადობის ხარისხი ბრალის განსაზღვრისას³, თუმცა პასუხისმგებლობის წილის საბოლოო განსაზღვრა ხდება მაინც შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე; ზიანის გამომწვევი ყველა გარემოების შენონით.

ზიანის გამომწვევ ამ გარემოებებს განეკუთვნება, გარდა არსებული (თანა)ბრალეულობისა (ბრალით განპირობებული წვლილისა), განსაკუთრებით ის საკითხი, თუ რა ტიპისა და რა ინტენსივობის იყო კონკრეტულად შექმნილი საფრთხე და რა მოვლენამ თუ ქცევამ გაააქტიურა ზიანის გამომწვევი კაუზალური ჯაჭვი, ანუ, ითამაშა სასხლეტი მექანიზმის ფუნქცია ზიანის მომტანი ხდომილების დადგომისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მონაწილე ავტომობილებიდან წარმომდგარი და გამომდინარე ექსპლუატაციის კონკრეტული საფრთხეები. ეს საფრთხეები განისაზღვრება ისეთი ობიექტური კრიტერიუმებით, როგორცაა – ავტომობილის სიდიდე, წონა და სიჩქარე გზის საფართან და მეტეოროლოგიურ პირობებთან მიმართებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს (საკუთარი ბრალით განპირობებულმა) ავტომობილის გაუმართაობამ (მაგალითად, გამსკდარმა საბურავმა ან მუხრუჭის განყვეტილმა ტროსმა). ბრალის მიღმა, შესაძლოა, ასევე, მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (მაგ., უეცარი გულყრა, პანიკური რეაქცია კრაზანის კბენაზე), რამაც განაპირობა ავარია, წარმოადგენდეს შენონის არსებით კრიტერიუმს.⁴

აა) ბრალის მნიშვნელობა:

თუ ავარიის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს მიუძღვის ბრალი მის გამომწვევაში, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, შენონის კრიტერიუმის სახით, ეს ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული.⁵ თუმცა ის შენონის მხოლოდ „ერთ-ერთ“

³ Scholten in: Freyermann / Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 33.

⁴ შდრ. ერთობლიობაში: OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21 - NJW-RR 2023, 313, juris Rn. 6; OLG Hamm, Urteil vom 3. Dezember 2021 - I-7 U 33/20 - NJW-RR 2022, 676, juris Rn. 6; Scholten in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßen-

verkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 27 ff.

⁵ BGH, Urteil vom 22. November 2022 - VI ZR 344/21 - NJW 2023, 1123, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 15. Mai 2018 - VI ZR 231/17 - NJW 2018, 3095, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 26.

კრიტიკიუმს წარმოადგენს⁶ და არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ შენონა და მისი რეზულტატი, პირველ რიგში, ზიანის გამომწვევაში წვლილზე უნდა იყოს ორიენტირებული.⁷

თუმცა, ხშირად მხოლოდ მძლოლის ბრალი არის არსებითი და, ხანდახან, შენონის გადამწყვეტი კრიტერიუმიც.⁸ ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადაცდომა წარმოადგენს მოძრაობის წესების უხეშ დარღვევას და გაააქტიურა ზიანის გამომწვევი კაუზალური ჯაჭვი (იხ. ამასთან დაკავშირებით: თავი ბბ). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თავიდანვე იმ მძლოლს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი ავარიაში, რომელსაც ბრალეული გადაცდომა შეერაცხება. ამის ნათელსაყოფად შეიძლება შემდეგი მაგალითის მოშველიება:

მსუბუქი ავტომობილის მძლოლი მოძრაობს დასაშვები სიჩქარით დასახლებულ პუნქტში და მას მოულოდნელად გზაზე წინ გადაურბენს ბავშვი. მძლოლი შეიძლება ბრალის გარეშე მოქმედებდეს (კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით), თუ ის მიიჩნევს, რომ ბავშვის სიცოცხლისათვის საშიში შეჯახების თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ საპირისპირო ზოლზე მკვეთრად გადასვლით; ეს ძალაშია, ჩვეულებრივ, მაშინაც კი, როდესაც საპირისპირო ზოლზე, გარკვეული დისტანციით, სატვირთო მანქანა მოძრაობს. თუ ამ სატვირთო მანქანის მძლოლი დასაშვებ მაქსიმალურ სიჩქარეს გადააჭარბებს 10 კმ/სთ-ით, ხოლო სიჩქარის ლიმიტის დაცვის შემთხვევაში, დროულად მოასწრებდა დამუხრუჭებას, სატვირთო ავტომობილის მძლოლი შეიძლება იყოს ავარიის ერთადერთი მონაწილე, რომელსაც შეერაცხება ზიანის გამომწვევი ბრალეული გადაცდომა. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეჯახების გადამწყვეტი ფაქტორი იყო

არა დასაშვები სიჩქარის უმნიშვნელო გადაჭარბება სატვირთოს მძლოლის მხრიდან, არამედ ის გარემოება, რომ მსუბუქი ავტომობილის მძლოლი, თუნდაც ბრალის გარეშე, საპირისპირო ზოლზე გადავიდა. როგორც არ უნდა იყოს ამ ტიპის სიტუაციაში ავარიაში ცალკე აღებული კაუზალური წვლილის შეფასება, ნებისმიერ შემთხვევაში, სატვირთოს მძლოლის კაუზალური ბრალეული წვლილი იწონის უფრო ნაკლებს, ვიდრე მსუბუქი ავტომობილის მძლოლის არაბრალეული კაუზალური წვლილი. ამ უკანასკნელმა გადახვევის მანევრით ბიძგი მისცა არა მხოლოდ კონკრეტულ, ზიანის მომტან ხდომილებას, არამედ წარმოშვა საგზაო მოძრაობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საფრთხე იმით, რომ შემხვედრი ავტომობილის მოახლოების მიუხედავად (უმნიშვნელოა თუ რა მიზეზით), გადავიდა საპირისპირო ზოლზე. დელიქტუუნარო ბავშვის მიერ შეტანილი ფაქტობრივი/ობიექტური წვლილი ავარიაში, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში შენონისას, ვერც ერთი ფორმით ვერ იქნება გათვალისწინებული.

ბბ) შემთხვევები, როდესაც ავარიაში წვლილი არ გაითვალისწინება

ავარიაში ავტომობილის მფლობელის წვლილი, რომელიც არ არღვევს თავის მოვალეობებს, შეიძლება, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში შენონისას, სრულებით უკან დაიხიოს და არ იქნეს გათვალისწინებული, თუ ავარიის მეორე მონაწილე უხეშად არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს და ძირითადად მისი ამ ქცევით არის განპირობებული ზიანის დადგომა.⁹

Januar 2016 VI ZR 179/15 - NJW 2016, 1100, juris Rn. 10.

⁶ BGH, Urteil vom 22. November 2022 - VI ZR 344/21 - NJW 2023, 1123, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 7. Februar 2012 - VI ZR 133/11 - NJW 2012, 1953.

⁷ BGH, Urteil vom 22. November 2022 - VI ZR 344/21 - NJW 2023, 1123, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 8.

⁸ Scholten in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 32.

⁹ BGH, Urteil vom 24. September 2013 - VI ZR 255/12 - NJW 2014, 217, juris Rn. 7, zu § 9 StVG; BGH, Urteil vom 13. Februar 1990 - VI ZR 128/89 - NJW 1990, 1483, juris Rn. 20; OLG Celle, Urteil vom 13. Dezember 2023 - 14 U 32/23- juris Rn. 59; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 27. April 2023 - 7 U 214/22 - NJW-RR 2023, 1334, juris Rn. 35.

ამის ტიპური მაგალითებია: დასახლებულ პუნქტში უკნიდან შეჯახება, სულ მცირე, ერთ-ზოლიან გზაზე ან, მრავალზოლიან გზაზე, მთლიანი ცხვირით შეჯახება (რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ორივე ავტომობილი ერთ ზოლში მოძრაობდა და წინა ავტომობილს მარჯვენა ზოლში არ გადმოუხვევია)¹⁰; უკნიდან შეჯახება ავტობანზე, თუ არ მტკიცდება, რომ მანამდე წინა ავტომობილი მარჯვენა ზოლში გადმოვიდა¹¹; წითელ შუქნიშანზე გაჩერების ვალდებულებისა¹² თუ გზაჯვარედინსა ან გზის გასაყარზე გზის დათმობის ვალდებულების სხვა მნიშვნელოვანი დარღვევა¹³; მარცხნივ შემხვევი ავტომობილის შეჯახება [საპირისპირო ზოლში მოძრავ] შემხვედრ ტრანსპორტთან¹⁴; დასაშვები სიჩქარით გადამსწრებ ტრანსპორტთან შეჯახება მას შემდეგ, რაც ავტომობილმა მიწის ნაკვეთზე ან მიწდორში გაჭრილ გზაზე შეუხვია¹⁵; შემხვედრ ტრანსპორტთან შეჯახება, თუ დგინდება, რომ ავარიის ერთ-ერთმა მონაწილემ გზის გამყოფი ხაზი გადაკვეთა¹⁶ ან წესების დარღვევით გადაასწრო,¹⁷ სადგომიდან გამომავალ¹⁸ თუ შესვლის პროცესში მყოფ¹⁹ ავტომობილსა და სწრაფ, უწყვეტ სატრანსპორტო მოძრაობაში ჩართულ ავტომობილს შორის შეჯახება ან შეჯახება, რომელიც გამონვეულია წესების დარღვევით გამორთული მამუქებით²⁰.

ავარიის ერთ-ერთი მონაწილის მიერ საგზაო

მოძრაობის წესების უხეში დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი და სხვა მონაწილის პასუხისმგებლობის წილთა თანაფარდობა 100:0-ზე იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სხვა მონაწილეს მსუბუქი ბრალი შეეარა ცხება.²¹ მაგალითად, ასეთი შემთხვევაა სახეზე, როდესაც ერთი მხარე უხეშად არღვევს წითელ შუქნიშანზე გაჩერების წესს ან გზის დათმობის ვალდებულებას და მეორე მხარე, რომელიც უპირატესობით სარგებლობს, მხოლოდ უმნიშვნელოდ აჭარბებს სიჩქარის ლიმიტს.²²

სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს ზოგადი წესით, რომ ავარიაში წვლილი, რომელიც შეწონისას 20%-ზე ნაკლებს იწონის, საერთო ანონ-დანონვისას საერთოდ ყურადღების მიღმა რჩება. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლოები, მაგალითად, „ფიქტიურ“ 10%-იან წვლილს, მთლიანი შეწონის დროს, არ ითვალისწინებენ და უკან ხევენ ავარიის სხვა მონაწილის გადამწონავ წვლილთან მიმართებით.

გ) ექსპლუატაციიდან მომდინარე საფრთხე

ავტომობილის ექსპლუატაციისათვის დამახასიათებელი იმანენტური რისკები გერმანიაში, ჩვეულებრივ, „ექსპლუატაციის სტანდარტულ რისკად“ მოიხსენიება. თუ პასუხისმგებლობის

¹⁰ Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 22. Juni 2022 - 14 U 181/21 - juris Rn. 25; OLG Hamm, Urteil vom 27. November 2020 - I-7 U 24/19 - NJW-RR 2021, 693, juris Rn. 85; იხ. ყვეთელი შუქნიშნის ანთებისა და სრული მუხრუჭის გამოყენების შემდეგ, უკნიდან შეჯახებასთან დაკავშირებით OLG Düsseldorf, Urteil vom 30. Juni 2020 - 1 U 47/18 - juris Rn. 42 ff.

¹¹ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 14.

¹² Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 21. April 2023 - 3 U 11/23 - NJW-RR 2023, 1069, juris Rn. 15.

¹³ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 16. Dezember 2021 - 12 U 42/21 - NJW-RR 2022, 600, juris Rn. 11.

¹⁴ BGH, Urteil vom 7. Februar 2012 - VI ZR 133/11 - NJW 2012, 1953, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 15. f.

¹⁵ OLG Hamm, Beschluss vom 27. Juni 2022 - I-7 U 19/22 - juris Rn. 21; OLG Oldenburg, Urteil vom 30.

Juli 2020 - 14 U 13/18 - DAR 2021, 93, juris Rn. 47; KG Berlin, Urteil vom 15. August 2005 - 12 U 41/05 - juris Rn. 9.

¹⁶ Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 24. April 2018 - 5 U 103/17 - DAR 2018, 628, juris Rn. 13 ff.

¹⁷ OLG München, Beschluss vom 26. Mai 2023 - 24 U 587/23 - NJW 2023, 3173, juris Rn. 23.

¹⁸ OLG Hamm, Urteil vom 21. Dezember 2021 - I-7 U 21/20 - DAR 2022, 146, juris Rn. 20, გადანყვეტილებაში საუბარია სადგომიდან გამომავალ სპეციალური დანიშნულების ავტომობილზე.

¹⁹ OLG Celle, Urteil vom 27. Mai 2009 - 14 U 2/09 - juris Rn. 29; OLG Köln, Urteil vom 22. August 2008 - I-1 U 59/07 - juris Rn. 15.

²⁰ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 18.

²¹ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 21. April 2023 - 3 U 11/23 - NJW-RR 2023, 1069, juris Rn. 15.

²² OLG Düsseldorf, Urteil vom 25. Februar 2014 - I-1 U 56/13 - juris Rn. 35; ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკა.

განსაზღვრის ფარგლებში შენონისას ხდება „ექსპლუატაციის რისკზე“ აპელირება, ამით შემოკლებულად გადმოცემულია ის შინაარსი, რომ, ერთი მხრივ, არ არის სახეზე არც ბრალი და არც (სტანდარტულ სიტუაციასთან შედარებით) გაზრდილი რისკები და, მეორე მხრივ, არ მტკიცდება არც დაუძლეველი ძალისა და აურიდებელი მოვლენის არსებობა.

თუ, კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, ავტომობილის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკები, სტანდარტულ სიტუაციასთან შედარებით, იზრდება, გერმანიაში საუბრობენ, ჩვეულებრივ, „ექსპლუატაციის გაზრდილ საფრთხეზე“. თუმცა ეს ცნება გადღაბნილია და მისი სამართლებრივი შინაარსი ცალსახად მოხელთებადი არ არის. ის გამოიყენება მაშინაც, როდესაც: საფრთხე გაზრდილია ერთ-ერთი აქტორის ბრალით; ერთ-ერთი მონაწილის მიერ განხორციელებული მანევრი, საგზაო მოძრაობაში, საშიშ მანევრად შეიძლება ჩაითვალოს; თავად ავტომობილის სახეობაა ისეთი, რომ კონკრეტულ სიტუაციაში განსაკუთრებულ საფრთხეებს განაპირობებს.

მაგალითად, თუ მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე გავლის/წინსვლის უპირატესობით სარგებლობს, სხვა მონაწილის მიერ მეორად გზაზე მარცხნივ შეხვევა უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე წინსვლის გაგრძელება. აქედან გამომდინარე, მარცხნივ შემხვევი ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული საფრთხე უფრო მაღალია, ვიდრე იმ ავტომობილის, რომელიც შეუფერხებლად აგრძელებს წინ მოძრაობას.²³ თუ მარცხნივ შემხვევ ავტომობილს, დამატებით, შემხვედრი ტრანსპორტის ხილვადო-

ბაც შეზღუდული აქვს, ეს ფაქტორიც ზრდის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხეებს – და შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული ავარიაში წვლილთა შერაცხვისას (ზრდის წვლილს).²⁴ თუმცა, თუ მარცხნივ მოხვევის მანევრი რეგულირდება „მწვანე ისრით“ აღჭურვილი საგზაო სიგნალით, მარცხნივ მომხვევი და პირდაპირ მოძრავი ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხეები თანაბარია.²⁵ ამის პრაქტიკული შედეგია ის, რომ, ავარიის შემთხვევაში, რომლის კონკრეტული მიზეზის გარკვევაც შეუძლებელია (ვის ჰქონდა „მწვანე“?), ავარიაში მონაწილე ორივე მხარის წვლილი თანაბარწონადად მიიჩნევა (ნახევარი-ნახევარზე).

მაგრამ, ასევე ავტომობილის კონსტრუქციასთან დაკავშირებული თავისებურებები, როგორცაა სიგანე, სიგრძე, ავტომატიზებული მართვის ხარისხი, მასა ან რთული დამორჩილებადობა სახიფათო სიტუაციებში, ასევე მართვის სპეციფიკური მახასიათებლები ან (თუნდაც წესების დაცვით) ავტომობილის მიერ განვითარებული მაღალი სიჩქარე²⁶, შეიძლება ჩაითვალოს გაზრდილი საფრთხის გამომწვევ ფაქტორებად.²⁷ შესაბამისად, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-17 პარაგრაფის მიხედვით შენონისას, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება ასევე ჩაითვალოს, რომ მოტორიზებული ორბორბალა, მისი აჩქარების უნარისა და არასტაბილურობის გამო, ექსპლუატაციის გაზრდილ საფრთხეს განაპირობებს.²⁸ როგორც ეს უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი IV. 2. დ)-თავში, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში წვლილთა შენონისას, ასეთმა გარემოებებმა სასწორის პინა ერთი მხარის საზი-

²³ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 35; OLG Hamm, Beschluss vom 25. Juli 2022 - I-7 U 4/22 - juris Rn. 40.

²⁴ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 35.

²⁵ BGH, Urteil vom 6. Mai 1997 - VI ZR 150/96 - NJW-RR 1997, 1111, juris Rn. 9; LG Essen, Urteil vom 21. Juni 2021 - 5 O 6/21 - juris Rn. 26; LG Görlitz, Urteil vom 15. März 2019 - 5 O 384/18 - juris Rn. 22.

²⁶ ავტობანებზე ე. წ. რეკომენდებული სიჩქარის გადაჭარბებასთან დაკავშირებით: Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 15. November 2022 - 7 U 41/22 - NJW-RR 2023, 247,

juris Rn. 24; OLG Düsseldorf, Urteil vom 21. November 2017 - I-1 U 44/17 - NJW-RR 2018, 788, juris Rn. 22.

²⁷ იხ. სრულად: Scholten in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 48.

²⁸ BGH, Urteil vom 1. Dezember 2009 - VI ZR 221/08 - NJW-RR 2010, 83, juris Rn. 28; OLG Hamm, Urteil vom 8. Juli 2022 - I-7 U 106/20 - juris Rn. 21; OLG Stuttgart, Urteil vom 5. Dezember 2018 - 9 U 76/18 - juris Rn. 18; OLG Hamm, Urteil vom 30. Mai 2016 - 6 U 13/16 - NJW-RR 2017, 149, juris Rn. 38.

ნოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადა-
წონოს, თუ მათ ექნებათ გავლენა ზიანის მომ-
ტან კონკრეტულ ხდომილებაზე.

ბ) პასუხისმგებლობის შემადგენლობების შემოწმების თანმიმდევრულობა

ის თანმიმდევრული აზრობრივი ნაბიჯები, რომლებსაც უნდა მიჰყვეს სამართლის შემფარ-
დებელი პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარ-
გლებში შეწონისას, შეიძლება შემდეგნაირად
შეჯამდეს:²⁹

„გერმანიის საგზაო მოძრაობის შესახებ კან-
ონის 17 I პარაგრაფის თანახმად, ზიანის ანაზ-
ღაურების ვალდებულება და მოცულობა დამო-
კიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. განსა-
კუთრებით იმაზე, თუ რამდენად არის ზიანი გა-
მონვეული უპირატესად ერთი ან მეორე მხარის
მიერ. პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღ-
ვროს თითოეული მონაწილის წვლილი [ავარია-
ში] (იხ. BGH, NZV 2007, 190, Rn. 15). შემდეგ უნ-
და მოხდეს ამ წვლილთა ურთიერთშეწონა. შე-
წონისას გასათვალისწინებელია კონკრეტული
შემთხვევის ყველა ის გარემოება, რომელიც და-
დგენილია, ანუ, უდავოა, დაშვებულია ან დამტ-
კიცებულია გერმანიის სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის 286-ე პარაგრაფის მიხედვით და
რამაც გამოიწვია ავარია; პირველ რიგში, მნიშ-
ნელოვანია ზიანის მომტანი ხდომილების გამო-
წვევაში მხარეთა მონაწილეობის ხარისხი. შეფა-
სების ერთ-ერთი კრიტერიუმია თითოეული მო-
წილის ბრალი (BGH, NJW 2017, 1177 Rn. 8).

გ) მხოლოდ დადგენილი ფაქტები:

აა) სახელმძღვანელო წესები:

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახ-
მად, ავარიაში წვლილთა შეწონისას, გაითვალის-
წინება მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც
ფაქტობრივად არის დადგენილი, რაც გულისხ-
მობს უდავო და დადასტურებულ ფაქტებს.³⁰
ამასთან, თითოეულმა ჩართულმა მხარემ უნდა
მიუთითოს მეორე მონაწილის ბრალის დამადა-
სტურებელ გარემოებებზე, წარადგინოს შესა-
ბამისი მტკიცებულებები და გაიმეოროს იგივე
შეწონის მისთვის ხელსაყრელი შედეგის დამა-
დასტურებელ გარემოებებთან მიმართებით.³¹

პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებ-
ში შეწონისას არ უნდა იყოს გათვალისწინებუ-
ლი მხოლოდ ნავარაუდები ფაქტობრივი წვლი-
ლი ან მხოლოდ ზიანის მიყენების შესაძლებლო-
ბა შექმნილი სარისკო სიტუაციის გამო.³² ბრალ-
თან დაკავშირებული კანონისმიერი პრეზუმფ-
ციები, რომლებიც მხოლოდ ექსკლუზივის (თა-
ვის მართლების) ვალდებულებას აკისრებს მეო-
რე მხარეს, შეწონისას არ გაითვალისწინება.³³
მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავში-
რებული ეს წესები განაპირობებენ მხოლოდ
ბრალის პრეზუმფციას, რომელიც შეიძლება მე-
რყეობდეს უმცირესი გაუფრთხილებლობიდან
წინდახედულობის ზომების ყველაზე მძიმე და-
რღვევამდე. სამართლებრივ წვლილთა შეწონა-
ზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მას შემ-
დეგ, როდესაც დადგინდება თუ რა ფაქტობრი-
ვი წვლილი მიუძღვის თითოეულ მხარეს [ავარი-
აში]. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა
მხოლოდ განტოლების უცნობი წევრის ცნობილ

²⁹ ამონარიდი: OLG Nürnberg, Endurteil vom 29. März 2022 - 3 U 4188/21 - NJW 2022, 2483, juris Rn. 17.
³⁰ BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 7.
³¹ BGH, Urteil vom 13. Februar 1996 - VI ZR 126/95 - NJW 1996, 1405, juris Rn. 11; OLG Zweibrücken, Beschluss vom 26. Juli 2022 - 1 U 172/21 - juris Rn. 6; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht,

Beschluss vom 26. Juli 2023 – 7 U 42/23 - NJW-RR 2023, 1451, juris Rn. 26.
³² Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 26. Juli 2023 - 7 U 42/23 - NJW-RR 2023, 1451, juris Rn. 26; OLG Düsseldorf, Urteil vom 24. September 2019 - I-1 U 82/18 - MDR 2020, 219, juris Rn. 40.
³³ BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12, für Mitverschulden nach § 254 BGB; Scholten in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 37.

წევრთან შედარება, რაც უშედეგოა³⁴; სასამართლო გადაწყვეტილებები დაფუძნებული იქნებოდა ვარაუდებზე და არა დადგენილ ფაქტებზე.

ბბ) prima facie-მტკიცებულება

(1) სახელმძღვანელო წესები:

მტკიცების სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში წვლილთა შენონისას, გაითვალისწინება ავარიის მონაწილე მხარის ბრალი, თუ მოცემულია ამ ბრალის არსებობის გაუქარწყლებელი მტკიცებულება.³⁵ ბრალის ტიპური კანონისმიერი პრეზუმფციებისგან განსხვავებით, prima facie-მტკიცებულების პრინციპები დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის კონკრეტულ სიტუაციასთან და, შესაბამისად, ავარიის მონაწილის კონკრეტულ ქცევასთან.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით ამბობს შემდეგს:³⁶

„მე-17 ველი

prima facie-მტკიცებულება გამოიყენება, როდესაც დადგენილია მოვლენათა ტიპური თანმიმდევრობა, რომელიც, ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, იძლევა მიზეზობრივ კავშირზე ან ბრალეულ ქცევაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას (შდრ. BGH, Urteil vom 1. August 2023 - VI ZR 82/22 - NJW 2023, 3159, juris Rn. 26; BGH, Beschluss vom 28. Februar 2023 - VI ZR 98/22 - NJW-RR 2023, 700 Rn. 12; ...).

მე-18 ველი

სასამართლო პროცესზე ავარიის ხდომილებასთან მიმართებით prima facie-მტკიცებულების გამოყენება წინაპირობად მიითვლის ამ ავარიის ფარგლებში მოვლენათა განვითარების ნარატივს, საიდანაც, ზოგადი ცხოვრებისეული

გამოცდილებიდან გამომდინარე, დამაჯერებელია დავასკვნათ, რომ საგზაო მოძრაობის მონაწილემ დაარღვია ამ მოძრაობაში გამოსაჩენი აუცილებელი წინდახედულობის ზომები; საქმე უნდა ეხებოდეს სიტუაციას, როდესაც, როგორც წესი, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, მოსალოდნელია რომ პირმა [ავარიის გამონვევაში] ბრალეული წვლილი შეიტანა. თუმცა, მხოლოდ „ძირითადი მოვლენა“ არ არის საკმარისი, როგორც prima facie-მტკიცებულებების საფუძველი, თუ ცნობილია ავტოსაგზაო შემთხვევის სხვა გარემოებები, რომლებიც, როგორც ატიპიური ნიშნები, ეწინააღმდეგება იმ ტიპურობას, რომელიც სხვა ჩვეულ შემთხვევებში გვხვდება [მოვლენათა ატიპიურ განვითარებაზე მიანიშნებს]. [prima facie-მტკიცებულებებზე აპელირებისათვის] აუცილებელია, რომ ავარიის მთელი დადგენილი თანმიმდევრობა, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ტიპურად მიანიშნებდეს იმაზე, რომ, ავარიის გამონვევისას, საგზაო მოძრაობის მონაწილემ, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს მტკიცებულებები, ბრალეულად მოქმედებდა.

არის თუ არა კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები მართლაც ამ გაგებით ტიპური, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მთლიანი ხდომილების ყველა ფაქტობრივი ელემენტის ყოვლისმომცველი შეფასების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა უდავო არგუმენტებიდან და მათ საფუძველზე მიღებული დასკვნებიდან. უფრო მეტიც, ზოგადად, სიფრთხილეთა რეკომენდებული პირველადი prima facie-მტკიცებულების გამოყენებისას, რადგან ის საშუალებას იძლევა მივიღოთ დასკვნები მიზეზობრივ კავშირსა თუ ბრალეულ ქცევასთან დაკავშირებით, მოვლენების ტიპურ თანმიმდევრობასა და გამოცდილების ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, კონკრეტული მიზეზის ან ბრალის დადგენის გარეშე (შდრ. BGH, Urteil

³⁴ BGH, Urteil vom 20. März 2012 - VI ZR 3/11 - NJW 2012, 2425, juris Rn. 12.

³⁵ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 6 ff.; BGH, Urteil vom 26. Januar 2016 - VI ZR

179/15 - NJW 2016, 1100, juris Rn. 11; OLG Celle, Urteil vom 13. Dezember 2023 - 14 U 32/23 - juris Rn. 40 ff.

³⁶ ამონარიდი – BGH, Urteil vom 10. Oktober 2023 - VI ZR 287/22 - MDR 2023, 1587 - juris, ციტატები მცირედ შეცვლილია.

vom 15. Dezember 2015 - VI ZR 6/15, NJW 2016, 1098 Rn. 14 ...)".

ამ თვალსაზრისით ტიპურია თუ არა სიტუაცია, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მთლიანი მოვლენის ყველა ფაქტობრივი ელემენტის (რომლებიც გამომდინარეობს მხარეთა (უდავო) საპროცესო მოხსენებიდან და მათ საფუძველზე მიღებული დასკვნებიდან) ყოვლისმომცველი შესწავლის საფუძველზე.³⁷

თუმცა, **prima facie**-მტკიცებულებების გამოყენებას ხელს არ უშლის, ავარიის მონაწილის მტკიცება, რომ, თავისთავად ტიპური ძირითადი მოვლენის გარდა, არსებობს გარემოებები, რომლებიც ეწინააღმდეგება მოვლენის ტიპურობას.³⁸ ამ შემთხვევაში, მან უნდა დაამტკიცოს, რომ რეალურად არსებობს გარემოებები, რომლებიც მოვლენის ატიპიურ ხასიათზე მეტყველებენ. მან, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკა უნოდებს, უნდა „შეარყიოს“, ანუ, გააქარწყლოს **prima facie**-მტკიცებულების დამაჯერებლობა.³⁹ ეს სახეზე გვეჩვენებდა, თუ აღნიშნულ მაგალითში სადავო იქნებოდა, მოძრაობდა თუ არა მოახლოებული ავტომობილი მაშუქების გარეშე. ამ შემთხვევაში, დადგენილ ფაქტებზე დაყრდნობით, **prima facie**-მტკიცებულება შემხვევი პირის წინააღმდეგ ისაუბრებდა (ქვემოთ: თავი (3)). მას შეუძლია შეარყიოს/გაანეიტრალოს ეს **prima facie**-მტკიცებულება და დაამტკიცოს, რომ შემხვედრი ავტომობილი არ იყო განათებული.

(2) უკნიდან შეჯახების მაგალითი:

პრაქტიკაში, ყოველთვის არ არის მარტივი გასამიჯნი შემთხვევა, როდესაც თავიდანვე არ

არის შესრულებული **prima facie**-მტკიცებულების წინაპირობები, იმ შემთხვევისაგან, როდესაც, მართალია, ეს წინაპირობები შესრულდა, მაგრამ ეს **prima facie**-მტკიცებულება გაქარწყლებულია. ეს გავლენას ახდენს მითითებისა და მტკიცების ტვირთის განაწილებაზე. მოცემული თემატიკა განხილული იქნება უკნიდან შეჯახების მაგალითის გამოყენებით. ეს მაგალითები ასევე ნათელყოფენ, იმ დეტალურ დიფერენცირებას, რომელსაც აკეთებს გერმანული სასამართლო პრაქტიკა:

ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების თანახმად, პირი, რომელიც საგზაო მოძრაობისას სხვა ავტომობილს უკნიდან ეჯახება, ჩვეულებრივ, დამნაშავეა –სავარაუდოა, რომ ის უყურადღებოდ მართავდა ავტომობილს: არ დაიცვა უსაფრთხოების საკმარისი მანძილი ან არ დაიცვა დასაშვები სიჩქარე. აქედან გამომდინარე, **prima facie**-მტკიცებულება, როგორც წესი, მიუთითებს მის ბრალეულობაზე.⁴⁰ ზოგადი პრინციპების თანახმად, ამ ვარაუდის უკუგდება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც უკნიდან შემჯახებელი მიუთითებს და დაამტკიცებს მოვლენათა ატიპიურ თანმიმდევრობას, რომელიც ბრალეულობის საკითხს სხვა კუთხით წარმოაჩენს.⁴¹ მაგალითად, ეს სახეზეა, როდესაც დამტკიცდება, რომ მრავალზოლიან გზაზე ავტომობილმა განახორციელა გადასწრების მანევრი და, შესაძლოა (საკუთარი გაბარიტებიდან გამომდინარე), უკან მომავალ ავტომობილს დაუფარა გზაზე დაბრკოლების ხილვადობა და შემდეგ ამ გადასწრებმა უშუალოდ დაბრკოლების წინ შეიცვალა ზოლი.⁴² **prima facie**-მტკიცებულება ასევე შეიძლება შეირყეს იმით, თუ უკნიდან შე-

³⁷ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 13. Dezember 2011 - VI ZR 177/10 - NJW 2012, 608, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 15. Dezember 2015 - VI ZR 6/15 - NJW 2016, 1098, juris Rn. 14.

³⁸ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 11.

³⁹ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 5.

⁴⁰ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 13.

Dezember 2011 - VI ZR 177/10 - BGHZ 192, 84, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 5; OLG München, Urteil vom 11. Mai 2022 - 10 U 2165/21 - NJW-RR 2022, 1113, juris Rn. 4; OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 87/20 - juris Rn. 9 ff.

⁴¹ BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 20. Oktober 2016 - III ZR 302/15 - juris Rn. 41 f.

⁴² BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 5.

მჯახებელი დაამტკიცებს, რომ წინა ავტომობილი მოულოდნელად და არაპროგნოზირებად მკვეთრად გაჩერდა, გაჩერების მანძილის (საკუთარი დამუხრუჭების მანძილს + უკანმომავლის რეაქციისათვის საჭირო დისტანცია) დაცვის გარეშე, მაგალითად, შეჯახების გამო. თუმცა, უკან მომავალი მძღოლი ყოველთვის მზად უნდა იყოს წინა სატრანსპორტო საშუალების სრული ან გადაუდებელი გაჩერებისთვის, ასე რომ, **prima facie**-მტკიცებულება შეიძლება შეარყიოს მხოლოდ დამუხრუჭების ან გაჩერების მანძილის შემცირებამ და არა თავად სრულმა დამუხრუჭებამ.⁴³

როდესაც რამდენიმე ავტომობილი ჯაჭვურად [მიჯრით] უკნიდან ეჯახება ერთმანეთს, (როდესაც ავტომობილის ორივე ნაწილი შეჭეჭყილია) **prima facie**-მტკიცებულების პრინციპები არ ვრცელდება ავტომობილის წინა დაზიანებაზე, თუ არ დგინდება, რომ წინა ნაწილის დაზიანება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც მას უკნიდან სხვა ავტომობილი შეეჯახა. წინა ნაწილის დაზიანება შეიძლება გამონვეული იყოს იმით, რომ ორივე მხრიდან შეჭეჭყილი ავტომობილი, თავდაპირველად (შეჯახებამდე), დროულად გაჩერდა და მხოლოდ უკნიდან მომავალი ავტომობილის შეჯახების შედეგად შეეჯახა წინ მდგომს, მაგრამ ასევე იმით, რომ ჯერ ის შეეჯახა წინ მდგომს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა შემდგომი შეჯახება უკნიდან (სტანდარტული შეკითხვა პირველი ავტომობილის მძღოლისადმი: „მხოლოდ ერთხელ შეაჯანჯლარა მას თუ – ორჯერ?“).⁴⁴

რაც შეეხება ორივე მხრიდან შეჭეჭყილი ავტომობილის უკანა ნაწილის დაზიანებას, სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრე-

ბის თანახმად, **prima facie**-მტკიცებულება უკნიდან შემჯახებლის საწინააღმდეგოდ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ მისი დამუხრუჭებისა თუ გაჩერების მანძილი არ შემცირებულა წინა (ორივე მხრიდან შეჭეჭყილი) ავტომობილის თავდაპირველი შეჯახების შედეგად.⁴⁵

ეს პრობლემა არაერთი სასამართლო პროცესის მიზეზი ხდება, განსაკუთრებით მრავალზოლიან გზებზე უკნიდან შეჯახების შემთხვევებში. ამ შემთხვევების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერთზოლიანი გზებისგან განსხვავებით, უსაფრთხო მანძილი, რომელიც თავდაპირველად დაცული იყო უკან მოძრავი ავტომობილის მიერ, შეიძლება შემცირდეს წინა ავტომობილის მიერ ზოლში გადმოხვევის გამო. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ზოგადად იყენებენ **prima facie**-მტკიცებულების პრინციპებს, ასევე, მრავალზოლიან გზებზე უკნიდან შეჯახებისას, როგორც ქალაქგარეთ⁴⁶, ისე ქალაქის გზაზე.⁴⁷ თუმცა, უკნიდან შეჯახება თავისთავად არ არის საკმარისი **prima facie**-მტკიცებულების გამოსაყენებლად, თუ დადგინდება, რომ წინა ავტომობილმა შეჯახებამდე ზოლიდან ზოლში გადმოუხვია. ასეთ შემთხვევებში, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილება, როგორც წესი, აღარ მეტყველებს უკანა მძღოლის ბრალეულობაზე.⁴⁸ თუ წინ მოძრავი მძღოლი უარყოფს ზოლის შეცვლას, რომელზეც აპელირებს უკან მოძრავი მძღოლი, თუმცა ეს უკანასკნელი ვერ ახერხებს ამის დამტკიცებას, რჩება მოცემულობა (თუ დადგენილი გარემოებები სხვა რამეზე არ მეტყველებენ), რომ უკნიდან შეჯახება, როგორც წესი, უკან მომავლის ბრალია. წინ მიმავალ მძღოლს, რომელიც აპელირებს **prima**

⁴³ BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 6; OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 87/20 - juris Rn. 15.

⁴⁴ იხ. სრულად: OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 87/20 - juris Rn. 12; OLG München, Urteil vom 12. Mai 2017 - 10 U 748/16 - juris Rn. 6; OLG Hamm, Urteil vom 06.02.2014 - 6 U 101/13 - NJW 2014, 3790, juris Rn. 9; OLG Düsseldorf, Urteil vom 12.06.2006 - I-1 U 206/05 - juris Rn. 30.

⁴⁵ OLG Hamm, Urteil vom 06.02.2014 - 6 U 101/13 - NJW 2014, 3790, juris Rn. 12; OLG Koblenz, Urteil

vom 16. November 2020 - 12 U 207/19 - NJW-RR 2021, 280, juris Rn. 18; LG Osnabrück, Urteil vom 29. März 2022 - 1 O 1867/20 - juris Rn. 32.

⁴⁶ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 10.

⁴⁷ KG Berlin, Urteil vom 22. Dezember 2021 - 25 U 33/21 - MDR 2022, 430, juris Rn. 37.

⁴⁸ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 13. Dezember 2011 - VI ZR 177/10 - BGHZ 192, 84, juris Rn. 11.

facie-მტკიცებულებაზე, ზოგადად არ მოეთხოვება იმის მტკიცება, რომ ზოლის შეცვლა არ მომხდარა.⁴⁹

განსაკუთრებით, მრავალზოლიან ურბანულ გზებზე უკნიდან შეჯახების შემთხვევაში, ზოგჯერ ავარიის გარეგნული დათვალიერებითაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა შეჯახების ატიპიურ სცენარზე. ეს ჩვეულებრივ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც დარტყმის არეები მხოლოდ მცირე ზომისაა (მაგალითად, როდესაც მარცხენა ზოლზე შეჯახებისას დარტყმის ცენტრი უკნიდან შემჯახებლის მარჯვენა წინა ფრთაზე და წინა ავტომობილის უკანა ნაწილზე მოდის) და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარტყმა არ ხდება ავტომობილების გრძივი ღერძების პარალელურად.⁵⁰ მსგავსი პრინციპი ვრცელდება გზების შეერთების მონაკვეთში ავტომობილების შეჯახებაზე ზოლის შეცვლის დროს, როდესაც ავტომობილი მრავალზოლიანი გზიდან ერთზოლიან გზაზე გადადის.⁵¹

ზოლის შეცვლის შემდეგ უკნიდან შეჯახების შემთხვევაში, აღდება უკანა მძღოლის ბრალეულობის ტიპურ-სიტუაციური ვარაუდი, თუ საკმარისი დრო იყო გასული ზოლის ცვლილებასა და დარტყმის მომენტს შორის. კერძოდ: ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო უკნიდან მოძრავი ავტომობილის მძღოლისთვის, რათა რეაგირება მოეხდინა და „გადაეწყო“ მართვის სტილი წინა ავტომობილის მოძრაობაზე; განსაკუთრებით

კი, მორგებოდა უსაფრთხოების მანძილის შემცირებას.⁵² სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ: prima facie-მტკიცებულებით მოცემულად ითვლება იმ მძღოლის ბრალეულობა, რომელმაც შეიცვალა ზოლი, რამდენადაც დგინდება, რომ შეჯახება ორ ავტომობილს შორის მოხდა ზოლის შეცვლასთან უშუალო დროით და სივრცით კავშირში.⁵³

(3) ავარიის გამომწვევი კაუზალობისა და ბრალის დამატებითი მაგალითები (საკვანძო სიტყვებით შეჯამებული):

შეჯახება მარცხნივ შემხვევ და პირდაპირ მომავალ ავტომობილებს შორის:

თუ მარცხნივ შემხვევი მძღოლი არღვევს პირდაპირ მოძრავი ავტომობილის უპირატესი მოძრაობის უფლებას, prima facie-მტკიცებულება, ჩვეულებრივ, მეტყველებს ამ შემხვევის ბრალზე; ეს მოქმედებს როგორც შემხვედრ ავტომობილთან⁵⁴, ასევე გადამსწრებთან მიმართებით (ორმაგი წინდახედულობის მოვალეობიდან⁵⁵ გამომდინარე).⁵⁶ თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, როდესაც პირდაპირ მოძრავი მძღოლის უპირატესი მოძრაობის უფლება შეცნობადი იყო (შესაბამისი გულისხმიერების გამოყენების შემთხვევაში) გზის დათმობის ვალდებულების მქონე მძღოლისათვის.⁵⁷ ეს შესაძლოა საეჭვო და საკამათო იყოს, განსაკუთრებით, განათების ფარების ჩართვის წესების დარღვევის შემთხვევაში.

⁴⁹ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 12.

⁵⁰ Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 22. Juni 2022 - 14 U 181/21 - juris Rn. 3; KG Berlin, Urteil vom 22. Dezember 2021 - 25 U 33/21 - juris Rn. 32; KG Berlin, Beschluss vom 20. November 2013 - 22 U 72/13 - NJW-RR 2014, 809, juris Rn. 7.

⁵¹ LG Hamburg, Urteil vom 3. März 2023 - 337 O 50/22 - juris Rn. 32 und Rn. 52.

⁵² OLG Frankfurt, Urteil vom 9. Juni 2020 - 22 U 70/18 - juris Rn. 8; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 7. Oktober 2022 - 7 U 51/22 - juris Rn. 10 f.

⁵³ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 15. Dezember 2022 - 12 U 77/22 - NJW 2023, 370, juris Rn. 18; KG Berlin, Urteil vom 10. Februar 2021 - 25 U 160/19 - MDR 2021, 677, juris Rn. 7; OLG Köln, Urteil vom 10.

⁵⁴ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 13. Februar 2007 - VI ZR 58/06 - NJW-RR 2007, 1077, juris Rn. 8; OLG Düsseldorf, Urteil vom 17. Januar 2023 - 1 U 208/20 - juris Rn. 50; OLG Dresden, Urteil vom 5. Januar 2023 - 8 U 901/22 - juris Rn. 30.

⁵⁵ როგორც წინა, ისე უკანა ტრანსპორტთან მიმართებით ყურადღების გამოჩენის ვალდებულება.

⁵⁶ Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 26. Juli 2023 - 7 U 42/23 - NJW-RR 2023, 1451, juris Rn. 23; OLG Hamm, Urteil vom 8. Juli 2022 - I-7 U 106/20 - NJW-RR 2022, 676, juris Rn. 9; OLG Hamm, Urteil vom 3. Dezember 2021 - I-7 U 33/20 - juris Rn. 11.

⁵⁷ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 15; OLG Dresden, Urteil vom 5. Januar 2023 - 8 U 901/22 - juris Rn. 27 - აქ გამოყენებულია ფრაზა „გონივრულ ფარგლებში“.

prima facie-მტკიცებულებაზე აპელირება არ არის გამორიცხული მხოლოდ იმის გამო, რომ პირდაპირ მომავალი მძლოლი გადაჭარბებული სიჩქარით (თუნდაც მნიშვნელოვნად გადაჭარბებული სიჩქარით) მოძრაობდა, რადგან ეს არ აუქმებს შემხვედრი ტრანსპორტის უპირატესი მოძრაობის უფლებას.⁵⁸ თუმცა, თუ დადგინდა, რომ პირდაპირ მოძრავი ავტომობილი, გადაჭარბებული სიჩქარის გამო, არ იყო შემჩნევადი გზის დათმობის ვალდებულების მქონე მძლოსათვის, მარცხნივ შეხვევის/მოხვევის მანევრის დაწყებამდე (მაგალითად, ბრმა მოსახვევის გამო), უმაღლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში **prima facie**-მტკიცებულება შერყეულად უნდა ჩაითვალოს.⁵⁹

ავარია გზაჯვარედინზე:

გზაჯვარედინზე ან გზათა შეერთების მონაკვეთზე, პრიორიტეტულ გზაზე მოძრავ (უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე) ავტომობილსა და გზის დათმობის ვალდებულების მქონე ავტომობილს შორის შეჯახების შემთხვევაში **prima facie**-მტკიცებულება მეტყველებს ამ უკანასკნელის ბრალეულობაზე.⁶⁰ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ წინა დისკუსია მარცხნივ შემხვევსა და პირდაპირ მოძრავ ავტომობილს შორის შეჯახებასთან დაკავშირებით.

განათების მოთხოვნების დარღვევა:

განათების ფარების ჩართვის მოთხოვნების

დარღვევის შემთხვევაში, პირველი შთაბეჭდილება შეიძლება მიუთითებდეს, რომ ავარია გამოიწვია სწორედ ამ მოვალეობის დარღვევამ.⁶¹ თუმცა, საეჭვოა, მოქმედებს თუ არა ეს წესი მაშინაც, როდესაც შემხვედრი ავტომობილი, რომელსაც არ აქვს ჩართული სათანადო განათება, მაინც ხილული იყო ავარიის მონაწილე მარცხნივ შემხვევი მძლოსათვის.⁶² ასეთ სიტუაციაში, უფრო სავარაუდოა საგზაო მოძრაობისა და მოვლენათა განვითარების ატიპიური სცენარი. რაც გულისხმობს, რომ **prima facie**-მტკიცებულების პრინციპები არ უნდა იყოს გამოყენებული, არც მარცხნივ შემხვევი ავტომობილის მიერ გზის დათმობის მოვალეობის დარღვევიდან გამომდინარე და არც შემხვედრი ავტომობილის მიერ განათების ფარების ჩართვის მოვალეობის დარღვევის გამო.⁶³

შეჯახება მოპირდაპირე სავალ ზოლზე/სავალი ზოლიდან გადასვლა:

თუ მძლოლი გადადის მისი სავალი ზოლიდან და შედეგად ეჯახება მოპირდაპირე ზოლზე მოძრავ შემხვედრ ავტომობილს, **prima facie**-მტკიცებულება მეტყველებს მისი ბრალეულობის სასარგებლოდ.⁶⁴ თუმცა, მოვლენათა განვითარების ტიპური სცენარი, რომელსაც შეიძლება დაემყაროს **prima facie**-მტკიცებულება, აღარ გვაქვს სახეზე იმ შემთხვევებში, როდესაც მძლოლი, მართალია, გადადის სწორი და კარგად ხილვადი გზიდან, თუმცა ეს პირდაპირ არის გამო-

⁵⁸ BGH, Urteil vom 7. Februar 2012 - VI ZR 133/11 - NJW 2012, 1953, juris Rn. 8; KG Berlin, Urteil vom 21. Februar 2019 - 22 U 122/17 - juris Rn. 29.

⁵⁹ OLG Düsseldorf, Urteil vom 17. Januar 2023 - 1 U 208/20 - juris Rn. 52; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 17. September 2009 - 12 U 26/09 - MDR 2010, 265, juris Rn. 24; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 30. Januar 2007 - 4 U 409/06 - MDR 2007, 1069, juris Rn. 42.

⁶⁰ OLG Köln, Urteil vom 12. Oktober 2022 - I-16 U 194/21 - juris Rn. 11; OLG Zweibrücken, Urteil vom 4. November 2020 - 1 U 78/19 - juris Rn. 32; OLG München, Urteil vom 19. Oktober 2018 - 10 U 1153/17 - juris Rn. 8.

⁶¹ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 18; OLG Rostock, Urteil

vom 11. März 2011 - 5 U 122/10 - DAR 2011, 263, juris Rn. 22.

⁶² იხ. OLG Hamm, Urteil vom 9. November 2022 - I-11 U 38/22 - NJW-RR 2023, 463, juris Rn. 14: მოტოციკლისტი მოძრაობს სიბნელეში ანეული წინა ბორბლით.

⁶³ იხ. ასევე: BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn 15.

⁶⁴ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 18. Juni 2020 - 4 U 4/19 - juris Rn. 78; OLG Hamm, Urteil vom 8. September 2015 - I-9 U 131/14 - NJW-RR 2016, 405, juris Rn. 43; OLG Frankfurt, Urteil vom 4. März 2014 - 15 U 144/12 - juris Rn. 20; OLG Düsseldorf, Urteil vom 29. September 2009 - I-1 U 157/08 - juris Rn. 41.

წვეული იმით, რომ, თავის მხრივ, მას გადაეღობა სხვა, შემხვედრი ზოლიდან გადმოსული ავტომობილი, რომელმაც გადასწრების მანევრის დასრულება მხოლოდ ბოლო მომენტში მოასწრო.⁶⁵

დინამიურ მოძრაობაში შესვლა ან ამოძრავება:

თუ შეჯახება ხდება ავტომობილის დინამიურ მოძრაობაში (ტრაფიკში) შესვლასთან ან იქ ამოძრავებასთან უშუალო დროით და სივრცით კავშირში, *prima facie*-მტკიცებულება მეტყველებს ამ შემსვლელი/ამოძრავებული მძღოლის ბრალეულობის სასარგებლოდ.⁶⁶ თუმცა, მოვლენათა განვითარების ტიპური სცენარის არარსებობის გამო, ეს ვარაუდი არ მოქმედებს, თუ შეჯახება ხდება ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე, მოძრაობის წესების დარღვევით, უკუსვლით მოძრავ ავტომობილთან.⁶⁷

ავტოსადგომზე ავარია პარკირების ადგილებიდან ერთდროულად გამოსვლისას:

იმ შემთხვევებში, როდესაც დადგინდა, რომ შეჯახება მოხდა უკუსვლისას (რაც ნიშნავს, რომ უკუსვლით მოძრავი მძღოლი შეჯახების მომენტში ჯერ კიდევ არ იყო გაჩერებული), თუნდაც ამ ტიპის ავარია ავტოსადგომზე მოხდეს, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების თანახმად, მიიჩნევა, რომ უკუსვლით მოძრავმა დაარღვია გულისხმიერების ვალდებულება და ამით (სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც) შეიტანა წვლილი ავარიის გამომწვევაში.⁶⁸ თუმცა, *prima*

facie-მტკიცებულება არ მოქმედებს იმ მძღოლის წინააღმდეგ, როდესაც არ შეიძლება იმ სცენარის გამორიცხვა, რომ მას, შეჯახების მომენტში, ავტომობილი უკვე სრულად ჰქონდა გაჩერებული და მხოლოდ ამის შემდეგ დაეჯახა სადგომიდან უკუსვლით გამოსული სხვა ავტომობილი.⁶⁹

ავტომობილში ჩაჯდომა და ავტომობილიდან გადმოსვლა:

თუ ავარია ხდება ავტომობილში ჩაჯდომასა თუ ავტომობილიდან გადმოსვლასთან უშუალო დროით და სივრცით კავშირში, *prima facie*-მტკიცებულება მეტყველებს იმ პირის მიერ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაზე, რომელიც ჯდება ან გადმოდის ავტომობილიდან.⁷⁰

ავტომობილის მართვა დაუშვებელ კონდიციაში/მართვის მოწმობის გარეშე მართვა:

დაუშვებელ კონდიციაში ავტომობილის მართვისა და მართვის მოწმობის გარეშე მართვის შემთხვევებში *prima facie*-მტკიცებულების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია: IV.2.დ) ა) თავში.

გგ) პრაქტიკული შედეგები:

ფაქტობრივი პერსპექტივის ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო პასუხისმგებლობის ამ ამოსავალი წინაპირობების დადგენიდან (ავარიაში წილთა შეწონის საფუძველზე) პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე გადასვლისას. ეს ცვლილება

⁶⁵ BGH, Urteil vom 19. März 1996 - VI ZR 380/94 - NJW 1996, 1828, juris Rn. 11.

⁶⁶ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 14/23 - juris Rn. 14; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 14. Februar 2023 - 7 U 63/22 - DAR 2023, 572, juris Rn. 13; OLG Hamm, Urteil vom 21. Dezember 2021 - I-7 U 21/20 - DAR 2022, 146, juris Rn. 14; vgl. auch BGH, Urteil vom 10. Oktober 2023 - VI ZR 287/22 - MDR 2023, 1587, juris Rn. 20.

⁶⁷ BGH, Urteil vom 10. Oktober 2023 - VI ZR 287/22 - MDR 2023, 1587, juris Rn. 20.

⁶⁸ BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 15.

Dezember 2015 - VI ZR 6/15 - NJW 2016, 1098, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 26. Januar 2016 - VI ZR 179/15 - NJW 2016, 1100, juris Rn. 11.

⁶⁹ BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 15. Dezember 2015 - VI ZR 6/15 - NJW 2016, 1098, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 26. Januar 2016 - VI ZR 179/15 - NJW 2016, 1100, juris Rn. 11; OLG Hamm, Beschluss vom 9. Februar 2023 - I-7 U 3/23 - juris Rn. 7.

⁷⁰ BGH, Urteil vom 6. Oktober 2009 - VI ZR 316/08 - NJW 2009, 3791, juris Rn. 12; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 24. März 2023 - 3 U 9/23 - juris Rn. 15.

გამომდინარეობს (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფისა და ამავე კანონის მე-17 პარაგრაფის ურთიერთკავშირიდან.

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით დადგენილი პასუხისმგებლობის ფაქტობრივი წინაპირობების განხილვის ფარგლებში, ავტომობილის მფლობელის საზიანოდ და მისი პასუხისმგებლობის დამფუძნებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა გარემოება, რომელთა უარყოფასაც ის ვერ ახერხებს. თუმცა, როდესაც პასუხისმგებლობის შემადგენლობის წინაპირობები დაკმაყოფილებულია და საქმე ეხება რამდენიმე მონაწილის (ავტომობილის მფლობელის) მიერ გამოწვეულ ავარიას, რის გამოც აუცილებელია პასუხისმგებლობის განსაზღვრა ხსენებული კანონის 17 I პარაგრაფის შესაბამისად, ინდივიდუალური შემთხვევის ყველა შესაბამისი გარემოება უნდა იყოს შეფასებული. თუმცა, ამ შეფასებაში ჩართვას ექვემდებარება მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც დადგენილია ზემოთ აღწერილი ხერხით. ვარაუდები ან დაუდასტურებელი მტკიცებები გათვალისწინებული არ უნდა იქნეს.

ეს არ ახდენს გავლენას იმ ფაქტზე, რომ ობიექტურად დადგენილი (საგზაო მოძრაობაში მნიშვნელობის მქონე) მოვლენებიდან გამომდინარე (მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი) საფრთხის შექმნა წარმოადგენს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას შესაბამის კაუზალურ წვლილს. ეს ფაქტორი შეიძლება იყოს ერთადერთი რელევანტური კაუზალური წვლილი ავარიაში, თუ ავარიის გარემოებები სხვაგვარად გაურკვეველი რჩება [მხოლოდ ერთდერთ მონაწილეს შეეცხებოდეს ავარიის გამომწვევა].

მაგალითად, თუ ორი ავტომობილი ერთმანეთს ეჯახება შემხვედრ მოძრაობაში და ვერ დგინდება ავარიის გამომწვევი მოვლენების ზუ-

სტი და ცალსახა თანმიმდევრობა, განსაკუთრებით, თუ რომელი ავტომობილი გადავიდა მოპირდაპირე ზოლზე ან რა სიჩქარით მოძრაობდნენ ავტომობილები, ერთადერთ კაუზალურ წვლილად ავარიაში, შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ იმ საფრთხის/რისკის საკუთარ თავზე აღება, რომელიც კონკრეტულ გარემოებებში მოცემულ გზაზე მოძრაობისთვისაა დამახასიათებელი. ვინაიდან ასეთ სიტუაციებში ეს რისკი, ჩვეულებრივ, ერთნაირია მოძრაობაში ჩართული ორივე მონაწილისათვის [ორივე მათგანის მიერ თანაბრადაა განპირობებული], მიზანშეწონილია პასუხისმგებლობის თანაბარი განაწილება (იხ. ავტომობილთა განსხვავებულ გაბარიტებთან დაკავშირებით: თავი დ) ბბ) (2)).

დ) ზიანის კაუზალობა:

არასწორი მოქმედება ან საფრთხის შექმნა შეიძლება შეერაცხოს ავტომობილის მფლობელს და მხოლოდ მაშინ ზრდის მისი პასუხისმგებლობის წილს⁷¹, როდესაც ამან გავლენა მოახდინა ავარიის კონკრეტულ გარემოებებზე და ხელი შეუწყო მას.⁷²

აა) ავტომობილის მართვა დაუშვებელ კონდიციაში/მართვის მოწმობის გარეშე მართვა:

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ავარიაში მონაწილე მძღოლი ავტომობილს დაუშვებელ კონდიციაში (ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარება, ან ჯანმრთელობის მდგომარეობა) მართავდა, ავარიაში შეტანილ წვლილთა შეწონისას, მხოლოდ მაშინ გადაწონის სასწორის პინას მის მხარეს, როდესაც ამ კონდიციას კონკრეტული გავლენა ჰქონდა ავარიაზე.⁷³ ალკოჰოლით გამომწვეული მართვის აბსოლუტური უუნარობის შემთხვევაში, ამის სასარგებლოდ მეტყველებს *prima facie*-

⁷¹ სიტყვასიტყვით: „შეერაცხება წილის გამზრდებლად“.

⁷² BGH, Urteil vom 6. Oktober 2009 - VI ZR 316/08 - NJW 2009, 3791, juris Rn. 12; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 24. März 2023 - 3 U 9/23 - juris Rn. 15.

⁷³ BGH, Urteil vom 10. Januar 1995 - VI ZR 247/94 - NJW 1995, 1029, juris Rn. 10; OLG Frankfurt, Urteil vom 3. Februar 2010 - 12 U 47/08 - juris Rn. 9; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 14. Juni 2007 - 12 U 188/06 - juris Rn. 3: ალკოჰოლით გამომწვეული მართვის უუნარობა.

მტკიცებულება, თუ ავარია მოხდა იმ გარემოებებში, რომლებთან გამკლავებაც ფხიზელ მძღოლს არ გაუჭირდებოდა.⁷⁴ ალკოჰოლით განპირობებულ მართვის ტიპურ შეცდომებს განეკუთვნება, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც მძღოლი, რაიმე აშკარა მიზეზის გარეშე, მარტივ საგზაო-სატრანსპორტო სიტუაციაში გზიდან გადადის⁷⁵, დროულად ვერ ამჩნევს დაბრკოლებებს ან საფრთხეებს, გვიან რეაგირებს მათზე ან/და მისი რეაქცია გადაჭარბებულია.⁷⁶

ბბ) ავტომობილიდან მომდინარე სპეციფიკური და გზრდის საფრთხეები:

(1) ავტომობილის კონსტრუქციის ან ტექნიკური აღჭურვილობის შედეგად გამონეული სპეციფიკური საფრთხეები მხოლოდ მაშინ გაითვალისწინება ავარიაში წვლილთა შენონისას, თუ მათ ჰქონდათ მიზეზობრივი გავლენა კონკრეტულ ავარიაზე.⁷⁷ (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფში განერილი საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობა ემსახურება მხოლოდ მესამე პირთა დაცვას; ავტომობილის კონსტრუქციით განპირობებული სპეციფიკური საფრთხეები, რომლებიც მხოლოდ მძღოლს უქმნის სირთულეებს, მოცემულ კონტექსტში პირდაპირ და *per se* აქტუალური არ არის. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოტოციკლის არასტაბილურობამ შეიძლება გაზარდოს ექსპლუატაციის რისკები, მოტოციკ-

ლის ღია კონსტრუქციის გამო ტრავმის გზრდის საფრთხე – საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებისათვის რისკებს არ ზრდის.⁷⁸

სატვირთო მანქანის მოზრდილი გაბარიტები საფრთხეს ზრდის მაშინ, როდესაც საქმე ეხება, შემხვედრ მოძრაობაში, ავტომობილების (სატვირთოსა და შემხვედრი ავტომობილის) გვერდებით შეჯახებას; განსაკუთრებით, ვინრო გზაზე მოძრაობის დროს.⁷⁹ თუმცა, ავტომობილის სიგანე, როგორც წესი, მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული ავარიასთან, თუ ეს განიერი გაბარიტების მქონე ავტომობილი გაჩერდა ნითელ შუქნიშანზე და მას უქნიდან შეეჯახა სხვა ავტომობილი.⁸⁰

სატვირთო მანქანებისა და ავტობუსების სიმძიმე და გაბარიტების თვალუწვდენლობა ავარიასთან მიზეზობრივ კავშირშია მხოლოდ მაშინ, თუ ეს თავიდანვე შეუძლებელს ხდის გადახვევას ან სხვა მყისიერი მანევრების შესრულებას, ართულებს ავტომობილის მართვას ექსტრემალურ სიტუაციებში (მაგ., თოვლზე ან ყინულზე), ზრდის დამუხრუჭების მანძილს, ან სახიფათო ვითარება დროულად ვერ იქნა აღქმული შეზღუდული ხილვადობის გამო. ინდივიდუალური შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებული, იყო თუ არა (სატვირთო მანქანის/ავტობუსის) მისაბმელის მძიმე წონა ავარიისთვის კაუზალური, როდესაც შეჯახება მოხდა გზაჯვარედინებზე, ასევე, შემობრუნებისას ან შესვლისას⁸¹; ასევე: ზრდის თუ არა შეჯახებისას სატვირთო მანქანისა თუ ავტობუსის დიდი

⁷⁴ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 14. Juni 2007 - 12 U 188/06 - juris Rn. 3; OLG Düsseldorf, Urteil vom 5. März 2013 - I-1 U 116/12 - juris Rn. 98; OLG Düsseldorf, Urteil vom 13. Januar 1997 - 1 U 83/96 - Leitsatz in juris.

⁷⁵ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 12. Oktober 2022 - 5 U 22/22 - NJW-RR 2023, 42, juris Rn. 44; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Januar 2020 - 11 U 197/18 - juris Rn. 6; დადგენილი პრაქტიკა სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

⁷⁶ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 12. Oktober 2022 - 5 U 22/22 - NJW-RR 2023, 42, juris Rn. 44, სადაზღვევო ხელშეკრულების სამართალთან დაკავშირებით.

⁷⁷ BGH, Urteil vom 26. April 2005 - VI ZR 228/03 - NJW 2005, 1940, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 1. Dezember 2009 - VI ZR 221/08 - NJW-RR 2010,

839, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 27. Mai 2014 - VI ZR 279/13 - NJW 2014, 3097, juris Rn. 16; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 47/21 - NJW 2022, 2279, juris Rn. 5 und 18.

⁷⁸ BGH, Urteil vom 1. Dezember 2009 - VI ZR 221/08 - NJW-RR 2010, 839, juris Rn. 27.

⁷⁹ შდრ. OLG Düsseldorf, Urteil vom 22. Februar 2011 - 1 U 86/10 - juris Rn. 46: გადაბმული ავტობუსის მოხვევის მანევრი.

⁸⁰ იხ. აგრეთვე Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 22. Juni 2022 - 14 U 181/21 - juris Rn. 25.

⁸¹ OLG Hamm, Urteil vom 3. Dezember 2021 - I-7 U 33/20 -NJW-RR 2022, 676, juris Rn. 18; OLG Hamm, Urteil vom 16. November 2018 - I-9 U 138/17 - juris Rn. 22; OLG Frankfurt, Urteil vom 10. September 2015 - 22 U 73/14 – NJW-RR 2016, 731,

მასა დარტყმის ძალას და ამით, ამ ტიპის ავტომობილებიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის რისკებს. ამ უკანასკნელ ფაქტორთა ზემოქმედება გამორიცხულია გვერდებით („გასმით“) შეჯახების შემთხვევაში და ან დაბალი სიჩქარით შეჯახებისას.⁸²

თუ მოტოციკლისტი ვარდება სხვა ავტომობილთან შეჯახების შედეგად, ორბორბლიანი სატრანსპორტო ავტომობილის არასტაბილური კონსტრუქცია მართლაც შეიძლება იყოს, დაზიანების თანმდევი შედეგების ნაწილში, ექსპლუატაციის საფრთხეების გამზრდელი ფაქტორი. თუმცა, უნდა დგინდებოდეს, რომ დაზიანებები არ მომხდარა თავად შეჯახების დროს, არამედ შემდგომი დაცემის შედეგად.⁸³

(2) მაშინ როდესაც, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ითხოვს დადგენილ მიზეზობრიობას ზიანთან მიმართებით (კაუზალურ ზიანს), ცალკეული უმაღლესი სამხარეო სასამართლოები საკმარისად მიიჩნევენ და ავარიში მონაწილის წვლილს, შეწონისას, უფრო „წონადად“ (შესაძლოა გადამწონავადაც) აფასებენ უკვე მაშინ, როდესაც ავტომობილიდან მომდინარე სპეციფიკური საფრთხე საკუთარ თავში შეიცავდა/ზრდიდა კონკრეტული ავარიის გამომწვევის შესაძლებლობას. ეს სასამართლოები არ ითხოვენ ზიანის დადასტურებულ კაუზალობას.⁸⁴

ამ მოსაზრებას ის უპირატესობა აქვს, რომ ის საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის უკან მდგომ ნორმატიულ მიზნებს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის წინაპირობების დადგენის ეტაპზე აქცევს ყურადღებას, არამედ ასევე – პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრის ეტაპზეც. საბოლოო ჯამში, ამ მოსაზრებას მივყავართ იმ (სწორ) დასკვნამდე, რომ ავტომობილის მახასიათებლები, რომლებიც აბსტრაქტულად ზრდის საფრთხეს, გათვალისწინებულია,

ასევე, ავარიაში წვლილთა მიხედვით პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, თუ ამ მახასიათებლებმა გაზარდეს კონკრეტული ავარიის რისკი (მაშინაც კი, როდესაც, ამ რისკის გაზრდა, *conditio sine qua non*-მიზეზობრიობის გაგებით, დამტკიცებადი არ არის). საილუსტრაციო მაგალითი შეიძლება იყოს, შემხვედრ მოძრაობაში, ძალიან ფართო სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს შორის შეჯახება, რომლის კონკრეტული მიზეზების გამორკვევა შეუძლებელია. იმის გამო, რომ ვერ დგინდება ვერაფერი, გარდა ორი ავტომობილის შეჯახებისა, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ორივე მონაწილის წვლილი თანაბრად უნდა შეფასდეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სატვირთო მანქანის დიდი სიგანემ მაინც გაზარდა შეჯახების შანსი, ამით მისი ექსპლუატაციიდან მომდინარე საფრთხეც გაზრდილად უნდა ჩაითვალოს [და მისი მფლობელის წვლილი მეტს იწონის].

იგივე წესი მოქმედებს, თუ, [შემხვედრ მოძრაობაში] ორი ავტომობილის შეჯახებისას, დადგინდება, რომ ერთი ზოლი მოყინული იყო, მეორე კი მარილით დაფარული, ხოლო ავარიის გამომწვევი სხვა გარემოებები დაუდგენელი რჩება. ამ შემთხვევაში, მოყინულ გზაზე მოძრაობა არა მხოლოდ აბსტრაქტულად არის უფრო მეტი საფრთხის შემცველი, არამედ, კონკრეტული ავტოსატრანსპორტო სიტუაციის გათვალისწინებით, გაცილებით სარისკოა, ვიდრე მარილით დაფარულ საპირისპირო ზოლზე გადაადგილება.

გვ) ავარიის კონკრეტული გარემოებები/კრიტიკული ავტოსაგზაო სიტუაციის ათვლის წერტილი:

ანალოგიურად, მძღოლის არასწორი ქცევა მხოლოდ მაშინ გაითვალისწინება და ზრდის

juris Rn. 35 ff.: ამ გადანყვეტილებაში ეს დასაბუთებულია იმით, რომ საგზაო მოძრაობაში მოცემული ტიპის ქცევა განგრძობად ხასიათს ატარებდა.

⁸² BGH, Urteil vom 27. Mai 2014 - VI ZR 279/13 - NJW 2014, 3097, juris Rn. 16.

⁸³ OLG München, Urteil vom 30. März 2022 - 10 U 6313/20 - juris Rn. 27.

⁸⁴ OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21 - NJW-RR 2023, 313, juris Rn. 24; OLG Hamm, Urteil vom 16. August 2019 - I-7 U 3/19 - juris Rn. 37; KG Berlin, Beschluss vom 28. Dezember 2006 - 12 U 47/06 - juris Rn. 26; ასევე Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 9. Mai 2000 - 5 U 1346/99 - juris Rn. 10.

ავარიაში მის წვლილს, თუ ის მიზეზობრივად არის დაკავშირებული ზიანთან. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სიჩქარის ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევებში. მაგალითის სახით გზაჯვარედინზე ავარიის შემთხვევა იქნება მოხმობილი:

თუ შეჯახება მოხდა გზაჯვარედინზე უპირატესი მოძრაობის უფლების უგულებელყოფის გამო, ის ფაქტი, რომ პრიორიტეტულ გზაზე მოძრავი ავტომობილი გადაჭარბებული სიჩქარით გადაადგილდებოდა, როგორც წესი, ავარიაში წვლილთა შენონისას მხოლოდ მაშინ გაითვალისწინება, როდესაც სიჩქარის ლიმიტის დაცვით შესაძლებელი იქნებოდა ავარიის თავიდან აცილება.⁸⁵ ამ დროს კაუზალობის დასადგენად საკმარისია, თუ დროისა და დისტანციის თანაფარდობა (დინამიურ-ანალიტიკური პერსპექტივა) აჩვენებს, რომ გზის დათმობის ვალდებულების მქონე ავტომობილი მოასწრებდა სახიფათო ზონის დატოვებას⁸⁶, თუ პრიორიტეტულ გზაზე მოძრავი ავტომობილი დასაშვებ სიჩქარეს დაცავდა ან, ამ შემთხვევაში, უპირატესობის მქონე ავტომობილისათვის შესაძლებელი იქნებოდა დამუხრუჭება თუ გვერდის ავლა.⁸⁷

ამ ტიპის დასკვნები ფაქტების დეტალურ გამოკვლევას მოითხოვს, რადგან შეიძლება წამის მეათედზე იყოს დამოკიდებული იმის დადგენა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, ავარიის თავიდან აცილება დასაშვები სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში.⁸⁸ ეს განსაკუთრებით აშკარაა იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ავტომობილი ერთმანეთს გზაჯვარედინზე (გზაჯვარედინის გადაკვეთისას) ეჯახება.⁸⁹ აქ, შესაძლოა, უმცირეს დეტალებზე იყოს დამოკიდებული საკითხის გარკვევა, თუ რა საწყისი სიჩქარის პირობებში იქნებოდა ჯერ კიდევ შესაძლებელი სრული დამუხრუჭებით შეჯახების თავიდან აცილება (დროისა და დისტანციის თანაფარდობის ანალიზის

საფუძველზე); მაშინაც კი, თუ ეს მხოლოდ იმის წყალობით იქნებოდა შესაძლებელი, რომ გზის დათმობის ვალდებულების მქონე მძღოლი შეძლებდა საფრთხის ზონიდან გასვლას – უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე ავტომობილი, დაბალი საწყისი სიჩქარის პირობებში, ჩაუვლიდა უკან და „ბენჯზე“ აცდებოდა, კონტაქტის გარეშე, გზის დათმობის ვალდებულების დამრღვევ ავტომობილს. იგივე ეხება საკითხს, იყო თუ არა შესაძლებელი ავტომობილის არიდება და კონკრეტულად როგორ აისახებოდა ეს ჰიპოთეტური კაუზალობა ავარიის კონკრეტულ სცენარზე.

ასევე, ზიანის კაუზალობის ნაწილში, შეიძლება რელევანტური იყოს, ექნებოდა თუ არა ავარიას, რომელიც გარდაუვალი იყო, სიჩქარის ლიმიტის დაცვის შემთხვევაში, გაცილებით მსუბუქი შედეგები (დროისა და დისტანციის ანალიზის საფუძველზე). ეს თავისთავად ცხადი არ არის, რადგან, მართალია, დარტყმის დაბალი ძალა ნაკლებ კინეტიკურ ენერგიას ააქტიურებს, თუმცა დაზიანების სიმძიმე, განსაკუთრებით ადამიანის დაზიანებების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დარტყმის კუთხეზე. მაგალითად, ჰიპოთეტურმა კაუზალობამ შეიძლება გამოავლინოს, რომ დასაშვები მაქსიმალური სიჩქარის დაცვის შემთხვევაში, დარტყმა მოხდებოდა გვერდითა მგზავრის სავარძლის მიდამოებში (რაც სავარაუდოდ მძიმე შედეგებს გამოიწვევდა ამ ავტომობილის მგზავრებისთვის), მაშინ როდესაც, გადაჭარბებული სიჩქარის „წყალობით“, „მხოლოდ“ ავტომობილის ცხვირები გაეხახუნა/შეეჯახა ერთმანეთს. ამრიგად, ამ სცენარში, გადაჭარბებული სიჩქარე შესაძლოა საბოლოოდ უკეთესიც კი ყოფილიყო.

დროისა და დისტანციის ანალიზის საფუძველზე

⁸⁵ BGH, Urteil vom 18. November 2003 - VI ZR 31/02 - NJW 2004, 772, juris Rn. 8; OLG Frankfurt, Urteil vom 15. April 2014 - 16 U 213/13 - juris Rn. 33.

⁸⁶ BGH, Urteil vom 18. November 2003 - VI ZR 31/02 - NJW 2004, 772, juris Rn. 8.

⁸⁷ OLG Frankfurt, Beschluss vom 5. August 2014 - 2 U 91/14 - juris Rn. 17; BGH, Urteil vom 23. April 2002 - VI ZR 180/01 - NJW 2002, 2324, juris Rn. 15, ფეხით მოსიარულესთან შეჯახების შემთხვევაში.

⁸⁸ შდრ. BGH, Urteil vom 27. Juni 2000 - ZR 126/99 - NJW 2000, 3069, juris Rn. 15; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 21. September 2017 - 4 U 16/16 - juris Rn. 41.

⁸⁹ შდრ. ქვეითის მიერ გზის გადაკვეთის შემთხვევასთან მიმართებით: BGH, Urteil vom 27. Juni 2000 - ZR 126/99 - NJW 2000, 3069, juris Rn. 14 ff.

ლზე, კაუზალობასთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს თუ არა რეაქცია და დამუხრუჭების დრო მიზეზობრიობის გამოკვლევისას, დამოკიდებულია იმაზე, შეინარჩუნა თუ არა უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე მძღოლმა დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე კრიტიკული სიტუაციის დაწყებამდე. თუ სიჩქარის შემცირების ვალდებულება სიტუაციაზე დამოკიდებულია, რადგან ეს აუცილებელია კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მაშინ მძღოლს, რომელიც, კრიტიკული მდგომარეობის წარმოშობამდე, ავტომობილს საგზაო მოძრაობის წესების დაცვით [დასაშვები სიჩქარით] მართავდა, უნდა მიეცეს გარკვეული დრო რეაგირებისა და დამუხრუჭებისათვის.⁹⁰ ამის საპირისპიროდ, საგზაო მოძრაობის მონაწილეს, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს, დაუყოვნებლივ მოეთხოვება სიჩქარის დასაშვებ დონემდე შემცირება. ამიტომაც, მის შემთხვევაში, ალტერნატიული მართლზომიერი ქცევისათვის (რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად (ჰიპოთეტურ კაუზალობას) ათვლის წერტილია, არა დაუყოვნებლივი დამუხრუჭება და სიჩქარის დაგდება, არამედ [ჰიპოთეტური სცენარი, როდესაც] სიჩქარის ლიმიტი დაცული იყო უკვე ამ კრიტიკული სიტუაციის დაწყების მომენტისათვის (იხ. ამასთან დაკავშირებით ასევე ქვემოთ).⁹¹

ეს არის ის მომენტი, როდესაც მძღოლს, რომელიც სარგებლობს უპირატესი მოძრაობის უფლებით (ე. წ. ნდობის პრინციპის/დაცვის გათვალისწინებით) (იხ. ქვემოთ IV. 2. ე) ბბ), ჰქონდა შესაძლებლობა შეეცნო, რომ ავტოსაგზაო სიტუაცია კონკრეტული საფრთხის განვითარების რეალურ ნიშნებს შეიცავდა.⁹² ამიტომაც, გვიანდელი ავარია არ შეიძლება მიენეროს მხო-

ლოდ სიჩქარის ლიმიტის დარღვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგზაო მოძრაობაში კრიტიკული სიტუაციის დაწყებამდე, უკვე, მხოლოდ იმიტომ, რომ, ავტომობილი, ამ სიჩქარის გადაჭარბების გარეშე (ანუ, თუ დასაშვებ სიჩქარეს შეინარჩუნებდა) მხოლოდ მოგვიანებით მი აღწევდა შემთხვევის ადგილს.⁹³ უფრო მეტიც, დაუშვებელია იმის გათვალისწინება და არგუმენტად გამოყენება, რომ პირი, მართვის მონაწილის გარეშე, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარების ან მართვის უუნარობის გამომწვევი დაავადების გამო, საერთოდ არ უნდა მონაწილეობდეს საგზაო მოძრაობაში [და ამიტომაც მას, მხოლოდ ამ გარემოებებიდან გამომდინარე, შეეარაცხება ავტოსაგზაო შემთხვევით გამონვეული ნებისმიერი ზიანი].⁹⁴

ე) ქცევის წესები

აა) კანონისმიერი რეგულაციები:

გერმანიაში საგზაო მოძრაობის მონაწილის [სიტუაციური] ქცევის წესები/ვალდებულებები რეგულირდება საგზაო მოძრაობის შესახებ დებულებით (Straßenverkehrsordnung, StVO). ამ რეგულაციების შემაჯამებელი გადმოცემა აქ გამოტოვებულია. თუმცა, ცალკეული რეგულაციები შემდგომში იქნება განხილული. კონკრეტული ქცევის წესების ძირითადი შინაარსი არსებითად იდენტურია, როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში.

ბბ) ნდობის დაცვა:

ე. წ. ნდობის დაცვას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვა აქვს კონკრეტული ქცევის

⁹⁰ BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 21.

⁹¹ BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 21.

⁹² BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 11. Januar 1977 - VI ZR 268/74 - VersR 1977, 524 - juris Rn. 16; OLG Frankfurt, Urteil vom 15. April 2014 - 16 U 213/13 - VersR 2014, 1471, juris Rn. 35; OLG Celle, Urteil vom 27. Mai. 2009 - 14 U 2/09

- juris Rn. 21 f.; BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - juris Rn. 11.

⁹³ BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - juris Rn. 11; OLG Celle, Urteil vom 27. Mai 2009 - 14 U 2/09 - juris Rn. 23; KG Berlin, Urteil vom 16. August 2010 - 22 U 15/10 - juris Rn. 13.

⁹⁴ BGH, Urteil vom 10. Januar 1995 - VI ZR 247/94, NJW 1995, 1029, juris Rn. 10: მანქანის მართვის უუნარობის შემთხვევა.

ნესების შინაარსის განსაზღვრისას. მის მიხედვით, საგზაო მოძრაობის მონაწილე, ზოგადად, არ უნდა მოელოდოს და არ ევალება მოემზადოს იმისათვის, რომ მოძრაობის სხვა მონაწილე გაუფრთხილებელი ქცევით საფრთხეს შექმნის.⁹⁵ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სწრაფ და უწყვეტ მოძრაობას ეხება საქმე,⁹⁶ თავისი დაჩქარებული ხდომილებებით.⁹⁷ ამ მხრივ გადამწყვეტია თითოეული ცალკეული შემთხვევის გარემოებები.⁹⁸

მაგალითად, მძღოლს, რომელიც სარგებლობს უპირატესი მოძრაობის უფლებით, შეუძლია იყოს იმის იმედად, რომ სხვები მის ამ უფლებას გაითვალისწინებენ და გზას არ გადაუჭრიან. თუმცა, სხვა წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ავტოსაგზაო სიტუაცია საეჭვოა და მოვლენათა სხვაგვარი განვითარების საფუძველს იძლევა.⁹⁹ ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მეორე მძღოლი, რომელიც ვალდებულია სხვას გზა დაუთმოს, შეცნობადად არ აპირებს ამის გაკეთებას და აშკარად არღვევს მოძრაობის წესებს;¹⁰⁰ მაგალითად, ის შეუსაბამოდ მაღალი სიჩქარით ახლოვდება (უპირატესობის მქონე მძღოლისათვის კარგად ხილვად მონაკვეთზე) ან ავტომობილი, რომელიც თავდაპირველად გაჩერებული იყო გაჩერების ხაზზე, კვლავ იწყებს მოძრაობას.

მდინარე მოძრაობისგან (მისთვის ტიპურად დამახასიათებელი მოვლენათა სწრაფი განვითარებით) განსხვავებით, ნდობის დაცვის პრინ-

ციპი ზოგადად არ გამოიყენება პარკირების ადგილებში. აქ მძღოლი ყოველთვის უნდა მოელოდოს, რომ ავტომობილმა, რომელიც უკან იხევს, შედის ან გამოდის ავტოსადგომიდან, შეიძლება შეაფერხოს მისი წინსვლა. ამიტომაც, მათ უნდა იმოძრაონ დაბალი სიჩქარით და მუდამ მზად იყვნენ დამუხრუჭებისთვის, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეძლონ გაჩერება.¹⁰¹

როგორც წესი, მხოლოდ საგზაო მოძრაობის იმ მონაწილის ნდობა იმსახურებს დაცვას, რომელიც თავად იცავს საგზაო მოძრაობის წესებს.¹⁰² მაგალითად, მძღოლი, რომელიც სარგებლობს უპირატესობით, თუმცა შებინდებისას არ მოძრაობს საკმარისად განათებული ავტომობილით, ვერ იქნება იმის იმედად, რომ გზის დათმობის ვალდებულების მქონე მეორე მძღოლი მას შეამჩნევს. ანალოგიურად, ამ მძღოლმა არ უნდა იფიქროს, რომ, შებინდებისას, გართულებული ხილვადობისას (მაგ., მცენარეები მოსახვევში), მოახლოებული ავტომობილები (თუ ვივარაუდებთ, რომ ისინი სათანადოდ არიან განათებული) შეძლებენ შეამჩნიონ ფარების გამონაშეუქი უკვე მოსახვევში ან თავად ეს ფარები, ხილვადობის ბარიერის გავლით.¹⁰³

თუმცა, მაშინაც კი, როდესაც საგზაო მოძრაობის მონაწილე თავად არღვევს საკუთარ ვალდებულებებს, ნდობის დაცვის პრინციპი მაინც მოქმედებს მის სასარგებლოდ, მოძრაობის იმ მონაწილეებთან მიმართებით, რომლებსაც არ ეხებოდა და არ იცავდა დარღვეული (ქცევის)

⁹⁵ შდრ. BGH, Urteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21 - NJW 2023, 2108, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 20. September 2011 - VI ZR 282/10 - NJW-RR 2012, 157, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 16.

⁹⁶ BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 10.

⁹⁷ BGH, Urteil vom 2. März 1982 - VI ZR 230/80 - NJW 1982, 1756, juris Rn. 7; OLG Düsseldorf, Urteil vom 16. Dezember 1991 - 1 U 138/90 - juris Rn. 17.

⁹⁸ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 22.

⁹⁹ BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 21. Mai 1985 - VI ZR 201/83 - NJW 1985, 2757, juris Rn. 18; OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21 - NJW-RR 2023, 313, juris Rn.

19; OLG Hamm, Urteil vom 16. August 2019 - I-7 U 3/19 - juris Rn. 33.

¹⁰⁰ OLG Dresden, Urteil vom 5. Januar 2023 - 8 U 901/22 - juris Rn. 47.

¹⁰¹ BGH, Urteil vom 11. Oktober 2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175, juris Rn. 10; OLG Hamm, Beschluss vom 9. Februar 2023 - I-7 U 3/23 - juris Rn. 4.

¹⁰² BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 22; OLG Hamm, Urteil vom 15. Januar 2019 - I-7 U 38/18 - juris Rn. 43; OLG Bamberg, Urteil vom 3. Dezember 2013 - 5 U 95/13 - juris Rn. 31.

¹⁰³ შდრ. BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 22.

ნესი.¹⁰⁴ მაგალითად, მარჯვნივ მოძრაობის მოთხოვნა (*Rechtsfahrgebot*¹⁰⁵) იცავს მოძრაობის მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც გადაადგილდებიან იმავე გზაზე მოძრაობის (პირდაპირი) მიმართულებით.¹⁰⁶ მოძრაობის მონაწილე, რომელიც არღვევს პრიორიტეტულ გზაზე მარჯვენა ზოლში მოძრაობის წესს, მაინც შეიძლება მოელოდეს, რომ გზაჯვარედინზე ან შესასვლელთან გზის დათმობის ვალდებულების მქონე სხვა მძღოლები მას ამ გზას დაუთმობენ.¹⁰⁷ (როგორც ეს ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული – გვ) (3) ეს ხელს არ უშლის, მარჯვენა ზოლში მოძრაობის წესის დარღვევის გათვალისწინებას ავარიაში წვლილთა შენონისას.

დოგმატური პერსპექტივიდან, პრობლემურია შემდეგი სიტუაცია: მძღოლი, რომელსაც აქვს გზაჯვარედინზე გზის დათმობის ვალდებულება, ვარაუდობს, რომ პრიორიტეტულ გზაზე მოახლოებული მძღოლი დააკვირდება, უშუალოდ გადასასვლელის წინ განთავსებულ, ქვეითთა შუქნიშანზე ანთებულ წითელ შუქს (ე. წ. "გადამფარავი/შემაჩერებელი წითელი" (*abschirmendes Rot*)). ამ იმედით შედის ის გზაჯვარედინზე, რის შემდეგაც ხდება შეჯახება, იმის გამო, რომ პრიორიტეტულ გზაზე მოძრაობა მძღოლმა უგულებელყო ფეხით მოსიარულეთა შუქნიშნის წითელი შუქი. პირველ რიგში, ცალსახაა, რომ ქვეითთა შუქნიშანზე ანთებული წითელი გავლენას არ ახდენს უპირატესი მოძრაობის უფლებაზე – ქვეითთა შუქნიშანი ემსახურება მხოლოდ გზაზე გადამსვლელ ქვეითთა და არა გზის დათმობის ვალდებულების მქონე მძღოლის დაცვას.¹⁰⁸ ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე შერაცხვის (კაუზალური შერაცხვის) პრინციპების თანმიმდევრულად გა-

მოყენებისას, ასეთ ვითარებაში უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე მძღოლს შეეძლო ევარაუდა, რომ ქვეითთა შუქნიშანზე წითელი შუქის სიგნალის მიუხედავად, გზის დათმობის ვალდებულების მქონე არ შევიდოდა გზაჯვარედინზე. ამის საპირისპიროდ, გზის დათმობის ვალდებულების მქონე მძღოლი, საკუთარი ვალდებულების დარღვევის გამო (მოცდის ვალდებულების დარღვევა), ვერ მიენდობა იმ ფაქტს, რომ გზის უფლების მქონე მძღოლი დააკვირდებოდა ქვეითთა წითელ სიგნალს. ამ გადაწყვეტის შედეგი იქნებოდა ის, რომ დათმობის ვალდებულების მქონე მძღოლი დაარღვევდა [მხოლოდ] ელემენტარულ სიტუაციური ქცევის ვალდებულებას, მაშინ როდესაც, შუქნიშნის წითელის წინაშე „შემცოდავ“ მძღოლს, მიუხედავად მისი დარღვევის სიმძიმისა, „მხოლოდ“ ექსპლუატაციის ჩვეულებრივი რისკი შეერაცხებოდა [წითელზე არგაჩერება რისკს არ გაზრდიდა] და მხოლოდ მისგან ნარმომდგარ ნეგატიურ შედეგებს ატარებდა. ეს შედეგი პრობლემურია და გერმანული სასამართლო პრაქტიკა გარკვეულწილად უხვევს ზოგადი პრინციპებიდან მოცემული ტიპის განსაკუთრებულ შემთხვევებში. სასამართლო (სამართლიანი შედეგის მიღების მიზნით, თუმცა, საბოლოო ჯამში, სამართლებრივი სტაბილურობის ხარჯზე) აქ მიიჩნევს, რომ, მიუხედავად კაუზალური შერაცხვის არარსებობისა, დათმობავალდებული მძღოლის ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ უპირატესობის მქონე მძღოლი შეასრულებს თავის ვალ-

¹⁰⁴ BGH, Urteil vom 20. September 2011 - VI ZR 282/10 - NJW-RR 2012, 157, juris Rn. 11.

¹⁰⁵ *Rechtsfahrgebot* – „მარჯვენა ზოლში მოძრაობის მოთხოვნის“ მიხედვით, ავტომობილებმა მრავალზოლიან გზაზე, ზოგადად, მაქსიმალურად მარჯვენა ზოლში უნდა იმოძრაონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შესაბამისი სიტუაციური აუცილებლობით არის განპირობებული.

¹⁰⁶ BGH, Urteil vom 20. September 2011 - VI ZR 282/10 - NJW-RR 2012, 157, juris Rn. 11; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 17. April 2014 - 4 U 406/12 - juris Rn. 32;

OLG Stuttgart, Urteil vom 4. Juni 2014 - 3 U 15/14 - juris Rn. 17.

¹⁰⁷ BGH, Urteil vom 20. September 2011 - VI ZR 282/10 - NJW-RR 2012, 157, juris Rn. 11.

¹⁰⁸ BGH, Urteil vom 2. März 1982 - VI ZR 230/80 - NJW 1982, 1756, juris Rn. 6 ff.; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 14. Februar 2023 - 7 U 63/22 - DAR 2023, 572, juris Rn. 18; OLG Düsseldorf, Urteil vom 16. Dezember 1991 - 1 U 138/90 - juris Rn 8; საკითხი ღიად არის დატოვებული: OLG Celle, Urteil vom 23. Dezember 1998 - 3 U 46/98 - juris Rn. 3 ff.

დებულებას (და გააჩერებს ავტომობილს წითელზე), დაცვას საჭიროებს¹⁰⁹ და, როგორც ეს ქვემოთ იქნება ახსნილი, წითელზე გაჩერების ვალდებულების დარღვევა ზრდის (უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე ავტომობილის) ექსპლუატაციის რისკს, მიუხედავად კაუზალური შერაცხვის არარსებობისა.¹¹⁰ ბავშვებისა და გზის სხვა არამოტორიზებული მოძრაობის მონაწილეებთან მიმართებით ნდობის დაცვის ფარგლები უფრო დეტალურად იქნება განხილული V. 4. გ) გგ) თავში.

გგ) რეგულაციების დაცვით მიზანთან დაკავშირებული საკითხები

ზოგადი მოსაზრებით, ნორმის დაცვითი მიზნის ასპექტებიდან [კაუზალური შერაცხვა] გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანის დადგომით რეალიზდება ის რისკი, რომლის თავიდან არიდებაც წარმოადგენდა დარღვეული ქცევის წესის [დაცვით] მიზანს.¹¹¹ თუმცა, საკამათოა, გამორიცხავს თუ არა დაცვის მიზანთან კავშირის არარსებობა, ავარიაში წვლილთა შენონისას ამ ქცევის წესის დარღვევის გათვალისწინებას. ლიტერატურაში ეს ნაწილობრივ უარყოფილია.¹¹² სასამართლო პრაქტიკა მართებულად იკავებს განსხვავებულ პოზიციას და გადაამწყვეტად მიიჩნევს კონკრეტული შემთხვევის

თავისებურებებს.¹¹³

(1) საგზაო მოძრაობის რეგულაციების დაცვითი მიზანი:

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსაგზაო სამართლით დადგენილი ქცევის წესების დაცვითი ფარგლები, ჩვეულებრივ, რესტრიქციულად არ უნდა განიმარტოს.¹¹⁴

ავტოსაგზაო სამართლის ქცევის ვალდებულებები მიზნად ისახავს საგზაო მოძრაობაში საფრთხისა და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილებას. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ დადგენილი წესები ეფუძნება გამოცდილებით მიღებულ ცოდნასა და საგზაო მოძრაობის ტიპური საფრთხეების გათვალისწინებას; მათი მაქსიმალურად ეფექტურად პრევენციის მიზანს კონტურული ქცევის წესის დადგენით. აქედან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის დანაწესები, წარმოადგენენ იმ რეგულაციებს, რომელთა დაუცველობაც ზოგადად ზრდის ავარიის საფრთხეს.¹¹⁵ ამის გათვალისწინებით, საგზაო მოძრაობის სამართლით დადგენილი ქცევის წესების დაცვითი ფარგლები, ჩვეულებრივ, მოიცავს ყველა იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება წარმოშვას მისმა დარღვევამ; ანუ, არა მხოლოდ მათ, რომლებიც ამ წესის დარღვევის შედეგად

¹⁰⁹ BGH, Urteil vom 2. März 1982 - VI ZR 230/80 - NJW 1982, 1756, juris Rn. 6 ff.; OLG Celle, Urteil vom 23. Dezember 1998 - 3 U /98 - juris Rn. 4 f.

¹¹⁰ შედეგად, ავარიაში წვლილთა შენონის კუთხით, ამ შემთხვევებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა, ეს, საბოლოო ჯამში, არის სამართლებრივი სტაბილურობის შერყევის გარდაუვალი შედეგი, როდესაც დოგმატური პრინციპებიდან გადახვევა ხდება სამართლიანობის შეგრძნების სასარგებლოდ (რაც აქ არავითარ შემთხვევაში არ არის გაკრიტიკებული).

¹¹¹ BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - DAR 2023, 685, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - NJW 2023, 2109, juris Rn, 9; BGH, Urteil vom 24. März 2015 - VI ZR 265/14 - NJW 2015, 1681, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 21. Januar 2014 - VI ZR 253/13 - BGHZ 199, 377, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 31. Januar 2012 - VI ZR 43/11 - BGHZ 192, 261, juris Rn. 17; OLG Celle,

Urteil vom 13. Dezember 2023 - 14 U 32/23 - juris Rn. 20.

¹¹² Scholten in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 34.

¹¹³ BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 9; OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21, juris Rn. 23; OLG Hamm, Urteil vom 16. August 2019 - I-7 U 3/19 - juris Rn. 36; OLG München, Urteil vom 15. März 2019 - 10 U 2655/18 - juris Rn. 8; OLG Frankfurt, Urteil vom 9. April 2015 - 22 U 238/13 - NJW-RR 2016, 226, juris Rn. 8; KG Berlin, Beschluss vom 28. Dezember 2006 - 12 U 47/06 - NZV 2007, 406, juris Rn. 26.

¹¹⁴ შდრ. Scholten in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand:14.04.2023) Rn. 37.

¹¹⁵ BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 9.

ყველაზე ხშირად რეალიზდება. (ნორმის მიზნიდან გამომდინარე) კაუზალური შერაცხვის უკუგდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დაცვითი მიზანი, აშკარად და ცალსახად, მხოლოდ კონკრეტული საგზაო მოძრაობის მონაწილის დაცვით არის შემოზღუდული (მაგ., ფეხით მოსიარულეთა შუქნიშანი) ან, როდესაც არ არსებობს კავშირი¹¹⁶ (ან მხოლოდ უმნიშვნელო კავშირია) ქცევის წესის უგულებელყოფასა და ავარიის რისკის ამ ფორმით რეალიზებას შორის. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის მიერ გაკეთებული გამიჯვნა ყოველთვის ცალსახა არ არის და, მთელ რიგ შემთხვევებში, ეჭვს ბადებს.

მაგალითად, წესი, რომ, სწრაფ და უწყვეტ ავტოსაგზაო მოძრაობაში, უკან მომავალმა მანქანამ უნდა დაიცვას უსაფრთხოების დისტანცია, პირველ რიგში, მიზნად ისახავს, უკნიდან დაჯახების თავიდან აცილებას. თუმცა, ის ასევე ემსახურება გზის ხედვის გაუმჯობესებას, და მძღოლისათვის, საფრთხის შემთხვევაში, რეაგირებისთვის საკმარისი დროის მიცემას. მაგალითად, თუ მძღოლი ვერ ამჩნევს მეორეხარისხოვანი გზიდან შემოსულ ავტომობილს, ძალიან მცირე უსაფრთხო დისტანციის გამო (მაგ., წინ მოძრავი სატვირთო მანქანის მიერ გამოწვეული ხილვადობის შეზღუდვის მიზეზით) და გვიან რეაგირებს შექმნილ სახიფათო სიტუაციაზე, აქ ავარიაში რეალიზებულია ის რისკი, რომლის თავიდან აცილებასაც ემსახურებოდა უსაფრთხო დისტანციის დაცვის წესის დაცვითი მიზანი.¹¹⁷

ზოგადად დაუშვებელია, დაცვითი მიზნიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის შეზღუდვა სიჩქარის ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში. ეს წესი მოქმედებს იმისდა მიუხედავად, ლიმიტი დაწესებულია, როგორც საერთო მაქსიმალური სიჩქარე, ურბანულ და სასოფლო გზებზე¹¹⁸ თუ საგზაო ნიშნითაა დადგენილი. სიჩქარის შეზღუდვები ყოველთვის დამცავ ფუნქციას ატარებენ მოძრაობის ყველა მონაწილისათვის, განურჩევლად მათი დადგენის კონკრეტული მიზეზებისა. მაშინაც კი, თუ სიჩქარის შეზღუდვის მიზეზი განმარტებულია დამატებითი ნიშნით (სკოლა, საბავშვო ბაღი, ხმაურის დაცვა და ა. შ.), ეს მხოლოდ მოძრაობის მონაწილისათვის ამ ნიშნის მიმღებლობის გაზრდას ემსახურება. დადგენილი სიჩქარის ლიმიტის დაცვის ვალდებულება მაინც აბსოლუტურად მოქმედებს; მაგალითად, სკოლის წინ აღმართული სიჩქარის შეზღუდვის ნიშანი მოქმედებს, როგორც სასკოლო არდადეგების დროს, ასევე ღამით, და არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეების, არამედ მოძრაობის ყველა მონაწილის სასარგებლოდ (დასაცავად).¹¹⁹ ეს ძალაშია მაშინაც, როდესაც სიჩქარის ლიმიტი დროებითაა დაწესებული, გარდამავალი საფრთხის გამო და ეს საფრთხე უკვე აღმოფხვრილია.¹²⁰ თუ რამდენადაა დაცული ასეთ სიტუაციაში მოძრაობის მონაწილეთა ნდობა იმის მიმართ, რომ სხვა მონაწილეები ამ წესებს მაინც დაიცავენ (მაგ., ღამით ან სკოლის წინ სკოლის არდადეგების დროს), დამოკიდებულია ცალკეული შემთხვევის ინდი-

¹¹⁶ მაგალითად: თუ სატრანსპორტო საშუალების სიმაღლე შეზღუდულია დაბალი ხიდის გამო, ამ ვალდებულების დარღვევა მნიშვნელოვნად ზრდის მანქანის ხიდის ქვეშ ჩარჩენის რისკს. თუმცა, ამ ვალდებულების დარღვევა სხვა ავარიის რისკის რელიზაციაზე გავლენას არ ახდენს.

¹¹⁷ შდრ. BGH, Urteil vom 16. Januar 2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680, juris Rn. 9.

¹¹⁸ ასევე: BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 161/02 - NJW 2003, 1929, juris Rn. 18.

¹¹⁹ მთლიანობაში, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პერსპექტივიდან: Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 12. September 2019 - (2 Z) 53 Ss-OWi 488/19 (174/19) - DAR 2020, 208, juris Rn. 7 sowie Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 12. September

2019 - (2 Z) 53 Ss-OWi 488/19 (174/19) - DAR 2020, 216, juris Rn. 7; OLG Stuttgart, Beschluss vom 12. Juni 1998 - 1 Ss 338/98 - NZV 1998, 422, juris Rn. 5 ff.: სიჩქარის შეზღუდვები, რომელიც დაწესებულია ჰაერის ხარისხის შესანარჩუნებლად უნდა დაიცვან, ასევე, ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე ავტომობილების (მაგ., ელექტრომობილის) მძღოლებმა.

¹²⁰ OLG Hamm, Urteil vom 16. November 2018 - I-9 U 138/17 - juris Rn 15 und 30: ქვათაცვნიდან გამომდინარე სიჩქარის შეზღუდვა; OLG Düsseldorf, Beschluss vom 7. November 2014 - IV-2 RBs 115/14 - juris Rn. 7, საგზაო საშუალების შემდგომ სიჩქარის შეზღუდვის გაუქმების „დავინწყებასთან“ დაკავშირებით.

ვიდუალურ გარემოებებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საფრთხე (როგორცაა, მაგალითად, სამშენებლო მოედანი) აშკარად აღარ არსებობს.¹²¹ იგივე ითქმის პასუხისმგებლობის განსაზღვრის კონტექსტში სიჩქარის გადაჭარბების მნიშვნელობაზე.

ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო პრაქტიკა ამ მიჯნაზე მყოფ შემთხვევებს მოიხელთებს იმით, რომ, მართალია, ქცევის წესებთან მიმართებით (როგორცაა გასწრების აკრძალვა - იხ. (3)), ზოგადი პრინციპების თანახმად, უარყოფს დაცვითი მიზნიდან გამომდინარე [კაუზალურ] შერაცხვას, თუმცა, ატიპიურ კონსტელაციებში, დაზარალებულ მესამე პირს მაინც იცავს იმით, რომ საგზაო მოძრაობის მონაწილის გადაცდომა განიხილება (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 1 II პარაგრაფით გათვალისწინებულ, [მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ არსებულ] გულისხმიერების ზოგადი ვალდებულების დარღვევად.¹²²

(2) დაცვითი მიზანი წილთა შეწონის საფუძველზე პასუხისმგებლობის განსაზღვრის კონტექსტში:

შეიძლება თუ არა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში წვლილთა შეწონისას, ვალდებულების დარღვევა გათვალისწინებულ იქნეს, მიუხედავად ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე შერაცხვის არარსებობისა, ამაზე სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, თითოეული შემთხვევის თავისებურებებიდან გამომდინარე სცემს პასუხს. ეს ნიშნავს, რომ დაცვის მიზანთან კავშირის არარსებობა, აპრიორი, არ უშლის ხელს, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში, ამ გადაცდომის გათვალისწინებას.

როგორც ეს მე-2 თავში იყო მიმოხილული, აღიარებულია, რომ, მაგალითად, მარჯვენა ზოლში მოძრაობის წესი იცავს მხოლოდ გრძივი/პირდაპირი მიმართულებებით მოძრავ მონაწილეებს, მაგრამ არ იცავს მათ, ვისაც ევალება დათმობა შესასვლელთან ან გზაჯვარედინებზე.¹²³ თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ, ინდივიდუალური შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, მარჯვნივ მოძრაობის წესის უგულებელყოფამ შეიძლება გაზარდოს ავარიის რისკი:

თუ დათმობავალდებული მძღოლი, ამის მიუხედავად, მაინც კვეთს პრიორიტეტულ გზას და ეჯახება ავტომობილს, რომელიც მარცხენა ზოლებით გადასულია შუა ზოლზე [თავის მხრივ, არღვევს მარჯვნივ მოძრაობის წესს], მარჯვნივ მოძრაობის წესის დარღვევა არც აბსტრაქტულ და არც კონკრეტულ საფრთხეს არ ზრდის. შესაბამისად, გაუმართლებელია, რომ აღნიშნული დარღვევა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ავარიაში წვლილის სახით იყოს გათვალისწინებული. თუმცა სხვაგვარად უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც დათმობავალდებული პირი კი არ კვეთს გზას, არამედ შედის ამ გზის მარჯვენა ზოლში იმ ავტომობილის მიმართულებით, რომელსაც ჰქონდა უპირატესი მოძრაობის უფლება. ეს გადაწყვეტა ძალაშია იმის მიუხედავად, რომ მძღოლის უპირატესი მოძრაობის უფლება გზის მთელ სიგანეზე ვრცელდება¹²⁴ და არ არის ძალადაკარგული არც უწყვეტი ცენტრალური ხაზის არსებობით და არც მოძრაობის უფლების მქონე მძღოლის მიერ მოძრაობის წესების სხვა ფორმით დარღვევით, მაგალითად, უკანონო გასწრებით.¹²⁵

თუმცა, მარჯვენა ზოლში მოძრაობის წესის დარღვევა რეალურად ზრდის საფრთხეს, რო-

¹²¹ OLG Hamm, Urteil vom 16. November 2018 - I-9 U 138/17 - juris Rn. 30.
¹²² OLG Düsseldorf, Urteil vom 25. April 2017 - I-1 U 147/16 - NJW-RR 2017, 922, juris Rn.49; OLG Hamm, Urteil vom 23. April 2013 - I-9 U 12/13 - NZV 2014, 176, juris Rn. 15; KG Berlin, Urteil vom 25. Mai 1992 - 12 U 4397/91 - NZV 1992, 486, juris Rn. 28.
¹²³ BGH, Urteil vom 20. September 2011 - VI ZR 282/10 - NJW-RR 2012, 157, juris Rn. 11; OLG Frankfurt, Urteil vom 7. April 2017 - 1 U 141/14 -

juris Rn. 45; OLG Stuttgart, Urteil vom 4. Juni 2014 - 3 U 15/14 - juris Rn. 17.
¹²⁴ BGH, Urteil vom 27. Mai 2014 - VI ZR 279/13 - NJW 2014, 3097, juris Rn. 11; OLG Stuttgart, Beschluss vom 16. November 2022 - 19 U 40/22 - juris Rn. 4; OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21 - juris Rn. 9 f.; OLG München, Urteil vom 15. März 2019 - 10 U 2655/18 - juris Rn. 5.
¹²⁵ OLG München, Urteil vom 15. März 2019 - 10 U 2655/18 - juris Rn. 5 ff.

გორც აბსტრაქტულად, ისე კონკრეტულად, განსაკუთრებით ცუდი ხილვადობის პირობებში. ერთი მხრივ, დათმობავალდებული მძღოლები, ასეთ საგზაო სიტუაციებში, ხშირად უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ მარცხნიდან მომავალ ტრანსპორტზე. მეორე მხრივ, მათთვის უსაფრთხოა მარჯვნივ გადახვევა, თუ მარცხნიდან ავტომობილი არ ახლოვდება და უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე მძღოლი იცავს მარჯვნივ მოძრაობის წესს.¹²⁶ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ავარიაში თითოეული მხარის წვლილთა შენონისას, გათვალისწინებულ იქნეს ასევე მარჯვნივ მოძრაობის წესის დარღვევა, მიუხედავად დამცავ მიზანთან კავშირის არარსებობისა.¹²⁷

გარდა ამისა, სრულებით გაუმართლებელი იქნებოდა, ზემოთ ნახსენებ გზაჯვარედინებსა და გზათა შეერთების მონაკვეთებში მომხდარი ავარიების დროს, როდესაც ქვეითთა „გადამფარავი წითელი“ ანთებული (იხ. შემთხვევის ზუსტი აღწერილობისათვის, თავი: ე) ბბ), უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე მძღოლის დარღვევა – წითელზე არგაჩერება – მხოლოდ იმიტომ არ ყოფილიყო გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, რომ ქვეითთა შუქნიშანი არ იცავს დათმობის ვალდებულების მქონე პირებს. წითელზე არგაჩერებით, დამრღვევმა, საგრძნობი საფრთხე შეუქმნა ქვეითთა შუქნიშნის მიღმა მდებარე სატრანსპორტო ზონას, რადგან არ არის გამორიცხული, რომ გზის გადამკვეთი/შემომხვევი მძღოლი მიენდო იმ ფაქტს, რომ უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე პირი გაჩერდებოდა წითელზე.

(3) დაცვითი მიზნის საკითხებთან დაკავშირებული შემდგომი მაგალითები (მოკლე ჩამონათვალი):

ავარია გადასწრების დროს:

გადასწრების აკრძალვები არ იცავს მეორეხარისხოვანი გზიდან შემომსვლელ, გზის დათმობავალდებულ მძღოლს, არამედ მხოლოდ შემხვედრ ტრანსპორტს, წინ მიმავალ და უკან მიდევნებულ ავტომობილებს.¹²⁸ თუმცა ამისაგან დამოუკიდებლად, დათმობავალდებული პირი შეიძლება დაცული იყოს (გერმანიის) ავტოსაგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 1 II პარაგრაფით გათვალისწინებული გულისხმიერების ზოგადი ვალდებულებით, თუ გადამსწრები (განსაკუთრებით: გაჩერებული ავტოკოლონის გადამსწრები პირი) გზაჯვარედინებზე და გზების შეერთებებზე არ ითვალისწინებს და არ ემზადება იმისათვის, რომ დათმობავალდებული პირი შეიძლება შემოვიდეს ამ მხრიდან, მანქანებს შორის დარჩენილ თავისუფალ სივრცეში.¹²⁹ იგივე წესი მოქმედებს, როდესაც საგზაო მოძრაობის მონაწილე გადასწრებს ავტობუსს, რომელიც გზაჯვარედინის წინ ჩერდება.¹³⁰

შეზღუდული ხილვადობის მონაკვეთზე გასწრების აკრძალვა (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 5 II 1 პარაგრაფის მიხედვით) ემსახურება არა მხოლოდ შემხვედრი მოძრაობის დაცვას, არამედ, ასევე, იმ მოძრაობის მონაწილის დაცვას, რომელსაც გადაუსწრებენ. შეზღუდული ხილვადობის მონაკვეთზე გასწრებით, ასევე, ამ უკანასკნელსაც ემუქრება საფრთხე, რადგან გადამსწრები, როდესაც მას მოკლე დისტანციაზე [მანამდე ვერშემჩნეული] შემხვედრი ტრანსპორტი უახლოვდება, ხში-

¹²⁶ ფაქტების გამარტივებულად წარმოდგენისთვის, დასაშვებია გასწრების ფაქტობრივი გარემოებები არ იქნება განხილული.

¹²⁷ ასევე: OLG Hamm, Urteil vom 23. September 2022 - I-7 U 93/21 - juris Rn. 23; OLG Hamm, Urteil vom 16. August 2019 - I-7 U 3/19 - juris Rn. 36.

¹²⁸ KG Berlin, Beschluss vom 8. September 2008 - 12 U 197/07 - juris Rn. 21; KG, Berlin, Beschluss vom 15. Dezember 2005 - 12 U 165/05 - NZV 2006, 371,

juris Rn. 21; OLG Hamm, Urteil vom 23. April 2013 - I-9 U 12/13 - NZV 2014, 17, juris Rn. 14.

¹²⁹ OLG Düsseldorf, Urteil vom 25. April 2017 - I-1 U 147/16 - NJW-RR 2017, 922, juris Rn.49; OLG Hamm, Urteil vom 23. April 2013 - I-9 U 12/13 - NZV 2014, 176, juris Rn. 15; KG Berlin, Urteil vom 25. Mai 1992 - 12 U 4397/91 - NZV 1992, 486, juris Rn. 28.

¹³⁰ OLG Saarbrücken, Urteil vom 11. Januar 2019 - 13 S 142/18 - NJW-RR 2019, 853, juris Rn. 21.

რად ნაადრევად გადადის მარჯვენა მხარეს, რათა თავიდან აიცილოს შემხვედრთან შეჯახება [და სანაცვლოდ მარჯვენა მხარეს მოძრავ ავტომობილს ეჯახება]. გარდა ამისა, შეზღუდული ხილვადობის სიტუაციაში, გადამსწრები თავიდანვე ცდილობს იმოძრაოს მაქსიმალურად მარჯვნივ, რითაც მინიმუმამდე დაჰყავს გვერდითი დისტანცია გადამსწრებ ავტომობილთან.¹³¹ იგივე ეხება უწყვეტ გამყოფ ხაზს, რამდენადაც ეს, გზის სივნიროვის გამო, ფაქტობრივად გასწრების აკრძალვის ფუნქციას ასრულებს.¹³²

გვერდითი დისტანცია, რომელიც უნდა შეინარჩუნოს გადამსწრებმა, ხსენებული კანონის 5 IV პარაგრაფის მიხედვით, არ ემსახურება მოძრაობის იმ მონაწილის დაცვას, რომელიც მოძრაობას იწყებს ან შედის ავარიული გაჩერების ზოლიდან.¹³³ მართალია, გასწრება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამსწრები მოძრაობს გადასწრებულზე მნიშვნელოვნად მაღალი სიჩქარით (კანონის 5 II 2 პარაგრაფი), თუმცა ეს არ იცავს მარცხნივ შემხვევ დათმობავალდებულ მოძრაობის მონაწილეს, რომელსაც ასწრებენ მხოლოდ/შეუსაბამოდ მცირედით გადაჭარბებული სიჩქარით. ამიტომაც, ასეთ მონაწილეს არ შეუძლია იმაზე მითითება, რომ გასწრების მანევრი მარცხნივ შეხვევის მომენტი-სათვის უკვე დასრულებული იქნებოდა [და ავარია თავიდან აცილებული], თუ გადამსწრები უფრო სწრაფად იმოძრაებდა.¹³⁴

სიჩქარის შემცირების ვალდებულება სიტუაციიდან გამომდინარე – სიტუაციური ვალდებულება

თუ მოძრაობის განსაკუთრებით მონყვლადი

მომხმარებლების (ბავშვები, მოხუცებულები და ა. შ.) დაცვა მოითხოვს გულისხმიერების ვალდებულების ფარგლების გაფართოებას, როგორცაა სიჩქარის მნიშვნელოვანი შემცირება, მესამე პირები, რომელთა ყოფნასაც მძლოლი შემთხვევის ადგილზე არ უნდა მოელოდეს, არ არიან მოცული და დაცული [გულისხმიერების გაზრდილი ვალდებულების დაცული სფეროთი].¹³⁵

შეჯახება არარეგულირებულ გზაჯვარედინზე:

თუ გზაჯვარედინზე უპირატესი მოძრაობის უფლება არ არის კონკრეტულად რეგულირებული, მოძრაობის თითოეულ მონაწილეს, რომელიც უახლოვდება გზაჯვარედინს, აქვს მარცხნიდან მომავალი ტრანსპორტის მიმართ უპირატესობა, მაგრამ უნდა დაუთმოს გზა მარჯვნიდან მომავალს, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 8 I პარაგრაფი. იმისათვის რომ შეძლოს ამ სხვისი უპირატესი მოძრაობის უფლების დაცვა, მოძრაობის მონაწილე უნდა მიუახლოვდეს გზაჯვარედინს ზომიერი სიჩქარით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კვეთა შორიდან კარგად არ ჩანს და, საჭიროების შემთხვევაში, მზად იყოს დროულად დამუხრუჭებისათვის. ეს საგზაო სიტუაცია, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ, როგორც "ნახევრად უპირატესი მოძრაობის უფლება", ემსახურება არა მხოლოდ მარჯვნიდან მომავალი ტრანსპორტის დაცვას, არამედ მოძრაობის ყველა მონაწილის დაცვას, მათ შორის, ასევე – მარცხნიდან მომავალი დათმობავალდებული პირების.¹³⁶ თუმცა, არახილვადი გზაჯვარედინების უბანში, დათმობავალდებულს შეუძლია მიე-

¹³¹ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 15. Dezember 2022 - 4 U 136/21 - NJW-RR 2023, 458, juris Rn. 53.

¹³² OLG Hamm, Beschluss vom 13. Juli 2021 - I-7 U 66/20 - juris Rn. 15; zum Schutz des Linksabbiegenden: BGH, Urteil vom 28. April 1987 - VI ZR 66/86 - NJW-RR 1987, 1048, juris Rn. 22; Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 5. August 2010 - 2 U 5/10 - juris Rn. 18.

¹³³ KG Berlin, Beschluss vom 15. Dezember 2005 - 12 U 165/05 - DAR 2006, 454, juris Rn. 19 ff.

¹³⁴ ავსტრიული სასამართლო პრაქტიკიდან: OGH, vom 28.03.2012 - 2Ob40/12.

¹³⁵ BGH, Urteil vom 25. September 1990 - VI ZR 19/90 - NJW 1991, 292, juris Rn. 7.

¹³⁶ OLG Köln, Urteil vom 12. Oktober 2022 - I-16 U 194/21 - juris Rn. 8; OLG Hamm, Urteil vom 9. Juni 2020 - I-7 U 19/19 - juris Rn. 52 ff.; KG Berlin, Urteil vom 21. September 2016 - 29 U 45/15 - juris Rn. 5 f.

ნდოს იმ ფაქტს, რომ უპირატესობის მქონე მოუახლოვდება ადეკვატური სიჩქარით, თუ ეს საჭიროა იმისათვის, რომ – მისი პერსპექტივიდან – დაუთმოს გზა მარჯვნიდან მომავალ ტრანსპორტს. თუ უპირატესობის მქონეს აქვს მარჯვნიდან შემომავალი გზის დროული და საკმარისად ფართო ხედვა, მისთვის სიტუაცია ისეთივე განჭვრეტადია, როგორც პრიორიტეტულ გზაზე მოძრაობისას. ამ სიტუაციაში მას აქვს უფლება მიენდოს იმ გარემოებას, რომ მისი უპირატესი მოძრაობის უფლება დაცული იქნება, მისი მხრიდან დასაშვები სიჩქარის შემცირების გარეშე.¹³⁷ ასეთ შემთხვევებში, ნორმის დაცვითი მიზნის საკითხი თავიდანვე უპრობლემოა.

გადაკეტილი გზაჯვარედინი:

გადატვირთული მოძრაობის დროს გზაჯვარედინზე ან გზების შეერთებაზე შესვლის აკრძალვა, მიუხედავად იმისა, რომ მძღოლს უპირატესი მოძრაობის უფლება აქვს ან მწვანე შუქი (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების მე-11 პარაგრაფი) ემსახურება საცობის განტვირთვისას. ამიტომაც, მოძრაობის მონაწილე, რომელიც, კანონის მე-11 პარაგრაფის დარღვევით, შემდგომში შედის გზაჯვარედინზე, დაცული არ არის.¹³⁸

უნებართვო მართვა:

ქართული სასამართლო პრაქტიკის საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ, გერმანულ სამართალში ავტომობილის უნებართვო გამოყენე-

ბის აკრძალვა ემსახურება მხოლოდ ავტომობილის მესაკუთრისა და უფლებამოსილი მფლობელის დაცვას.¹³⁹ ეს აშკარაა იმ ფაქტიდან, რომ, სახეზეა თუ არა უნებართვო მართვა, დგინდება მხოლოდ მძღოლსა და მფლობელს ან მათ წარმომადგენელს შორის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე. შესაბამისად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის **248b** პარაგრაფი, რომელიც დასჯადად ცნობს ავტომობილის გამოყენებას უფლებამოსილი პირის ნების სანინააღმდეგოდ, არ წარმოადგენს არც დამცავ კანონს გსკ-ის **823 II** პარაგრაფის გაგებით¹⁴⁰ და არც სისხლისსამართლებრივ სატრანსპორტო დელიქტს, არამედ მხოლოდ – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.¹⁴¹ ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის ის ფაქტი, რომ უნებართვო მართვისას საგზაო შემთხვევების რაოდენობა არაპროპორციულად მაღალია, რადგან ვალდებულების დარღვევა ეფუძნება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი სარგებლობის უფლებამოსილების არარსებობას. საგზაო მოძრაობის ზოგადი უსაფრთხოების ეს ასპექტი მართლწესრიგის მიერ გათვალისწინებულია და ანგარიშგანეულია უკვე იმით, რომ ავტომობილის მფლობელს ან მის წარმომადგენელს გულისხმიერების გამკაცრებული ვალდებულებები ეკისრება, რათა თავიდან აიცილოს ავტომობილის უნებართვო გამოყენება (იხ. ზემოთ II. 7).

¹³⁷ BGH, Urteil vom 21. Mai 1985 - VI ZR 201/83 - NJW 1985, 2757, juris Rn. 18; იხ. სრულად: OLG Köln, Urteil vom 12. Oktober 2022 - I-16 U 194/21 - juris Rn. 8; OLG Hamm, Urteil vom 9. Juni 2020 - I-7 U 19/19 - juris Rn. 52 ff.; KG Berlin, Urteil vom 21. September 2016 - 29 U 45/15 - juris Rn. 5 f.

¹³⁸ OLG Karlsruhe, Urteil vom 15. Oktober 2012 - 1 U 66/12 - NJW-RR 2013, 734, juris Rn. 35.

¹³⁹ AG Düsseldorf, Beschluss vom 8. August 2012 - 513 IK 115/12 - ZinsO 2013, 837, juris Rn. 10; Kretschmer in: *Leipold/Tsambikakis/Zöller, Anwaltkommentar StGB*, 3. Auflage 2020, § 248b StGB, ზოგადად: Rn. 1; Schmidt in: *Freymann/Wellner, jurisPK-*

Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 823 BGB (Stand: 24.01.2023) Rn. 177.

¹⁴⁰ BGH, Urteil vom 4. Dezember 1956 - VI ZR 161/55 - BGHZ 22, 293, juris Rn. 12 f.; Schmidt in: *Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht*, 2. Aufl., § 823 BGB (Stand: 24.01.2023) Rn. 177; უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის გარკვეულწილად გაურკვეველი გადაწყვეტილება: BGH, Urteil vom 17. Oktober 1957 - 4 StR 523/57 - BGHSt 11, 47, juris Rn. 8.

¹⁴¹ შტრ. Niehaus in: *Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht*, 2. Aufl., § 248b StGB (Stand: 28.02.2022) Rn. 2.

საჯარო გზებზე ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვები:

თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში ჩართულია ავტომობილი, რომელიც, გზაზე გადაადგილების შეზღუდვის გამო, გზის მოცემულ მონაკვეთზე არ უნდა გადაადგილდებოდეს, შეერაცხება თუ არა მას ვალდებულების დარღვევა პასუხისმგებლობის სამართლის გაგებით, დამოკიდებულია აკრძალვის დაცვით მიზანზე.¹⁴² თუ საჯარო გზის გამოყენება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრანსპორტისათვის არის დაშვებული, ეს არ ემსახურება ველოსიპედისტებისა და ქვეითთა დაცვას.¹⁴³ საფრთხეები, რომლებიც ავტომობილიდან მომდინარეობს და ეხება საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს, არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მიზეზით (რაც ხშირად სხვა მონაწილეებისთვის შეცნობადი არ არის) ხდება გზაზე გადაადგილება, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნებადართული ავტომობილით თუ არანებადართული ავტომობილით ქალაქგარეთ გასასეირნებლად. იგივე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც გზის გამოყენება მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებლებისთვის არის ნებადართული.¹⁴⁴

თუმცა, შესაძლოა სხვანაირად იყოს საქმე, თუ გზაზე გადაადგილების შეზღუდვა არა მგზავრობის მიზნის, არამედ ავტომობილის ტიპის მიხედვით არის დადგენილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, ემსახურება თუ არა გზაზე გადაადგილების შეზღუდვა დაზარალებულის დაცვას.¹⁴⁵ ეს განსაკუთრებით პრობლემატურია წონის ლიმიტის არსებობისას. ეჭვგარეშეა, რომ ეს შეზღუდვა, ძირითადად, მძიმედ დატვირთული ტრანსპორტის მიერ გზებისა და ხიდების დაზი-

ანების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წონის ლიმიტი, ფაქტობრივად, ყოველთვის მხოლოდ იმ ავტომობილებს ეხება, რომლებსაც დიდი სიგანე აქვთ. შესაბამისად, მოძრაობის დროს, არსებობს ურთიერთქმედება ავტომობილის სიგანესა (რაც ხშირად საერთო წონასთან არის დაკავშირებული) და ავარიის რისკს შორის. მიუხედავად ამისა, აქ მაინც უნდა უარვეყოთ ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე შეერაცხვა, რადგან წონის შეზღუდვა ემსახურება არა მოძრაობის დაცვას, არამედ – მხოლოდ გზის საფარისა და სტრუქტურის შენარჩუნებას.¹⁴⁶

ავტომობილით გადაადგილების გენერალური აკრძალვები (ზოგადად ავტომობილით გადაადგილების აკრძალვა), მათი აბსოლუტური მოქმედების გამო, მოძრაობის ყველა მონაწილეს ეხება, მათ შორის ქვეითებსაც და ველოსიპედისტებსაც. როგორც ზოგადად დაწესებული სიჩქარის შეზღუდვების შემთხვევაში, უმნიშვნელოა ის კონკრეტული მიზეზი, რომლის გამოც მოხდა მოძრაობის შეზღუდვის დაწესება.¹⁴⁷ ეს ეხება, იმ შემთხვევასაც, როდესაც, მაგალითად, გზა სამშენებლო ობიექტის გამო იკეტება, ხოლო ავარია კი არასამშენებლო ტერიტორიაზე ხდება. ამას ემატება ისიც, რომ, ჩვეულებრივ, ავტომობილებისთვის დაწესებული მოძრაობის აკრძალვა არაპირდაპირ გავლენას ახდენს ველოსიპედისტებისა და ქვეითთა ქცევაზე, რადგან ისინი აღარ ელიან გზაზე ავტომობილების გამოჩენას.

დ) გაუთვალისწინებელი საფრთხის სიტუაცია:

თუ საგზაო მოძრაობის მონაწილეს, შემთხვე-

¹⁴² OLG Celle, Urteil vom 26. März 2014 - 14 U 128/13 - juris Rn. 84; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 23. März 2017 - 4 U 2/16 - juris Rn. 47.

¹⁴³ OLG Celle, Urteil vom 26. März 2014 - 14 U 128/13 - juris Rn. 84.

¹⁴⁴ OLG Bonn, Urteil vom 17. Oktober 2008 - 18 O 151/08 – juris.

¹⁴⁵ OLG Celle, Urteil vom 26. März 2014 - 14 U 128/13 - juris Rn. 84; Saarländisches Oberlandesgericht

Saarbrücken, Urteil vom 23. März 2017 - 4 U 2/16 - juris Rn. 47.

¹⁴⁶ a.A. Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 24. August 2017 - 1 U 60/17 - juris Rn. 32.

¹⁴⁷ a.A. insoweit wohl: Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 23. März 2017 - 4 U 2/16 - juris Rn. 47, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ მიზანს.

ვით და მისი ბრალის გარეშე წარმოშობილ, გაუთვალისწინებელი საფრთხის სიტუაციაში, არ რჩება დრო მდგომარეობის მშვიდად გასააზრებლად, ობიექტურად არასწორი რეაქციები, ჩვეულებრივ, მას ბრალად არ შეეცხება. ეს ეხება განსაკუთრებით იმ შემთხვევას, როდესაც მოცემული რეაქცია სრულებით გასაგები შიშით განპირობებული რეფლექსია.¹⁴⁸ მსგავს სიტუაციაში შესაძლოა იმყოფებოდნენ: ავარიის შემსწრე, დაშავებულთათვის დახმარების გამწევი პირები ან ავარიის მონაწილეები, რომლებიც შიშის ან აღელვება-ფსიქიკური შოკის გამო, ყოველთვის ვერ აცნობიერებენ, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან შემდგომი საფრთხეები (მაგალითად, უკან მომავალი ტრანსპორტისაგან თავის დაცვა) და მოცემულ სიტუაციაში რა სახის დახმარების აღმოჩენაა საჭირო.¹⁴⁹

ეე) სამაშველო/სასწრაფო დახმარების ავტომატიზაცია:

პასუხისმგებლობის აღწერილი პრინციპები მოქმედებს მაშინაც, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება სამაშველო მანქანის მონაწილეობით, რომელიც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობს. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი არსებითი თავისებურებები: გულისხმიერების ვალდებულებიდან გამომდინარე (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 35 VIII პარაგრაფი), ამ განსაკუთრებული

უფლებებით სარგებლობა უნდა მოხდეს მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვით. ამასთან, სამაშველო/სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს უფრო მეტი გულისხმიერება მოეთხოვება, მით უმეტეს, რომ ის საგზაო მოძრაობის წესებიდან ზოგადად უფრო მეტ გადახვევას აკეთებს¹⁵⁰ და ამით მნიშვნელოვნად ზრდის კონკრეტულ საფრთხეს.¹⁵¹ მაგალითად, სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს გზაჯვარედინებსა და შესასვლელებში მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ მაქსიმალური სიფრთხილით უგულვებელყოს/ხელყოს ზოგადად არსებული უპირატესი მოძრაობის ის უფლებები, რომლებიც ჩვეულებრივ სიტუაციაში სხვა მძღოლს აქვს მინიჭებული.¹⁵²

იყო თუ არა განსაკუთრებული უფლება სწორად გამოყენებული, უნდა შეფასდეს *ex-ante* პერსპექტივიდან [პროსპექტული პერსპექტივიდან].¹⁵³ მართალია, განსაკუთრებული სიგნალები ნებისმიერ შემთხვევაში წარმოშობს გზის გათავისუფლების ვალდებულებას და ამ ქმედების მართლზომიერებას მნიშვნელობა არ აქვს¹⁵⁴, თუმცა, (ავარიაში წვლილთა შეწონის საფუძველზე) პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში, უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, ჰქონდა თუ არა ადგილი განსაკუთრებული უფლებების არასწორ გამოყენებას.¹⁵⁵

ხშირად, განსაკუთრებული უფლებების ლეგიტიმური გამოყენებაც კი, ზრდის საფრთხეს [საფრთხის შემცველ მდგომარეობას წარმოშო-

¹⁴⁸ BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 286/09 - NJW 2011, 292, juris Rn. 13; OLG München, Urteil vom 9. Juni 2011 - 24 U 619/10 - juris Rn. 24; OLG München, Urteil vom 29. Juli 2020 - 10 U 1086/20 - juris Rn. 9; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 15. Dezember 2022 - 12 U 77/22 - juris Rn. 27.

¹⁴⁹ BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 286/09 - NJW 2011, 292, juris Rn. 13; OLG Köln, Urteil vom 5. Juli 2019 - I-6 U 234/18 - NJW-RR 2020, 156, juris Rn. 36; OLG München, Urteil vom 9. Juni 2011 - 24 U 619/10 - juris Rn. 24.

¹⁵⁰ Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Urteil vom 18. Januar 2019 - 14 U 65/18 - juris Rn. 5.

¹⁵¹ OLG Celle, Urteil vom 15. Februar 2018 - 5 U 121/17 - juris Rn. 16; KG Berlin, Urteil vom 15. Januar 2007 - 12 U 145/05 - NZV 2008, 147, juris Rn. 14.

¹⁵² OLG Celle, Urteil vom 15. Februar 2018 - 5 U 121/17 - juris Rn. 16; OLG Düsseldorf, Urteil vom 6. Februar 2018 - I-1 U 112/17 - NJW 2018, 1694, juris Rn. 61.

¹⁵³ OLG München, Urteil vom 12. Januar 2018 - 10 U 2135/17 - juris Rn. 3; OLG Hamm, Urteil vom 4. Mai 2018 - I-7 U 37/17 - NJW-RR 2018, 989, juris Rn. 33.

¹⁵⁴ OLG Hamm, Urteil vom 4. Mai 2018 - I-7 U 37/17 - NJW-RR 2018, 989, juris Rn. 33; OLG Düsseldorf, Urteil vom 11. Februar 2008 - I-1 U 114/07 - juris Rn. 14; OLG Dresden, Urteil vom 20. Dezember 2000 - 12 U 2428/00 - DAR 2001, 214, juris Rn. 7.

¹⁵⁵ OLG Hamm, Urteil vom 4. Mai 2018 - I-7 U 37/17 - NJW-RR 2018, 989, juris Rn. 38; OLG Dresden, Urteil vom 20. Dezember 2000 - 12 U 2428/00 - DAR 2001, 214, juris Rn. 7.

ბს]. შესაბამისად, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 17 I პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის დაკისრების ფარგლებში, ეს ზრდის წვლილთა შენონისას შესაბამისი [სიგნალის გამომყენებელი] მხარის წვლილს.¹⁵⁶ მიუხედავად ამისა, შესაძლოა არსებობდეს ავარიის შემთხვევები, როდესაც, ასეთი საფრთხის გაზრდის მიუხედავად, ზიანის გამოწვევაში სასწრაფო დახმარების ავტომობილის წვლილი მთლიანად უკანა პლანზე გადადის.

„გამოდევნების შემთხვევების“ დროს პასუხისმგებლობის საკითხები განხილულია ბ) ქვეთავში.

ვვ) ავარიაში წვლილის ორმაგი გათვალისწინების აკრძალვა:

ავარიაში მონაწილის მიერ შეტანილი წვლილები, თუ ისინი მხოლოდ ავარიის გამომწვევ, ერთსა და იმავე ფაქტორზე ახდენენ გავლენას, არ უნდა დაჯამდეს [მას ორმაგად არ უნდა შეე-რაჯოს].¹⁵⁷

სასამართლო პრაქტიკაში ეს ორმაგი შერაცხვა, სხვადასხვა მონაწილეთა წვლილების შემთხვევაში, ფაქტობრივად, უკვე თავიდანვე გამო-რიცხულია პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპების მოქმედებით (იხილეთ ქვემოთ IV. 2. f)). იგივე ეხება იმ შემთხვევასაც, როდესაც მოძრაობის ერთი და იმავე მონაწილის (ავარიაში) წვლილის სხვადასხვა ელემენტები კონკრეტული ავარიის გამომწვევ ერთიან ფაქტორში ერთიანდა. მაგალითად, თუ ავტომობილი, მძღოლის უყურადღებობის გამო, ავარდება ბორდიურზე და ამ დროს ავტომობილის მარჯვენა წინა საბურავი სკდება, ეს ქმნის ერთიან საფრთხეს, კერძოდ – საჭის დაუმორჩილებლობის რისკს. აქ მხოლოდ „ერთი“ საფრთხეა სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოწვეულია ორი განსხვავებული მიზეზით, კერძოდ, ერთი მხრივ,

მძღოლის ბრალით და, მეორე მხრივ, – ავტომობილის მონყობილობის მწყობრიდან გამოსვლით (წინა მარჯვენა საბურავის გახეთქვა). თუ მძღოლი ვერ დაიმორჩილებს საჭეს, გადავა საპირისპირო ხაზზე და შეეჯახება შემხვედრ ავტომობილს, რომლის მძღოლიც, თავის მხრივ, სიჩქარის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით მოძრაობს, პირველი მძღოლის უყურადღებობა და საბურავის მწყობრიდან გამოსვლა კუმულატიურად არ უნდა იყოს განხილული. ამის საპირისპიროდ, პირველი ორი კომპონენტი (უყურადღებობა და გახეთქილი წინა საბურავი) ერთიან საფრთხედ უნდა იქნეს განხილული – მხოლოდ ამ ფაქტორების თანადამთხვევამ გამოიწვია ავტომობილის საპირისპირო ხაზზე გადასვლა. მთლიანობაში შეფასებისას დასაშვებია იმის გათვალისწინება (მაგრამ არა დაჯამების ფორმით), რომ საჭის ვერდამორჩილება, არის ორი დამოუკიდებელი, უკვე თავისთავად საფრთხის შემცველი გარემოების შედეგი.

განსაკუთრებით დაუშვებელია, რომ პასუხისმგებლობის განმაპირობებელი გარემოება წინა შენონისას ისე იქნეს გათვალისწინებული, რომ ამით ექსპლუატაციის საფრთხე გაიზარდოს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ავტომობილი უნდა იყოს ექსპლუატაციაში, წარმოადგენს (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას. ამიტომაც, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში წილთა შენონისას (სხვა რისკების განმაპირობებელი გარემოებების გარეშე) მხოლოდ ეს გარემოება – რომ ავტომობილის გამოყენება საგზაო მოძრაობაში საშიშია – ვერ იქნება გაზრდილი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს ზოგადად არსებული რისკი უკვე გათვალისწინებული და ჩათვლილია [პასუხისმგებლობის განსაზღვრისას] და წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მოცემული ტიპის პასუხისმგებლობა საერთოდ

¹⁵⁶ OLG Düsseldorf, Urteil vom 6. Februar 2018 - I-1 U 112/17 - NJW 2018, 1694, juris Rn. 65; Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 21. August 2017 - 1 U 58/17 - DAR 2018, 631, juris Rn. 39; უკუგდებულია, როდესაც პოლიციის ავტომობილის გადაადგილება ხდება ზომიერი სიჩქარით, სპეციალური სიგნალების გამოყენებით, ავარიული გაჩერების ზოლში: OLG Frankfurt, Urteil vom

14. März 2016 - 1 U 248/13 - NJW-RR 2016, 1173, juris Rn. 15.

¹⁵⁷ BGH, Urteil vom 21. November 2006 - VI ZR 115/05 - NJW 2007, 506, juris Rn. 15; OLG Düsseldorf, Urteil vom 15. Juni 2010 - I-1 U 186/09 - juris Rn. 7; OLG Frankfurt, Urteil vom 9. März 2021 - 23 U 120/20 - juris Rn. 27.

არსებობს კანონში და მფლობელი [ბრალის გარეშე] აგებს პასუხს. ამიტომაც, ეს გარემოება ვერ იქნება ექსპლუატაციიდან მომდინარე საფრთხის გამზრდელი (შედარებისთვის იხ. სისხლის სამართალში ორმაგი გამოყენების აკრძალვა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46 III პარაგრაფი).

ვ) პასუხისმგებლობის ერთიანობა/საერთო შეფასება:

ა) პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპი:

თუ სხვადასხვა მონაწილეთა წვლილმა ერთიანი საფრთხე წარმოშვა, ისინი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ერთ მთლიანობად უნდა იქნენ განხილულნი (ე. წ. პასუხისმგებლობის ერთიანობა).¹⁵⁸ ასეთი პასუხისმგებლობის ერთიანობა შეიძლება ემყარებოდეს როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ მიზეზებს.¹⁵⁹ პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპმა უნდა გამოიწვიოს ის, რომ ამ ფორმით დაკავშირებულ პირებზე პასუხისმგებლობის განსხვავებული ხვედრითი წილი მოვიდეს.¹⁶⁰ ამავდროულად, პასუხისმგებლობის ერთიანობით დაკავშირებულ პირებს ერთმანეთის წვლილი ორმხრივად შეერაცხებათ.¹⁶¹ ამით, პასუხისმგებლობის განსაზღვრის ფარგლებში წვლილთა შენონისას, ისინი სხვა დამაზიანებელთან და დაზარალებულებთან მიმართებით, ფაქტობრივად, როგორც ერთი გამომწვევი ისე განიხილებიან.¹⁶²

ამ უკანასკნელი გადაწყვეტის მთავარი იდეა

არის ის, რომ პასუხისმგებლობა სამართლიანად გადანაწილდეს, მაშინაც კი, როდესაც (ავარიაში შეტანილი) ერთიანი ეფექტის მქონე წვლილისათვის სამართლებრივად პასუხისმგებელია არა ერთი პირი, არამედ რამდენიმე მონაწილე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ერთიანი ეფექტის მქონე წვლილისათვის მნიშვნელოვანია არა გამომწვევთა რაოდენობა, არამედ მხოლოდ მისი წონა. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ერთიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ ავარიის განმაპირობებელ ინდივიდუალურ წვლილთა თანაქმედებით შექმნილი საფრთხე კი არ გაზრდილა, არამედ ეს, თითქოსდა მხოლოდ "როლთა განაწილების" შედეგად, ერთობლიობაში რეალიზდა.

თავიდანვე ცხადია, რომ, პასუხისმგებლობის ერთიანობის ამ მიზნის გათვალისწინებით, ის არ შეიძლება გავრცელდეს პირზე, რომელიც მის მიერ შეტანილი ფაქტობრივი წვლილისთვის პასუხისმგებლობას საერთოდ არ ექვემდებარება; მაგალითად, რადგან ის დელიქტუუნაროა, ბრალი არ შეერაცხება¹⁶³ ან მისი წვლილი, უკვე სამართლებრივი შემადგენლობის არარსებობისდა გამო, არ შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი.

სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარე, თუ მძლოლი და ავტომობილის მფლობელი სხვადასხვა პირია და პასუხისმგებლობის შემადგენლობები ორივეს მიმართ შესრულებულია – ისინი ქმნიან პასუხისმგებლობის ერთიანობას.¹⁶⁴ ასევე, ერთი მხრივ, სატვირთო მანქანის მფლობელები და მძლოლები, და, მეორე მხრივ,

¹⁵⁸ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 210/18 - MDR 2021, 361, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 30.

¹⁵⁹ OLG Nürnberg, Urteil vom 17. Juni 2014 - 4 U 1706/12 - MDR 2014, 970, juris Rn. 90; Staudinger/Looschelders (2022) BGB § 426 Rn. 103.

¹⁶⁰ BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 11.

¹⁶¹ ნაწილობრივ ამ კონსტელაციას „შერაცხვის ერთობასაც“ უწოდებენ (მაგ., Ebert in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 254 BGB Rn. 104.

¹⁶² BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 11.

¹⁶³ BGH, Urteil vom 1. März 1988 - VI ZR 190/87 - BGHZ 103, 338, juris Rn. 14; OLG Stuttgart, Urteil vom 8. Dezember 2003 - 5 U 76/03 - juris Rn. 51; OLG Frankfurt, Urteil vom 17. September 2003 - 17 U 73/03 - juris Rn. 15; შდრ. II. 2. a) aa) თავშია განხილული აღნიშნული მაგალითი.

¹⁶⁴ BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 39; BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 11; Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 9. Februar 2022 - 2 U 504/20 - juris Rn. 34; OLG Zweibrücken, Urteil vom 21. Dezember 2020 - 1 U 108/19 - juris Rn. 50.

მისაბმელის მფლობელები და მძღოლები პასუხისმგებლობის ერთიანობით არიან დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც გამწვევი ავტომობილის მძღოლი ბატონობის ერთიანი ნებით მართავს სატვირთო მანქანასა და მისაბმელს.¹⁶⁵ ეს წესი, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, არ მოქმედებს იმ მისაბმელიანი სატვირთო მანქანის შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი იმართება დამოუკიდებლად და ამით დამოუკიდებელ საფრთხის წყაროს ქმნის.¹⁶⁶ ზოგადი სამოქალაქოსამართლებრივი, ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, პასუხისმგებლობის ერთიანობას ქმნიან, ერთი მხრივ, ხელმძღვანელი პირი და, მეორე მხრივ, მისი (ვალდებულების) შესრულების დამხმარე ან მუშაკი,¹⁶⁷ ხოლო (ერთიანი ეფექტის ვალდებულებების დარღვევების შემთხვევაში) პასუხისმგებლობის ერთიანობას ქმნიან აქტორი (აქტიური მოქმედი პირი) და ზედამხედველობის ვალდებულების მქონე პირი.¹⁶⁸

წარმოქმნის თუ არა სხვადასხვა მონაწილეთა წვლილი, ფაქტობრივი ერთიანობის საფუძვლით, ერთიან საფრთხეს, დამოკიდებულია იმაზე, მოხდა თუ არა მათი შერწყმა ერთიან შუალედურ წვლილად, სანამ მას სხვა მონაწილის წვლილი დაემატებოდა.¹⁶⁹ ეს სახეზე არ გვაქვს, თუ სხვადასხვა დამზიანებელს ერთმანეთისგან

დამოუკიდებელი, ზიანის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორი შეერაცხება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ერთმანეთს ემატება და ამგვარად ზრდიან საფრთხეს.¹⁷⁰

მაგალითად, თუ ზედამხედველი პირის მხრიდან ვალდებულების დარღვევა და დელიქტუზნარო ბავშვის არასწორი ქცევა გამოიწვევს იმას, რომ ბავშვი უყურადღებოდ გადარბის გზაზე და იქ მას ავტომობილი ეჯახება – ამასთან ავარიის გამომწვევაში მძღოლსაც მიუძღვის წვლილი დაგვიანებული რეაქციის გამო – აქ ზედამხედველი პირი და ბავშვი ქმნიან პასუხისმგებლობის ერთიანობას. ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის ერთიანობას ქმნიან – მძღოლი და ავტომობილის მფლობელი. ეს ეფუძნება იმას, რომ ზედამხედველის მხრიდან ვალდებულების დარღვევისა და ბავშვის წინდაუხედავი ქცევის შერწყმის შედეგად შეიქმნა ის (ერთიანი) საფრთხე, რომელზეც ავტომობილის მძღოლს მოუწია რეაგირება.¹⁷¹ იმავე მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში, პასუხისმგებლობის ერთიანობა არსებობდეს პირველი ავარიის გამომწვევებს შორის, თუ ამ ავარიის შედეგად ავტომობილის ნაწილები გზაზე გაგორდა და მეორე ავარია გამოიწვია.¹⁷²

¹⁶⁵ შდრ. BGH, Urteil vom 27. Oktober 2010 - IV ZR 279/08 - BGHZ 187, 211, juris Rn. 32.

¹⁶⁶ გავრცელებული მოსაზრებით: OLG Celle, Urteil vom 14. November 2012 - 14 U 70/12 - juris Rn. 4; Müller, VersR 2023, 943, 951.

¹⁶⁷ BGH, Urteil vom 1. Juli 1997 - VI ZR 205/96 - NJW 1997, 2756, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 17. Dezember 2009 - VII ZR 172/08 - NJW 2010, 1592, juris Rn. 23; OLG Rostock, Urteil vom 13. Oktober 2023 - 5 U 186/21 - MDR 2023, 1519, juris Rn. 107.

¹⁶⁸ შდრ. აგრეთვე: OLG Frankfurt, Urteil vom 27. Oktober 2021 - 12 U 293/20 - BauR 2023, 245, juris Rn. 159.

¹⁶⁹ BGH, Urteil vom 18. September 1973 - VI ZR 91/71 - BGHZ 61, 213, juris Rn. 15 f.; BGH, Urteil vom 18. April 1978 - VI ZR 81/76 - NJW 1978, 2392, juris Rn. 7; OLG Hamm, Urteil vom 27. November 2020 - I-7 U 24/19 - NJW-RR 2021, 693, juris Rn 48; vgl. BGH, Urteil vom 29. September 1970 - VI ZR 74/69 - BGHZ 54, 283, juris Rn. 8.

¹⁷⁰ OLG Hamm, Urteil vom 27. November 2020 - I-7 U 24/19 - NJW-RR 2021, 693, juris Rn 48; OLG Hamm, Urteil vom 20. März 2000 - 6 U 216/99 - DAR 2000, 35, juris Rn. 27; OLG Hamm, Urteil vom 2. September 1999 - 6 U 55/99 - NZV 2000, 371, juris Rn. 16.

¹⁷¹ შდრ. BGH, Urteil vom 18. April 1978 - VI ZR 81/76 - NJW 1978, 2392, juris Rn. 7; OLG Stuttgart, Urteil vom 12. Juli 1991 - 2 U 190/90 - NZV 1992, 185, juris Rn. 44.

¹⁷² შდრ. OLG Hamm, Urteil vom 8. November 2019 - I-9 U 10/19 - NJW 2020, 1006, juris Rn. 27; რამდენიმე ავტომობილის მიჯრით [ჯაჭვურად] უკნიდან შეჯახება: OLG Hamm, Urteil vom 27. November 2020 - I-7 U 24/19 - NJW-RR 2021, 693, juris Rn. 48; Diehl, ZfSch 2004, 255, 257; მგზავრი, რომელიც საზოგადოებრივი ავტობუსის გადაუდებელი დამუხრუჭების დროს ეცემა, რადგან არ მიიღო შესაბამისი თავის დაზღვევის ზომები; OLG Hamm, Beschluss vom 10. März 2022 -I-7 U 3/22 - juris Rn. 13.

ბბ) ინდივიდუალურ წვლილთა შენონა და საერთო პერსპექტივა:

თუ პასუხისმგებლობის ერთიანობა სახეზე არ არის, მოვალეთა სიმრავლის შემთხვევაში, შიდა სამართლებრივ ურთიერთობაში, თითოეული პასუხისმგებელი პირის წვლილი ავარიის, ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს და შეიწონოს მეორის წვლილთან მიმართებით (გერმანიის) საგზაო მოძრაობის კანონის 17 I პარაგრაფის მიხედვით (ე. წ. ინდივიდუალურ წვლილთა შენონა). თუმცა დამზიანებლებმა ერთობლიობაში უნდა გადაიხადონ მხოლოდ იმდენი, რამდენიც ეს, ავარიის საერთო სურათის გათვალისწინებით, შეესაბამება მათი კაუზალური წილისა და დაზარალებულის წილის თანაფარდობას, თუ ეს დაზარალებული ასევე პასუხს აგებს ავარიის გამომწვევის გამო (საერთო შენონა)¹⁷³.¹⁷⁴ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

ასეთ შემთხვევაში, სოლიდარული ვალდებულების ოდენობა არ მოიცავს მთელ ზიანს. რამდენადაც დაზარალებული თავის პასუხისმგებლობის წილს თავად ატარებს, შესაბამის დამზიანებელს შეუძლია დაზარალებულის წინაშე მისი თანაპასუხისმგებლობის წილი ჩამოაკლოს საკუთარ ვალდებულებას. ეს განისაზღვრება ორი მოქმედი პირის წილების თანაფარდობით, სხვა დამზიანებლების გამოკლებით. ამ შემთხვევაში, თითოეული დამზიანებელი აგებს პასუხს მხოლოდ იმ თანხაზე (ინდივიდუალური წილი), რომელიც შეესაბამება მისი პასუხისმგებ-

ლობის წილს დაზარალებულის თანაპასუხისმგებლობასთან შედარებით (ინდივიდუალური შენონა); საერთო ჯამში, დაზარალებული ვერ მოითხოვს ყველა დამზიანებლისგან ერთობლიობაში უფრო მეტს, ვიდრე ასანაზღაურებელი ზიანის წილია (საერთო წილი), რომელიც მიიღება, საერთო პერსპექტივაში შეფასებისას, ყველა დამზიანებლის პასუხისმგებლობის წვლილების ჯამისა და დაზარალებულის წვლილის შენონის შედეგად.¹⁷⁵

ამ საერთო პერსპექტივაში შეფასების შედეგად მიღებული ზიანის წილი, სასამართლო პროცესში, აუცილებლობის ძალით უნდა დადგინდეს, თუ ზიანის თანაგამომწვევი კრედიტორი ერთდროულად რამდენიმე სხვა გამომწვევის წინააღმდეგ ჩივის ან, თუ, ერთი გამომწვევის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, დგება, საკითხი, რამდენი უნდა გადაიხადონ სხვა გამომწვევებმა.¹⁷⁶ თუ კრედიტორი მხოლოდ ერთი (თანა)გამომწვევის მიმართ აყენებს მოთხოვნას და სხვა მოვალეებს ჯერ ზიანი არ აუნაზღაურებიათ, მხოლოდ ინდივიდუალური შენონა იქნება გადამწყვეტი. აუცილებელია, რომ საერთო შენონის შედეგად არ იქნეს მიღებული უფრო ნაკლები ჯამური თანხა, ვიდრე ინდივიდუალური შენონის შედეგად.

საერთო პერსპექტივაში შეფასების პრინციპების მიხედვით განსჯილი "მრავალმიზეზიანი" ავარიისას, ცალკეული გამომწვევები, მაგალითად მძღოლი და მფლობელი, შეიძლება ქმნიდნენ პასუხისმგებლობის ერთიანობას. შედეგად ისინი, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო

¹⁷³ ინდივიდუალური შენონა: ავარიას ჰყავს სამი გამომწვევი: ა, ბ და გ. ა-ს შეერაცხება პასუხისმგებლობის 40%, ხოლო ბ-ს და გ-ს – 30-30%. თითოეული გამომწვევი განიხილება ინდივიდუალურად და შესაბამისი წილით აგებს პასუხს. საერთო შენონა: თუ დაზარალებული თვითონ ატარებს ავარიაზე პასუხისმგებლობის 20%-ს, გამომწვევთა საერთო პასუხისმგებლობა (ა, ბ და გ) შეადგენს 80%-ს (100% - 20% დაზარალებულის თანაპასუხისმგებლობა). გამომწვევებმა ერთად უნდა აანაზღაურონ ზიანის არაუმეტეს 80%. ეს თანხა გაყოფილი იქნება გამომწვევებზე, მათი ინდივიდუალური შენონის შესაბამისად. ა ატარებს საერთო ზიანის 80%-დან 40%-ს (= საერთო ზიანის 32%); ბ ატარებს 80%-დან 30%-ს (= საერთო ზიანის

24%); გ ატარებს 80%-დან 30%-ს (= საერთო ზიანის 24%).
¹⁷⁴ იხ. სრულად: BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 11 ff.; OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 77/19 - juris Rn. 67; OLG Zweibrücken, Urteil vom 21. Dezember 2020 - 1 U 108/19 - juris Rn. 50 f.
¹⁷⁵ BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 18.
¹⁷⁶ იხ. სრულად: BGH, Urteil vom 13. Dezember 2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896, juris Rn. 11 ff.; OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 77/19 - juris Rn. 67; OLG Zweibrücken, Urteil vom 21. Dezember 2020 - 1 U 108/19 - juris Rn. 50 f.

შენონის დროს, როგორც ერთი დამზიანებელი ისე უნდა განიხილებოდნენ.¹⁷⁷

3. ავტოსაგზაო შემთხვევები საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის შორის

როგორც აღინიშნა, გერმანიაში სარკინიგზო ტრანსპორტი არ ექვემდებარება საგზაო მოძრაობის კანონმდებლობის (საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი) გამოყენების სფეროს (კანონის 1 II პარაგრაფი). სარკინიგზო ტრანსპორტის მარეგულირებელ კანონში (HPfIG – პასუხისმგებლობის შესახებ კანონი) ამ ტრანსპორტის მფლობელის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ცალკე დანაწესებია განვიწყობი.

მოცემულ რეგულაციათა ბირთვს წარმოადგენს პასუხისმგებლობა იმ საფრთხის შექმნისათვის, რომელიც მხოლოდ დაუძლეველი ძალის შემთხვევაშია გამორიცხული (და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანდება ტრანსპორტირებადი ნივთი) (კანონის 1-ელი პარაგრაფი). რამდენიმე მონაწილის მიერ ზიანის გამომწვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-13 პარაგრაფში დაფიქსირებული შენონის პრინციპი, (18 III პარაგრაფთან ურთიერთკავშირში) ძირითადად შეესაბამება (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-17 პარაგრაფს.

პარალელურად, საგზაო მოძრაობის კანონი საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის შორის ავტოსაგზაო შემთხვევების დროს უთითებს (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფზე (კანონის 17 IV პარაგრაფი). ორივე ნორმის შინაარსობრივი იდენტურობის გათვალისწინებით, სასამართლო პრაქტიკას არ უწევს აქედან გამომდინარე კონკურენციის საკითხის გადაწყვეტა, არამედ ერთდროულად იყენებს საგზაო მოძრაობის შესახებ

კანონის 17 I პარაგრაფსა და პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-13 პარაგრაფს.¹⁷⁸

აქედან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფზე მითითებით, შენონის პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის შორის ავარიისთვის. თუმცა, კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით, სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხე შესაძლოა უფრო მნიშვნელოვნად შეფასდეს/მეტს იწონიდეს (ბევრად მეტსაც კი), რადგან მათთვის საფრთხის აცილება შეუძლებელია რელსებზე გადახვევის მანევრის განხორციელების მეშვეობით [და, ამიტომაც, მათგან გამომდინარე საფრთხე უფრო მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს]. შენონზე შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ასევე იმ ფაქტორმაც, რომ სარკინიგზო ტრანსპორტს შედარებით უფრო დიდი სამუხრუჭე მანძილი აქვს და მისი კინეტიკური ენერჯია ძალიან მაღალია.¹⁷⁹

4. საფრთხის გამომწვევისათვის და ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის თანხვედრა ავარიისას

ა) სახელმძღვანელო პრინციპები:

თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობს ავტომობილი და მესამე პირი, რომელიც არ აგებს პასუხს საფრთხის გამომწვევისათვის (გერმანიის) საგზაო მოძრაობის კანონის მე-7 პარაგრაფის მიხედვით – ჩვეულებრივ: ქვეითი ან ველოსიპედისტი – (გერმანიის) საგზაო მოძრაობის კანონის 17 I პარაგრაფი არ გამოიყენება. როგორც ეს კანონის მე-18 პარაგრაფზე მითითებიდან გამომდინარეობს, მოცემული ნორმა,

¹⁷⁷ იხ. აგრეთვე: Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 9. November 2022 - 7 U 216/20 - juris Rn. 50.

¹⁷⁸ BGH, Urteil vom 11. Juni 2013 - VI ZR 150/12 - NJW 2013, 3235, juris Rn. 10; OLG Celle, Urteil vom 27. November 2018 - 14 U 59/18 - NJW-RR 2019, 217, juris Rn. 25; OLG Dresden, Urteil vom 9. Juli 2019 - 4 U 333/19 - juris Rn. 3; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 10/23 - juris Rn. 23.

¹⁷⁹ შდრ. BGH, Urteil vom 16. Oktober 2007 - VI ZR 173/06 -NJW-RR 2008, 335, juris Rn. 18; OLG Celle, Urteil vom 27. November 2018 - 14 U 59/18 - NJW-RR 2019, 217, juris Rn. 25; OLG Celle, Urteil vom 10. Mai 2023 - 14 U 36/20 - VersR 2023, 926, juris Rn. 64; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 10/23 - juris Rn. 38.

პასუხისმგებლობის საკითხის განსჯისას, შენონის პრინციპს აწესებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ავარიაში ორივე მხრიდან ავტომობილის მძღოლები თუ მფლობელები მონაწილეობენ. პასუხისმგებლობის საკითხის მოცემული გადაწყვეტის შედეგია ასევე ის, რომ საგზაო მოძრაობის კანონის 17 I პარაგრაფზე მითითების გამო, ასევე 17 III პარაგრაფიც არ გამოიყენება. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა ქვეითის ან ველოსიპედისტის მიმართ მხოლოდ დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაშია გამორიცხული (მაშინ როდესაც, სხვა ავტომობილის მფლობელებსა და მძღოლებთან მიმართებით, აურიდებელი მოვლენის არსებობაც კი საკმარისია [პასუხისმგებლობის გამოსარიცხად]; იხილეთ ზემოთ: II. 6. ბ)).¹⁸⁰

ასეთ შემთხვევებში შენონის წესად გამოიყენება საგზაო მოძრაობის კანონის მე-9 პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც, ქვეითის ან ველოსიპედისტის (და შესაძლო სხვა, ბრალზე დამოკიდებულად პასუხისმგები პირის) ბრალის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანაბრალეულობის მომწესრიგებელი ნორმა (გსკ-ის 254-ე პარაგრაფი; შედარებადია სკ-ის 415-ე მუხლთან). ეს მითითება სამოქალაქო კოდექსის რეგულაციებზე არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ ერთსულოვანი მოსაზრების თანახმად, [ერთი და იმავე] ავტომობილის მძღოლისა და მფლობელის წვლილთა შენონისას, ავტომობილის ექსპლუატაციიდან მომდინარე საფრთხე, ისევე უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფის მიხედვით შენონისას.¹⁸¹ მარტივად რომ ვთქვათ, აქიდან გამომდინარეობს, რომ ქვეითის ან ველოსიპედისტის წვლილის შეფასება ხდება

გსკ-ის 254-ე პარაგრაფის კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო ავტომობილის მფლობელისა და მძღოლის წვლილი – საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფის კრიტერიუმების მიხედვით. მხოლოდ ამგვარად შეიძლება იმის უზრუნველყოფა, რომ საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით საფრთხის გამომწვევისთვის პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები გათვალისწინებული იყოს ასევე ქვეითთა და ველოსიპედისტთა შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობის შენონისას. ამიტომაც, ხსენებული კანონის 17 I პარაგრაფის მიხედვით შენონასთან შედარებით, გადამწყვეტი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქვეითის ან ველოსიპედისტის (და შესაძლოა სხვა მესამე პირის) მხარეზე ავარიის გამომწვევი მხოლოდ ის წვლილი შეიძლება იყოს გათვალისწინებული, რომლის მიმართაც მას (შესაძლოა, *prima facie*-მტკიცებულებით დადასტურებული) ბრალი შეეცხება.¹⁸²

ბ) ნდობის დაცვა:

პასუხისმგებლობის შენონისას, ნდობის დაცვასა და მის მოცულობას შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მე-9 პარაგრაფის ფარგლებში, ვიდრე საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლისას. ეს გამომდინარეობს, ერთი მხრივ, იმ ფაქტიდან, რომ არამოტორიზებული მოძრაობის მონაწილეებს შორის ხშირად არიან ხოლმე ბავშვები, ასაკოვანი ადამიანები და შშმ პირები, რომელთა მიმართაც ნდობის დაცვა ბუნებრივად ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ნდობის დაცვა მორგებული უნდა იყოს ასევე ცხოვრებისეულ რეალობას. ის იზღუდება ისეთ

¹⁸⁰ OLG München, Urteil vom 20. Oktober 2021 - 10 U 6524/20 - juris Rn. 48; OLG Nürnberg, Urteil vom 23. November 2004 - 3 U 2818/04 - DAR 2005, 160, juris, Rn. 9.

¹⁸¹ შდრ. Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 27. April 2023 - 7 U 214/22 - NJW-RR 2023, 1334, juris Rn. 30; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 14/23 - juris Rn. 18 OLG Zweibrücken,

Beschluss vom 8. März 2021 - 1 U 141/19 - DAR 2021, 569, juris Rn. 42; OLG München, Urteil vom 20. Oktober 2021 - 10 U 6514/20 - juris Rn. 51.

¹⁸² BGH, Urteil vom 24. September 2013 - VI ZR 255/12 - NJW 2014, 217, juris Rn. 7; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 27. April 2023 - 7 U 214/22 - NJW-RR 2023, 1334, juris Rn. 30; OLG Bamberg, Urteil vom 20. Juli 2021 - 5 U 428/20 - juris Rn. 14.

საგზაო სიტუაციებში, სადაც, ჩვეულებრივ, მოძრაობის წესების უფრო ინტენსიური დარღვევაა მოსალოდნელი, მაგალითად, ქვეითის მიერ გზის გადაკვეთა თუ (მაგ., გერმანიაში) ველოსიპედისტის გზაჯვარედინებზე გამოსვლა. აქედან გამომდინარე, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, სხვებთან ერთად, განვითარდა შემდეგი პრინციპები:

ქვეითი:

თუ მძღოლისგან მარცხენა მხრიდან ქუჩაზე გადმომსვლელი ქვეითი უკვე გზაზე იმყოფება და მოძრაობის პროცესშია, მძღოლს არ შეუძლია დაუფიქრებლად მიენდოს იმ ფაქტს, რომ ქვეითი გზის შუაში გაჩერდება და მას გზას დაუთმობს.¹⁸³ მართალია, ქვეითი, რომელიც გადაადის გადატვირთულ და არც ისე ვიწრო ქუჩაზე, ჯერ (რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მარცხნიდან მომავალი ტრანსპორტი) უნდა მივიდეს შუამდე და გაჩერდეს იქ, სანამ შეძლებს გზის მეორე ნახევრის უსაფრთხოდ გადაკვეთას. თუმცა, ავტომობილის მძღოლს აღარ აქვს უფლება იმოქმედოს გზაზე გადამსვლელი ქვეითის მოცემულ სავარაუდო ქცევაზე მინდობილმა, თუ მას, სწორედ ზემოთ ხსენებული, ყველა გარემოების გონივრული შეფასებიდან გამომდინარე, აქვს საფუძველი, ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ქვეითი საგზაო წესებს არ დაემორჩილება. მძღოლმა მოვლენათა განვითარების ეს სცენარი, სულ მცირე, მაშინ უნდა ივარაუდოს, როდესაც ქვეითი არ მოძრაობს ჩვეულებრივი ნაბიჯებით, არამედ ცდილობს სირბილით გადაკვეთოს გზა.¹⁸⁴

მძღოლი ვალდებულია, ქუჩის სიდიდისდა მიუხედავად, სრულად დააკვირდეს მის წინ მდებარე გზის მთლიან სივრცეს. ამიტომაც, მან მარ-

ცხნიდან მომავალი ქვეითი უკვე სანინაალმდებო ზოლის დასაწყისში უნდა შეამჩნიოს (თუ არ არსებობს ხედვის დაბრკოლება). თუმცა, შესაბამისი წინაპირობებისა და მინიშნებების გარეშე, ის არ უნდა მოემზადოს იმ სცენარისათვის, რომ ზრდასრული ქვეითი, რომელიც საპირისპირო ზოლი გადაკვეთა და შემდეგ გზის შუაში გაჩერდა, კვლავ მოულოდნელად გააგრძელებს გზის გადაკვეთას უკვე მის ზოლში.¹⁸⁵

ავტომობილის მძღოლს ზოგადად უნდა ჰქონდეს გათვლილი, რომ გზის იმ მონაკვეთზე, რომელსაც ის ვერ ხედავს (მაგალითად, მოსახვევის გამო), შესაძლოა იმყოფებოდნენ ადამიანები, მათ შორის გზაზე მწოლიარე პირები ან განლაგებული იყოს დაბრკოლებები. თუმცა, მას, ზოგადად, აქვს უფლება მიენდოს იმ ფაქტს, რომ ქვეითები მოულოდნელად მის წინ გზაზე არ გადმოვლენ და, შესაბამისად, არ არის საჭირო სიჩქარის დაგდება და მოცემული სცენარისათვის მომზადება.¹⁸⁶

ველოსიპედისტები:

ველოსიპედისტები გზაჯვარედინის ტერიტორიაზე, სადაც მათ, წესების დაცვით მოძრაობისას, შემოვლითი გზა უნდა აირჩიონ ან სიჩქარე დააგდონ, (კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით) ხშირად ისინი ამას არ აკეთებენ და ირჩევენ პირდაპირ გზას მანძილის შესამცირებლად [და ეს არ არის ცხოვრებისეული გამოცდილების მიღმა].¹⁸⁷

გ) ბავშვები/ასაკოვნები:

აა) დელიქტუნარიანობა:

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში

¹⁸³ BGH, Urteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21 - NJW 2023, 2108, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 24. Februar 1987 – VI ZR 19/86 - NJW 1987, 2377, juris Rn. 20.

¹⁸⁴ BGH, Urteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21 - NJW 2023, 2108, juris Rn. 13 f.

¹⁸⁵ BGH, Urteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21 - NJW 2023, 2108, juris Rn. 11; იხ. აგრეთვე: Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom

26. Mai 2023 - 3 U 4/23 - NJW-RR 2023, 1140, juris Rn. 43.

¹⁸⁶ OLG Koblenz, Beschluss vom 21. September 2021 - 12 U 777/21 - NJW-RR 2022, 104, juris Rn. 9.

¹⁸⁷ იხ. განსაკუთრებული სიტუაცია: Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 14/23 – juris Rn. 17.

2002 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს დელიქტუნარიანობის საფეხუროვანი დანაწესები ბავშვებისა და არასრულწლოვნებისთვის:

§ 828. არასრულწლოვნები

(1) პირი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

(2) პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია ათი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანის გამო, რომელსაც ის აყენებს სხვა პირს ავტო, სარკინიგზო ან საფუნიკულიორო სატრანსპორტო საშუალებით გამონვეული უბედური შემთხვევისას.¹⁸⁸ ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაციენა.

კანონმდებელმა გსკ-ის 828 II პარაგრაფის შემოტანით ანგარიში გაუწია იმ გარემოებას, რომ ათ წლამდე ბავშვები ხშირად ვერ ახერხებენ მოტორიზებული საგზაო მოძრაობის სპეციფიკური საფრთხეების ამოცნობას, განსაკუთრებით, მოძრაობის სხვა მონანილეთა და მათ შორის დარჩენილი მანძილის ზუსტად აღქმას და მათკენ მომავალი ტრანსპორტის სიჩქარის სწორად შეფასებასა თუ საფრთხეებზე შესაბამის რეაგირებას.¹⁸⁸ ამ საფუძვლით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ ბავშვის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, არამედ ვრცელდება (ისევე როგორც გსკ-ის 828 I პარაგრაფი) გსკ-ის 254 პარაგრაფის მიხედვით თანაბრალეულობის შერაცხვაზეც.¹⁸⁹

თუმცა, იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ავარიის მოვლენები რაიმე კავშირშია მოტორიზებული საგზაო მოძრაობის განსაკუთრებულ საფრთხეებთან.¹⁹⁰

არასრულწლოვნები, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 10 წელი, არ აგებენ პასუხს, თუ არ ფლობენ მდგომარეობის სწორად განჭვრეტის უნარს (გსკ-ის 828 პარაგრაფი). ეს პასუხისმგებლობაუნარიანობის ობიექტური წინაპირობა კონკრეტულ საგზაო სიტუაციაში ბრალის საკითხის წინ და მისგან განცალკევებით უნდა დადგინდეს.¹⁹¹ განჭვრეტის საკითხის განსჯისას გადამწყვეტია, შეეძლო თუ არა ბავშვს, მისი გონებრივი განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით, აღექვა, რომ მისი ქმედება, ზოგადად, საშიშია, არასწორია და, ამიტომაც, მისი განხორციელებისაგან თავი უნდა შეიკავოს.¹⁹² ბრალის შერაცხვისათვის გადამწყვეტია, შეეძლო თუ არა ბავშვს კონკრეტულ საგზაო სიტუაციაში მისი ქმედების გამომწვევი საფრთხის შეცნობა და შესაბამისად რეაგირება.¹⁹³

სასამართლო პრაქტიკაში, სანამ კანონმდებელი ავტოსაგზაო შემთხვევებისათვის ბავშვების დელიქტუნარიანობის ასაკს აწევდა, ბავშვის (მათ შორის 7-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვის) განჭვრეტის უნარის უარყოფა თითქმის არ მომხდარა.¹⁹⁴ პრაქტიკა ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებდა კონკრეტულ საგზაო სიტუაციაში ბავშვის ბრალეულობის დადგენის კრიტერიუმებზე. ამასთან, განსხვავება გსკ-ის 828 III პარაგრაფისა და გსკ-ის 276 პარაგრაფის გაგებით ბრალს [ბრალის არარსებობას] შორის

¹⁸⁸ შდრ. BT-Drucks. 14/7752, S. 16 und 26; BGH, Urteil vom 14. Juni 2005 - VI ZR 181/04 - NJW-RR 2005, 1263, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 30. Juni 2009 - VI ZR 310/08 - BGHZ 181, 368, juris Rn. 10.

¹⁸⁹ BGH, Urteil vom 30. Juni 2009 - VI ZR 310/08 - BGHZ 181, 368, juris Rn. 14.

¹⁹⁰ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 8 ff.; BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 365/03 - NJW 2005, 356, juris Rn. 5 ff., - ამ ორივე გადაწყვეტილებაში ეს უარყოფილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც 9 წლის ბავშვი აზიანებს გაჩერებულ მანქანას თავისი კიკბორდით ან ველოსიპედით; BGH, Urteil vom 30. Juni 2009 - VI ZR 310/08 - BGHZ 181, 368, juris Rn. 7.

¹⁹¹ შდრ. Staudinger/Oechsler (2021) BGB § 828 Rn. 25; Reichold in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 828 BGB (Stand: 01.02.2023) Rn. 5.

¹⁹² Reichold in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 828 BGB (Stand: 01.02.2023) Rn. 5.

¹⁹³ შდრ. Staudinger/Oechsler (2021) BGB § 828 Rn. 25.

¹⁹⁴ შეჯამებისათვის იხ. Staudinger/Oechsler (2021) BGB § 828 Rn. 26 ff. - სადაც ეს სასამართლო პრაქტიკა გაკრიტიკებულია.

ყოველთვის მკაფიო არ ყოფილა და დელიქტუ-
ნარიანობის საკითხის ექსპლიციტურ შემონიშ-
ნას ხშირად ტოვებდნენ ხოლმე.

ბბ) ბრალი:

ვინაიდან კანონმდებელმა გსკ-ის 828 II პარა-
გრაფით მკაფიო ზღვარი გაავლო¹⁹⁵ 10 წლამდე
ასაკის ბავშვებისთვის, გერმანიაში მოცემულ
კონტექსტში ბრალის თემატიკის მნიშვნელობამ
იკლო და შემოიფარგლება 10 წელს გადაცილე-
ბული მოზარდებით. როგორც ამას გსკ-ის 828 II
პარაგრაფისათვის საფუძვლად დადებული პრე-
ზუმფცია ადგენს, ამ ასაკის ბავშვების მიერ და-
შვებული ობიექტური გადაცდომისას ბრალი ავ-
ტომატურად გამორიცხული არ არის.

არასრულწლოვანისათვის ბრალის შერაცხ-
ვის წინაპირობაა ის, რომ მას შეეძლოს საგზაო
მოძრაობაში წარმოშობილი სიტუაციის სწორად
შეფასება და ადეკვატური რეაგირება. ვინაიდან
ეს უნარები მხოლოდ ასაკთან ერთად ვითარდე-
ბა, შერაცხვისათვის წაყენებული მოთხოვნები
ბავშვის ასაკის შესაბამისი უნდა იყოს. ამგვარ-
ად, განსაკუთრებით, პატარა ბავშვებს, სხვა
კრიტერიუმები წაყენებათ, ვიდრე შედარებით
მოზრდილებს.¹⁹⁶

თვალსაჩინოებისათვის კონკრეტული ავარი-
ის სიტუაციის აღწერაა მიზანშეწონილი: 11
წლის გოგონას, რომელიც ოჯახში ოთხი ბავშვი-
დან ყველზე უმცროსი იყო, გზის გადაკვეთისას
შეეჯახა ავტომობილი. ცელეს უმაღლესმა სამ-
ხარეო სასამართლომ განავითარა შემდეგი მს-
ჯელობა:¹⁹⁷

"...ბავშვის (ავტორის შენიშვნა: მომჩივანი)
ასაკის გარდა, ასევე უნდა შეფასდეს კონკრე-
ტული ავტოსაგზაო სიტუაცია. ვინაიდან გარკ-
ვეულ ასაკობრივ ჯგუფებში, ჩვეულებრივ, შე-
საძლებელია, [ზოგადად] პასუხისმგებლობის
გაცნობიერების უნარს ჩამორჩებოდეს ბავშვის

უნარი, ამოიცნოს კონკრეტული ხდომილებიდან
ან მდგომარეობიდან გამომდინარე საფრთხე და
საკუთარი ქცევა ამ სიტუაციაში მოქმედ საგ-
ზაო წესებს შეუსაბამოს (BGH, Urteil vom 21.
Mai 1963 VI ZR 254/62 - BGHZ 39, 281, juris Rn.
16...).

...

მოსარჩელის ბრალზე (აქ: დაუდევრობაზე),
რაც იქნებოდა მისი თანაპასუხისმგებლობის გა-
ნმპირობებელი, საუბარი შეიძლება მხოლოდ
მაშინ, თუ მისი ასაკისა და განვითარების ეტაპ-
ზე მყოფ ბავშვს, საგზაო მოძრაობაში საჭირო
სიფრთხილის გამოყენებისას, წინასწარ უნდა
შეეცნო, რომ მისი მოქმედება იყო დაშვების
რისკის შემცველი და, თუ მას ზოგადად მოეთ-
ხოვებოდა და ჰქონდა შესაძლებლობა, ამ რის-
კის გაცნობიერების შედეგად, შესაბამისად გა-
დაეწყო საკუთარი ქცევა (იხ. ..., BGH, Urteil vom
27. Januar 1970 - VI ZR 157/68 - juris Rn. 21, juris;
OLG Celle, Urteil, Urteil vom 19. Februar 2020 -
14 U 69/19 - juris Rn. 34). ...

გასათვალისწინებელია საერთო სიტუაცია,
რომელშიც იმყოფება ბავშვი კონკრეტულ მომე-
ნტში. ასევე ყურადსაღებია ბავშვებისათვის და-
მახასიათებელი თვისებები, განსაკუთრებით მა-
თი იმპულსურობა, კონცენტრაციის უნარის ნა-
კლებობა და, ერთ ჯგუფად გადაადგილებისას,
მის წევრთა მოძრაობის დინამიკა და ქცევები
(შდრ. OLG Düsseldorf, Urteil vom 30. August
2013 1 U 68/12 - juris; OLG Saarbrücken, Urteil
vom 24. April 2012 - 4 U 131/11 - juris; OLG
Düsseldorf, Urteil vom 15. Februar 2018 - I-1 U
160/15 - juris Rn. 105).

...

ამ საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, სე-
ნატის აზრით, მოსარჩელის ბრალი სახეზე არ
ყოფილა. მოსარჩელე ბავშვების ჯგუფთან ერ-
თად მოძრაობდა და – პირველი ინსტანციის მი-
ერ დადგენილი გარემოებების თანახმად – მარ-
თალია, დაინახა მოახლოებული მანქანა, მაგრამ

¹⁹⁵ so BGH, Urteil vom 30. Juni 2009 - VI ZR 310/08 -
BGHZ 181, 368, juris Rn. 10.

¹⁹⁶ იხ. სრულად: OLG Köln, Urteil vom 27. September
2018 - 28 U 16/18 - NJW-RR 2019, 546, juris Rn.
21; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht,
Urteil vom 3. Januar 2020 - 7 U 33/19 - juris Rn. 25;

OLG Celle, Urteil vom 19. Mai 2021 - 14 U 129/20 -
NJW 2021, 2124, juris Rn. 19 ff.

¹⁹⁷ ამონარიდი: OLG Celle, Urteil vom 19. Mai 2021 -
14 U 129/20 -NJW 2021, 2124, juris Rn. 19 ff., ცი-
ტატები მცირედ შეცვლილია.

ამ დროს ის უკვე ავტომობილის სავალ ნაწილზე იმყოფებოდა სამ ბავშვთან ერთად და მათთან ერთად, ერთ ჯგუფად მიდიოდა სკოლისკენ. ამით გამოწვეული ჯგუფური მოძრაობის დინამიკა, სხვებს დანევის სურვილი, ისევე უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთო სიტუაციის შეფასებისას, როგორც, სიბნელეში მოახლოებულ მანქანამდე დარჩენილი მანძილისა და ამ მანქანის მოახლოების სიჩქარის სწორად გამოთვლის სირთულე.

...

რადგან, როდესაც არასრულწლოვნები ერთ ჯგუფად გადაადგილდებიან, არსებობს იმის რისკი, რომ ამ ჯგუფიდან რომელიმე ბავშვი შეიძლება იყოს არამობილიზებული და უყურადღებოდ იქცეოდეს.

ბავშვი, სხვა ბავშვთან ერთად გზაზე გადასვლისას, ხშირად არ აქცევს ხოლმე ყურადღებას უპირატესი მოძრაობის უფლების მქონე ტრანსპორტს (OLG Oldenburg, Urteil vom 26. Februar 2004 - 8 U 229/03 - juris Rn. 11). ამას ემატება ასევე ის გარემოებაც, რომ ოთხი ბავშვიდან სამს გზა უკვე გადაკვეთილი ჰქონდა და მოსარჩელეს, როგორც ჯგუფის ბოლო წევრს, პირველი მოპასუხე დაეჯახა მაშინ, როდესაც ის თავადაც თითქმის უკვე გადასული იყო გზაზე”.

გგ) ნდობის დაცვა:

საგზაო მოძრაობის გამოწვევები, რომელშიც ორიენტირება განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ბავშვებისთვის, შშმ პირებისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის (იხ. (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 3 IIa პარაგრაფი), ასევე აისახება ნდობის დაცვის ფარგლებზეც.

განზოგადებულად რომ ჩამოვყალიბოთ, ნდობის დაცვის პრინციპი მოქმედებს შეზღუ-

დულად, როდესაც საგზაო სიტუაციაში წარმოშობილი საფრთხეები ბავშვის¹⁹⁸, ასაკოვანი თუ შშმ პირის¹⁹⁹ მიერ ვერ აღიქმება სრულად, ისე, როგორც ზრდასრული პირის მიერ, მას არ ძალუძს მისი დაძლევა და ეს მდგომარეობა შეცნობადია ავტომობილის მძღოლისთვის.

ეს ამავედროულად ნიშნავს, რომ ნდობის დაცვის პრინციპი, ზოგადად, ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც მოძრაობის მონაწილე არის ბავშვი, ასაკოვანი ან შშმ პირი. შესაბამისად, კონკრეტულ საგზაო სიტუაციაზე დამოკიდებული, რამდენად და რა მოცულობით შეუძლია ავტომობილის მძღოლს მიენდოს იმას, რომ ბავშვი თუ ასაკოვანი ადამიანი საგზაო მოძრაობაში სწორად მოიქცევა. ამ გადანყვეტის თანახმად, მძღოლმა მართვისას განსაკუთრებული წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს, თუ ბავშვების ქცევა ან მისი მდგომარეობა, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, ცხადყოფს, რომ ის შეიძლება საფრთხეში გადაიზარდოს.²⁰⁰ ამ საფრთხის ინტენსივობისდა მიხედვით, საჭირო ქცევა შეიძლება გულისხმობდეს გაზრდილი ყურადღებიდან და დამუხრუჭებისათვის მუდმივი მზადყოფნიდან დაწყებული, მთელი არეალის ინტენსიურ დაკვირვებასა თუ, საბოლოოდ, დასაშვები სიჩქარის მნიშვნელოვან შემცირებას, შესაძლოა ადამიანის ნაბიჯების სიჩქარემდეც კი.²⁰¹ განსაკუთრებულ შემთხვევებში მძღოლის ნდობა დაცვას აღარ იმსახურებს უკვე მაშინაც კი, როდესაც მან ბავშვი ვერ შეამჩნია, მაგრამ დაინახა მოფარებული ეზოს შესასვლელიდან გამოგორებული ბურთი ან თუ მანამდე ბავშვები სახლის შემოსასვლელიდან სირბილით გამოვიდნენ [და (მიზიდულობის ეფექტის საფრთხის გამო) შეიძლება მათ სხვა ბავშვიც გამოჰყოლოდა].

თუ ასაკოვანი პირი იმყოფება სიტუაციაში, რომელშიც მას, ზოგადი ცხოვრებისეული გამო-

¹⁹⁸ მკაფიოდ: OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - juris Rn. 41.

¹⁹⁹ OLG Hamm, Beschluss vom 8. März 2022 - I-9 U 157/21 - NJW-RR 2022, 1041, juris Rn. 18, ხანდაზმული ადამიანებისთვის.

²⁰⁰ BGH, Urteil vom 23. April 2002 - VI ZR 180/01 - NJW 2002, 2324, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 10.

Oktober 2000 - VI ZR 268/99 - NJW 2001, 152, juris Rn. 6; OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - juris Rn 41.

²⁰¹ შდრ. OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - juris Rn 41.

ცდილების მიხედვით, საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს, მძღოლს არ ევალება მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა მხოლოდ მისი ხანდაზმული ასაკის გამო.²⁰² განსხვავებულადაა საქმე, როდესაც ხანდაზმული ადამიანი იმყოფება საგზაო სიტუაციაში, სადაც, გამოცდილების მიხედვით, სავარაუდოა, რომ ის ველარ შეძლებს მდგომარეობის სრულად განჭვრეტას და გაკონტროლებას. ამ დროს ნდობის დაცვის პრინციპი აღარ მოქმედებს, დამოუკიდებლად კონკრეტული საფრთხის ნიშნების არსებობისა.²⁰³

დ) წვლილთა შენონის მასშტაბი:

წვლილთა შენონის საფუძველზე პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-9 პარაგრაფის მიხედვით, ბავშვების ბრალეული ქმედების შეფასება ასაკის მიხედვით დიფერენცირებული სტანდარტით უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გავლენას ახდენს არასწორ ქცევაზე, გამომდინარე იქიდან, რომ მათი მხრიდან საგზაო მოძრაობის საფრთხეებთან შეგუებისა და შესწავლის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. შესაბამისად, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-9 და გსკ-ის 254-ე პარაგრაფების ფარგლებში შენონისას, ბავშვების თანაბრალეულობა უფრო ნაკლებს იწონის, ვიდრე ზრდასრულის თანაბრალეულობა მსგავს საგზაო სიტუაციებში.²⁰⁴

5. ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც გამონვეულია ავტომობილისა და ცხოველისგან მომდინარე საფრთხეების თანადამთხვევით:

თუ ზიანი რეალიზდება, როგორც ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხის,

ასევე გსკ-ის 833-ე პარაგრაფის გაგებით ცხოველისგან მომდინარე საფრთხის შედეგად (რაც წარმოადგენს საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის საფუძველს) შენონა ხდება (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფისთვის დადგენილი პრინციპების მიხედვით (17 IV პარაგრაფი). (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 17 I პარაგრაფის კონტექსტში უკვე განხილული ზოგადი კრიტერიუმების მიღმა, სასამართლო პრაქტიკა, ჩვეულებრივ, განსხვავებულ გადანყვეტილებას იღებს, იმისდა მიხედვით, ცხოველი საგზაო მოძრაობაში ადამიანის მიერ იყო მართული თუ მან გზაზე თავისით გადაიბრუნა.

თუ ცხენს საგზაო მოძრაობაში მართავდა ადამიანი, სასამართლო პრაქტიკა ცხოველის მფლობელის საზიანოდ [მფლობელს შეერაცხება], სხვა საფრთხეებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს, ცხენის ბუნებასთან დაკავშირებულ ისეთ საფრთხეს, როგორცაა, მისი ყალყზე დადგომის დროს, მართვის შეზღუდული შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე რისკები. ამის საპირისპიროდ, ავტომობილის მფლობელს შეერაცხება ის ფაქტი, რომ ხმაურიანი ავტომობილები, ხმის მიმართ მგრძობიარე ცხოველებში, როგორცაა ცხენი, ინვევენ შიშს და ასევე ცხენები მათი გადაადგილების არეალში სხვა სხეულების მოძრაობაზე სენსიტიურად რეაგირებენ; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაიმე მოულოდნელი ხდება. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ცხოველისა და ავტომობილის მფლობელებს შორის, როდესაც ორივე ბრალის გარეშე მოქმედებდა, ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა განაწილდეს [თანაბარი წვლილი მიუძღვით ავტოსაგზაო შემთხვევაში].²⁰⁵

²⁰² BGH, Urteil vom 19. April 1994 - VI ZR 219/93 - NJW 1994, 2829, juris Rn. 12; OLG Hamm, Beschluss vom 8. März 2022 - I-9 U 157/21 - NJW-RR 2022, 1041, juris Rn. 19.

²⁰³ BGH, Urteil vom 19. April 1994 - VI ZR 219/93 - NJW 1994, 2829, juris Rn. 12; OLG Hamm, Beschluss vom 8. März 2022 - I-9 U 157/21 - NJW-RR 2022, 1041, juris Rn. 19.

²⁰⁴ შდრ. BGH, Urteil vom 18. November 2003 - VI ZR 31/02 - NJW 2004, 772, juris Rn. 11; BGH, Urteil

vom 13. Februar 1990 - VI ZR 128/89 - NJW 1990, 1483, juris Rn. 22; OLG Karlsruhe, Urteil vom 20. Juni 2012 - 13 U 42/12 - NJW 2012, 3042, juris Rn. 13; OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - juris Rn. 58.

²⁰⁵ OLG Celle, Teilurteil vom 20. Januar 2016 - 14 U 128/13 - VersR 2017, 567, juris Rn. 13; OLG Celle, Urteil vom 10. April 2018 - 14 U 147/17 - NJW-RR 2018, 728, juris Rn. 37, თუმცა გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ ცხოველიდან გამომდინარე

ცხოველისგან გამომდინარე საფრთხე ფასდება უფრო მნიშვნელოვნად და დიდად, როდესაც ცხოველი საგზაო მოძრაობაში არის არა ადამიანის მიერ მართული და ამ პროცესის ნაწილი, არამედ, თავისი ცხოველური ბუნების შესაბამისად, გზაზე არაპროგნოზირებადად გადარბის (პატრონის გარეშე მყოფი ძაღლი; გამოქცეული ხარი). ასეთ სიტუაციაში ცხოველი თავიდანვე საშიში უცხო სხეულია საგზაო მოძრაობაში. ამიტომაც, ავტომობილისა და თავისუფლად მორბენალი ცხოველის შეჯახებისას, ჩვეულებრივ, ამ ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა უფრო მეტს იწონის.²⁰⁶ საზოგადოებრივ გზაზე მოზრდილ ცხოველთან შეჯახებისას, ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხე (მძღოლის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საფუძველი) ყოველთვის უკან იხევს ცხოველისგან გამომდინარე საფრთხესთან მიმართებით, თუ ცხოველის მფლობელს (მაგალითად, პირუტყვის საძოვრის არასაკმარისი შემოღობვა) ბრალი მიუძღვის. მოცემული გადანწყვეტის უკან დგას ის მოსაზრება, რომ მოცემული ტიპის ავარიები ხდება ისეთ საგზაო სივრცეში, სადაც ავტომობილი იმყოფება საკუთარი დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით, ხოლო მოზრდილი ცხოველის ადგილი იქ არ არის.²⁰⁷

6. რევიზია სააპელაციო სტადიაზე:

რადგან წვლილთა შენონის პროცესი მეტწილად შეფასებითი ხასიათისაა, სააპელაციო სამართლოს მიერ ქვედა ინსტანციის გადანწყვეტილების სისწორის/რევიზიის კომპეტენცია შეზღუდულია.

სააპელაციო სასამართლო პროცესზე ამონ-

მებს მხოლოდ იმას, არის თუ არა ყველა შესაძლო გარემოება სრულად და სწორად გათვალისწინებული და განხორციელდა თუ არა შენონა სამართლებრივად გამართული კრიტერიუმების საფუძველზე.²⁰⁸ სააპელაციო სასამართლო ასევე ამონმებს, მოხდა თუ არა შენონისას ავარიის გამომწვევი ყველა დადგენილი გარემოების გათვალისწინება და აცნობიერებდა თუ არა წინა ინსტანციის სასამართლო, რომ შენონისას გადანწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ხარისხისა და მოცულობის წვლილი შეიტანეს მონაწილეებმა ავარიის გამომწვევაში. ძირითადად, სააპელაციო სასამართლოს კონტროლი მოიცავს იმის გადამოწმებას, იყო თუ არა ავარიის გამომწვევი ყველა ფაქტი პროცედურულად სწორად და სრულად დადგენილი და გაითვალისწინა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ ის გარემოება, რომ ერთი ან რამდენიმე მონაწილის ბრალი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფაქტორი შენონისას.²⁰⁹

სარევიზიო სასამართლოს მხრიდან შეუზღუდავ გადამოწმებას ექვემდებარება კონკრეტულ კონტექსტში *prima facie*-მტკიცებულების პრინციპების მართებულად გამოყენება.²¹⁰

V. ავარიაში წვლილთა შენონა ქართულ სამართალში:

1. სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანულისაგან განსხვავებით, არ შეიცავს ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონის სპეციალურ რეგულაციას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევაში რამდენიმე ავტომობილია

საფრთხე, ზოგადად, უფრო მეტს იწონის, მაგრამ ეს კომპენსირებული იყო ავარიაში სატვირთო მანქანის მონაწილეობით.
²⁰⁶ ვრცელი მითითებებით: AG Brandenburg, Urteil vom 21. Februar 2019 - 31 C 211/17 - juris Rn. 67.
²⁰⁷ Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 17. Februar 2005 - 7 U 168/03 - juris Rn. 41 f.; AG Köln, Urteil vom 2. November 2022 - 261 C 118/22 - juris Rn. 25.
²⁰⁸ BGH, Urteil vom 22. November 2022 - NJW 2023, 1123 - VI ZR 344/21, juris Rn. 11; BGH, Urteil vom

8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 15. Mai 2018 - VI ZR 231/17 - VersR 2018, 957, juris Rn. 10.
²⁰⁹ შტრ. BGH, Urteil vom 22. November 2022 - VI ZR 344/21 - NJW 2023, 1123, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 8. März 2022 - VI ZR 1308/20 - NJW 2022, 1810 - juris Rn. 8.
²¹⁰ BGH, Urteil vom 13. Dezember 2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 26. Januar 2016 - VI ZR 179/15 - NJW 2016, 1100, juris Rn. 12.

ჩართული ან როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება ავტომობილსა და სკ-ის 999-ე მუხლის მოქმედების არეალს მიღმა მყოფ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეს შორის.

თუმცა ქართველი კანონმდებელი აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ზიანის გამონწვევაში ჩართულ პირებსაც შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ მოთხოვნები. ამისთვის მან სკ-ის 415-ე მუხლის რეგულაცია შეიმუშავა. მაგრამ, ეს ნორმა თავისი პირდაპირი ფორმულირებით, მხოლოდ ორმხრივი ბრალით გამონწვეულ პასუხისმგებლობას ეხება. ამასთან, კანონმდებელს მხედველობიდან გამორჩა, რომ, მაგალითად, სკ-ის 999-ე მუხლი ადგენს, ბრალის გარეშე, უკვე მხოლოდ საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობას და ამ ნორმიდანაც შესაძლებელია ორმხრივი მოთხოვნები გამომდინარეობდეს.

იდენტური სამართლებრივი მდგომარეობისა და ინტერესთა გადანაწილების გამო, მიზანშეწონილია, ეს რეგულატორული ხარვეზი სკ-ის 415-ე მუხლის ანალოგიით ამოიყოს იმგვარად, რომ ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მოხდეს არა ბრალის ხარისხის, არამედ ავარიაში შეტანილი წვლილის მიხედვით. ამ ანალოგიის გარეშე, სრულიად მიუღებელი შედეგები დადგებოდა – არ იარსებებდა ნორმა, რომელიც ორმხრივ, ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნებს სამართლიანად დააბალანსებდა. მოცემული რეგულაციის გარეშე: ან ეს ორმხრივი საპირისპირო მოთხოვნები სრულად უნდა იყოს განხორციელებადი [თითოეულს შეუძლია მოითხოვოს მთლიანი ზიანის ანაზღაურება მეორე მხარისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ავარიაში ერთი ობიექტური წვლილი უფრო მეტია] რისი სამართლებრივად დასაბუთებაც შეუძლებელია, ან ორივე მონაწილეს სრულად უნდა გამოერიცხოს ერთმანეთის მიმართ მოთხოვნები. ორივე გადაწყვეტა აბსურდულია.

ამიტომაც, ავარიაში მონაწილე ავტომობილების მფლობელების ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, ასევე საფრთხის შექმნისათვის [ბრალის გარეშე] და ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობების თანხვედრისას, მაგალითად, როდესაც ავტომობილი ქვეითს ეჯახება, მიზანშეწონილია სკ-ის

415-ე მუხლში დაფიქსირებული სამართლებრივი პრინციპების ანალოგიით გამოყენება.

ეს ნიშნავს, რომ მოძრაობის იმ მონაწილეს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისათვის, ბრალის ნაცვლად ავარიის გამომწვევი ფაქტორი (ავარიაში წვლილი) უნდა შეერაცხოს. ეს სწორია იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხე ზუსტად ისევე ეხება სხვა ავტომობილის მფლობელებს, როგორც მესამე პირებს. გარდა ამისა, ამგვარი განმარტების გარეშე, სკ-ის 999-ე მუხლში დაფიქსირებული საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის იდეა მნიშვნელოვანწილად დაიკარგებოდა, თუ იგი არ იმოქმედებდა ავარიაში მონაწილე ავტომობილების მფლობელთა შორის შიდა ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ავტომობილებს შორის შეჯახება შეადგენს ავტოსაგზაო შემთხვევების მნიშვნელოვან ნაწილს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავარიაში მონაწილე პირთა ბრალი შეწონისას ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს. პირიქით, ბრალიც არის ავარიაში წვლილის ნაირსახეობა, გაითვალისწინება, როგორც წვლილი და წარმოადგენს (შესაძლოა მნიშვნელოვან) ფაქტორს შეწონისას. ეს გადაწყვეტა – პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა წვლილთა შეწონის საფუძველზე – უფრო გონივრულია, ვიდრე მხოლოდ ბრალთა შეწონა. ის იძლევა, არა მხოლოდ იმის კანონისმიერ საფუძველს, რომ საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობა გავრცელდეს ასევე რამდენიმე დამზიანებელს შორის შიდა ურთიერთობაზე, არამედ, ზოგადად, სწორად ითვალისწინებს ავარიაში ჩართულ პირთა ინტერესებს და იძლევა შესაძლებლობას, რომ ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, არა მხოლოდ ბრალეულობა, იყოს გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით შეწონისას.

2. ბრალთა შეწონლობა საგზაო მოძრაობის კარდინალური ვალდებულების დარღვევისას - უზენაესი სასამართლო, № ას-784-2021, 05.04.2022:

მოცემულ კონტექსტში ერთ-ერთი აქტუალუ-

რი შემთხვევა უახლესი სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნებოდა:

პოლიციის ავტომობილმა, რომელიც 110 კმ/სთ სიჩქარითა და ჩართული სირენებით მიხედვდა გაქცეულ ავტომობილს, შეიცვალა სავალი ზოლი. ამ მომენტში ის შეეჯახა უკუსვლით მოძრავ სხვა ავტომობილს. პოლიციის ავტომობილის მძღოლმა სცადა დამუხრუჭება, მაგრამ ავარიის თავიდან აცილება ვეღარ შეძლო.

უზენაესმა სასამართლომ შსს-ის მზღვეველ კომპანიას სრულად დაუკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უკუსვლით მოძრავი დამზიანებლის მიმართ (თუმცა ზიანის ანაზღაურების ზუსტი მოცულობა ჯერ კიდევ საკამათო იყო) და, შესაბამისად, ის მიიჩნია ავარიის გამომწვევ ერთადერთ პასუხისმგებელ პირად. სასურველი იქნებოდა გადაწყვეტილების დასაბუთება უფრო დეტალური ყოფილიყო, თუმცა გადაწყვეტილებიდან მაინც მკაფიოდ იკითხება შემდეგი:

ა) სასამართლომ (კონკლუდენტურად) დაასკვნა, რომ პოლიციის ავტომობილის მხარეზე (მის სასარგებლოდ) აურიდებელი მოვლენა [რომელიც ამ მხარეს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებდა] არ დასტურდებოდა. ეს სწორი დასკვნა იყო.

ბ) სასამართლომ შენონა არანაირი ფორმით არ განახორციელა და პოლიციის ავტომობილის მძღოლისა და დამზიანებლის ბრალეულობა, როგორც ნვლილი, სულ მცირე, აშკარად მაინც, არ შენონა ერთმანეთთან. ამის გაკეთების შემთხვევაში, შსს-ის მზღვეველი კომპანიის ზიანის სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნებოდა. სულ მცირე, სასამართლოს უნდა შეემონებინა, იყო თუ არა ავარია ასევე პოლიციის ავტომობილის მძღოლისათვისაც წინასწარ განჭვრეტადი და თავიდან აცილებადი.

გარდა ამისა, სასამართლოს უნდა განეხილა, გამოიწვია [პროვოცირება გაუკეთა] თუ არა გაქცეული პირის ქცევამ პოლიციის ავტომობილის მძღოლის ქცევას (სიჩქარე, მოძრაობის ზო-

ლის შეცვლა და ა. შ.) – ე. ნ. „გამონვევის შემთხვევა“²¹¹. მართალია, გამოდევნების შემთხვევაში, გამოდევნებულსა და გაქცეულ პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში, „გამონვევის“ შემონმება ეხება კაუზალური შერაცხვის საკითხს და, შესაბამისად, კაუზალობის ნაწილია. თუმცა კითხვაზე, გამოიწვია თუ არა პოლიციის ავტომობილის მძღოლმა დევნისას მესამე პირთან შეჯახება და რამდენად იყო ეს ბრალეული, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად „გამონვეულად“/პროვოცირებულად გრძნობდა ის თავს, ემოქმედა ამგვარად, გაქცეული მძღოლის ქცევის გათვალისწინებით [ანუ, რისკებისა და სარგებლის შეფასებისას, სუბიექტურად რამდენად გამართლებულად და ადეკვატურად შეეძლო მიეჩნია საკუთარი რეაქცია გაქცეულის ამ ქცევაზე].

ნვლილთა შენონისას, დამზიანებლის მხარეზე, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გარკვეულიყო, რატომ მოძრაობდა უკუსვლით და შეერაცხება თუ არა მას ბრალი ამ ქმედებაში. სასამართლომ ეს შენონა არ განახორციელა და, საეროდ არ იმსჯელა საკითხზე, რომ უკანონო უკუსვლით მოძრაობა (ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ სიტუაციაში) წარმოადგენს საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის ძალიან მძიმე დარღვევას, რომლის მიმართაც შესაძლოა მეორე მხარის (პოლიციის ავტომობილის მძღოლი) თუნდაც (მსუბუქმა) ბრალეულობამ სრულად უკან დაიხიოს.

გ) შედეგის კუთხით, უნდა ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ ეს ასპექტები მაინც გაითვალისწინა.

თუმცა, მან დეტალურად არ გამოიკვლია ავარიის ფაქტობრივი განვითარება და არ იმსჯელა საკითხზე, მოქმედებს თუ არა **prima facie**-მტკიცებულება უკუსვლის გამო დაზარალებულის სასარგებლოდ, ზოლის შეცვლა კი – მის საზიანოდ, და როგორ უნდა შენონილიყო ნვლილები ამგვარი კოლიზიისას.

გადაწყვეტილებიდან ასევე არ იკითხება, იყო თუ არა ავარიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ის, რომ დამზიანებელმა პოლიციის სირენებს

²¹¹ იხ. ე. ნ. „გამონვევის შემთხვევებთან“ დაკავშირებით: რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), წიგნი 3, 2019, მუხ. 408

მე-20 ველი; რუსიაშვილი, დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2020, 53-ე გვერდი.

ყურადღება არ მიაქცია.

3. წვლილთა შეუნონლობა - უზენაესი სასამართლო, ას-504-481-2016, 30.09.2016:

შესაძლოა კიდევ უფრო საინტერესო და პრობლემატური იყოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის შემდეგი გადაწყვეტილება:

ორი ავტომობილის შეჯახებაში ორივე მფლობელს მიუძღოდა წვლილი. მფლობელი № 1/მძღოლი № 1 (სასამართლოს მიხედვით: დაზარალებული) საგზაო მოძრაობის წესების უგულვებელყოფით მოტრიალდა გზაზე (საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 27 I მუხლის დარღვევა) და ამ მომენტში შეეჯახა მეორე ავტომობილს. ამ ავტომობილის მფლობელები (მფლობელი № 2) იყვნენ მძღოლის (მძღოლი № 2) მშობლები. № 2 მძღოლს არ ჰქონდა მართვის მოწმობა, იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში და გადაადგილდებოდა გადაჭარბებული სიჩქარით (ძველი რედაქციის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 20 IX a), 29 I მუხლის დარღვევა).

უზენაესმა სასამართლომ შვილის ქცევა (მძღოლი № 2) შეურაცხა მშობლებს (მფლობელები № 2) და დააკისრა მათ დაზარალებული მფლობელი № 1-სათვის ზიანის ანაზღაურება სრული ოდენობით. სასამართლოს აზრით, ავარიას "ძირითადად" ამ მხარის ქცევამ შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმაც გამოიჩინა მცირე დაუდევრობა და დაუშვებელ ადგილზე მოტრიალდა, დამზიანებელი ავტომობილის მძღოლმა "უფრო მეტი დაარღვია" (ალკოჰოლური სიმთვრალე, სიჩქარის გადაჭარბება, მართვის მოწმობის არქონა), ამ დარღვევების გარეშე შეჯახება არ მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მოიხმო სხვა პროცესზე წარდგენილი საგზაო-სატრანსპორტო ექსპერტიზის დასკვნა (რომელიც წინა, ადმინისტრაციულ ან სისხლის სასამართლო პროცესზე დაინიშნა, ან მხარის ექსპერტის დასკვნის სახით იქნა წარმოდგენილი სასამართლოსათვის).

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მყიფე საფუძველზე დგას. წვლილების შეუნონა არის სამართლებრივი შეფასების

საკითხი; ის ვერ გადაწყდება საგზაო-სატრანსპორტო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნა გამოსადეგია მხოლოდ კაუზალობის პირველი ორი ელემენტის (ექვივალენტურობა და ადეკვატურობა) დადგენისათვის; უკვე მესამე ელემენტთან (კაუზალური შერაცხვა) მიმართებით ის არაფრისმთქმელია, რადგან ეს სამართლებრივი შეფასების საკითხია და, რა თქმა უნდა, სასამართლო საერთოდ ვერ დაეყრდნობა დასკვნას, როდესაც, კაუზალობის დადგენის შემდეგ, საქმე ეხება ავარიამი წვლილების შეუნონას, საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის პერსპექტივიდან.

სასამართლო არასწორად აფასებს ავარიამი მხარეთა წვლილებს, როდესაც ამბობს, რომ № 2 მფლობელებმა (რომელთაც შეერაცხებოდათ შვილის ქცევა) დაარღვიეს „უფრო მეტი“, რადგან ავარია არ მოხდებოდა მძღოლი № 2-ის დარღვევების გარეშე და რომ ეს ფაქტობრივი „მეტი“ სამართლებრივადაც „მეტს“ ნიშნავს, ანუ წარმოადგენს ავარიის გამომწვევ „მთავარ წვლილს“. სასამართლომ აქ საერთოდ არ გაითვალისწინა კაუზალობისა და ნორმის დაცვითი მიზნის საფუძველზე შერაცხვის საკითხები.

პირველ რიგში, მართვის მოწმობის გარეშე მართვა დამზიანებლის მხარეზე უგულვებელყოფილი უნდა ყოფილიყო. ეს ვერ ჩაითვლებოდა მოცემულ კონტექსტში შერაცხვად გადაცდომად, რადგან საერთოდ არ წარმოადგენდა ავარიის განმაპირობებელ ფაქტორს და, შესაბამისად, შეუნონისას, შეუძლებელი იყო მისი გათვალისწინება წვლილის სახით: მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვა აკრძალულია არა იმის გამო და იმ მიზნით, რომ ზიანი არ მიადგეს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეს, რომელიც არასწორ ადგილას გადაწყვეტს მობრუნებას. გადაწყვეტილებიდან ასევე არ იკითხება, იყო თუ არა მძღოლი № 2-ის მხრიდან სიჩქარის გადაჭარბება ავარიის გამომწვევი (ერთ-ერთი) მიზეზი. განსაკუთრებით, არ არის თემატიზირებული, შეძლებდა თუ არა მძღოლი № 2 შეჯახების თავიდან აცილებას, დასაშვები სიჩქარის დაცვის შემთხვევაში. თუ სასამართლომ მძღოლი № 2-ის მხრიდან სიჩქარის გადაჭარბება უკვე მხოლოდ იმიტომ ჩათვალა ავარიის გამომწვევ მიზეზად, რომ, ამ გადაჭარბების გარეშე, ის

მოგვიანებით მოხვდებოდა ავარიის ადგილას, როდესაც პირველი ავტომობილის მობრუნების არასწორი მანევრი უკვე დასრულებული იქნებოდა [და შესაბამისად, – ავარიაც თავიდან აცილებული], ეს კაუზალობის ცნების არასწორ გაგებას უნდა მივანეროთ და, რა თქმა უნდა, ეს ვერ ჩაითლება ავარიაში წვლილად. იგივე უნდა ითქვას მართვის მოწმობის გარეშე გადაადგილებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სამართლებრივი დასაბუთება მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგება, არ ჩანს, თუ ზუსტად რა არგუმენტებით იხელმძღვანელა სასამართლომ.

ასევე, ალკოჰოლური სიმთვრალეც, თავისთავად და ცალკე აღებული, ვერ ჩაითვლება ავარიაში წვლილად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მძღოლი ფხიზელ მდგომარეობაში შეჯახების თავიდან აცილებას შეძლებდა. თუმცა ამ პრიზმაში შესაფასებლად და მოცემული მსჯელობის გასავითარებლად, სასამართლოს ჯერ უნდა გამოეკვლია მძღოლი № 2-ის ორგანიზმში ალკოჰოლის რაოდენობა. ეს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, ისევე როგორც ზუსტი სიჩქარე, რომლითაც მძღოლი გადაადგილდებოდა [რამდენით იქნა ლიმიტი გადაჭარბებული]. მოცემული მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ, კაუზალობის საკითხში, ჰიპოთეტური კაუზალური მიმდინარეობის სახით, არ გაითვალისწინა, თავიდან არიდებადი იქნებოდა თუ არა შეჯახება, მძღოლი № 2-ს უშუალოდ შეჯახების წინაშე მომენტში მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე რომ დაეცვა და ფხიზელი ყოფილიყო.

თუ სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა იმ არგუმენტით (რისი ცალსახად მტკიცებაც შეუძლებელია მწირი დასაბუთების გამო), რომ მძღოლი № 2-ს, ალკოჰოლის ზემოქმედების გამო და მართვის მოწმობის გარეშე, საერთოდ არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო საგზაო მოძრაობაში და უკვე ეს მიიჩნია მის წვლილად ავარიაში, ეს ცალსახად არასწორი მსჯელობაა. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიზანია მხოლოდ ინდივიდუალური სიკეთეების დაცვა ზიანის მომტანი იმ ქმედებისგან, რომლებიც შეერაცხება დამზიანებელს. იმ გადაცდომის სანქციონირება, რომელიც ზიანის მიზეზი არ გამხდარა, ზიანის ანაზღაურების სამართლისათვის უცხოა. ეს ეხება, როგორც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართვას, ასევე მართვის მოწმობის გარეშე მართვას, რომელთა სანქციონირებაც მხოლოდ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საგანს განეკუთვნება.

ის ფაქტი, რომ უზენაესმა სასამართლომ²¹² სხვა (შედეგის კუთხით სწორ) გადაწყვეტილებაში დისტანციის დაცვის ვალდებულების დარღვევასთან (საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 33 XI მუხლი) ერთად, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად, მართვის მოწმობის გარეშე მართვაც დაასახელა, წარმოადგენს კიდევ ერთ დასტურს იმისა, რომ ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე შეერაცხვა (კაუზალური შეერაცხვა) ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერჯერობით სწორად აღქმული და გაზიარებული არ არის.

²¹² სუსგ, ას-906-856-2015, 12.11.2015.

უხეში გაუფრთხილებლობის ცოდნასთან გათანაბრება უძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შეძენისას

(საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე)

ნატალი გოგიაშვილი, LL. M. (Chicago), LL. M. (Münster)

ადვოკატი

I. შესავალი

სკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენი არაკეთილსინდისიერია, თუ მან იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, ხოლო სკ-ის 187-ე მუხლი შემძენს არაკეთილსინდისიერად მიიჩნევს, არამხოლოდ მაშინ, როდესაც მან იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, არამედ მაშინაც, როდესაც მას აღნიშნულის შესახებ უნდა სცოდნოდა.¹ ანუ ბრალის ფორმის თვალსაზრისით, თუ უძრავი ნივთის შემძენის არაკეთილსინდისიერად მისაჩნევად უნდა არსებობდეს განზრახვა, როგორც ბრალის პირველი ფორმა,² მოძრავი ნივთების შემძენის არაკეთილსინდისიერების გამოწვევისთვის გაუფრთხილებ-

ლობაც საკმარისია, რამდენადაც ბრალის აღნიშნული მეორე ფორმა ცოდნის ელემენტის არსებობას არ მოითხოვს და პირი არაკეთილსინდისიერი ხდება უკვე მაშინ, როდესაც მას უკანონო ქმედების შესახებ „უნდა სცოდნოდა“.³

მოძრავი და უძრავი ნივთების შემთხვევაში ბრალის განსხვავებული ფორმების გამოყენება ნაკარნახევია შემძენის ნდობის დამაფუძნებელი ობიექტურ გარემოებებს შორის განსხვავებით, კერძოდ, მფლობელობას შემძენში არ შეუძლია გამსხვისებლის მესაკუთრეობის შესახებ წარმოშვას ისეთივე ძლიერი ნდობა, როგორც საჯარო რეესტრის ჩანაწერს. შესაბამისად, მოძრავი ნივთის შემძენს, უძრავი ნივთის შემძენისგან განსხვავებით, მოეთხოვება უფრო მეტი

¹ იხ. დეტალურად საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების წინაპირობები *რუსიაშვილი / სირდაძე / ეგნატაშვილი*, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 297 - 300. უძრავ ნივთზე კეთილსინდისიერებით საკუთრების მოპოვების წინაპირობები - *სირდაძე*, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019, 44-ე და შემდეგი გვერდები.

² BGH NJW 1965, 962 (963); MüKo/Grundmann, §276 Rn. 154; Staudinger/Casper, § 276 Rn. 22; Bamberger/Roth/Lorenz, § 276 Rn. 10; *Enneccerus L./Nipperdey*

H. C., BGB AT, S. 764; *Schmidhäuser E.*, JuS 1980, 241; *Grünwald A.*, JZ 2017, 1062 (1069); *Herzberg R.*, JZ 2018, 122 (123).

³ შდრ. *Staudinger/Casper*, § 276 Rn. 92 f.; *Bamberger/Roth/Lorenz*, § 276 Rn. 11; *Schmidhäuser E.* Jus 1980, 241; *Grünwald A.*, JZ 2017, 1062 (1069); *Herzberg R.* JZ 2018, 122 (123).

წინადახედულობისა და ყურადღების გამოჩენა გარიგების დადების დროს.⁴

თუმცა, მიუხედავად კანონმდებლის მიზანმიმართული გადანვეტილებისა, შემოელო განსხვავებული ბრალის ფორმები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექენისას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადანვეტილებაში უძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შექენის დამაბრკოლებელ გარემოებად ხშირად გვხვდება გაუფრთხილებელი ბრალის ფორმისთვის დამახასიათებელი ფორმულირება „უნდა სცოდნოდა“,⁵ რაც იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის საგანს წარმოადგენს.⁶

შესაბამისად, ისმის შეკითხვა, თუ რა მიზნით იყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლო გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმულირებას და ზოგადად, ხომ არ არსებობს გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც დასაშვებია სკ-ის 185-ე მუხლით განსაზღვრული ცოდნის ელემენტის უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნამდე რელატივირება.

ასეთი საგამონაკლისო შემთხვევის დაშვება შეიძლება საჭირო გახდეს პროცესუალურ კონტექსტში, რამდენადაც ცოდნა, როგორც ადამიანის შინაგანი წარმოდგენების ერთობლიობა, ადამიანის გონებაში რჩება⁷ და ნამდვილ მესაკუთრეს, როგორც პროცესუალურ მონინააღმდეგეს არ შეუძლია გაარკვიოს და დაამტკიცოს, თუ რა სუბიექტური მოსაზრებები და წარმოდგენები ჰქონდა შემძენს შესაბამის დროს.⁸ სამა-

გიეროდ, მოსარჩელეს შეუძლია პროცესზე დაამტკიცოს, რომ ნებისმიერ კეთილსინდისიერად მოქმედ გონიერ ადამიანს შეეძლო, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩანაწერის სიმცდარის ამოცნობა.⁹ შესაბამისად, ასეთ დროს შემძენის მიერ სინამდვილეში მიღებული, ინდივიდუალური დასკვნა სრულად უმნიშვნელოა და მას ცოდნა შეერაცხება.¹⁰ ანუ იგი არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა იმიტომ, რომ მას „უნდა სცოდნოდა“ გამსხვილებლის არამესაკუთრეობის შესახებ, მიუხედავად რეესტრის ჩანაწერისა. ე. ი. აღნიშნული მიდგომით, ცოდნა უთანაბრდება უხეში გაუფრთხილებლობით გათვალისწინებულ კოგნიტურ ელემენტს.

მსგავს შემთხვევებში შესაძლოა მოექცეს ორი სავარაუდო კონსტელაცია:

1. შემძენმა, მიუხედავად საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შეცნობისთვის საკმარისი ნიშნების არსებობისა, მისი ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებით (მაგ. გამოუცდელობა, ემოციური მდგომარეობა) ვერ მოახერხა გამსხვილებლის არამესაკუთრეობის შესახებ სწორი დასკვნის გაკეთება, მაშინ როდესაც კეთილსინდისიერი მესამე პირი ასეთ დასკვნას გააკეთებდა (გაუცნობიერებელი სამართლებრივი სიბრმავე).

2. შემძენმა მიუხედავად საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შეცნობისთვის საკმარისი ნიშნების არსებობისა, განზრახ დახუჭა თვალი სიმართლეზე („განზრახ თვალის დახუჭვა“).¹¹

⁴ იხ. დეტალურად განსხვავებული სუბიექტური ელემენტის არსებობის მიზეზები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექენისას - გოგიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 12/2023, 40 და შემდეგი გვერდები.

⁵ სუსგ №ას-1639-2019, 7 ივლისი, 2021; სუსგ. №ას-355-334-2014, 21 ივლისი, 2014 წელი; №ას-375-352-2014, 14 ივლისი, 2014 წელი; №ას-607-2019, 4 ივლისი, 2019 წელი.

⁶ იხ. დეტალურად რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 299.

⁷ შდრ. BGH NJW 1984, 661. Buch P., Wissen und juristische Person S. 89. Riedhammer M., Kenntnis, grobe

Fahrlässigkeit und Verjährung, S. 188; Jung S., Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, 47.

⁸ MüKo/Kohler, §892 Rn. 49; Staudinger/Picker, § 892 Rn. 174; Rosenberg L., Die Beweislast, 77.

⁹ შდრ. Staudinger/Picker, § 892 Rn. 174; Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 97 ff. Reichel H., Gutgläubigkeit beim Fahrmisrecht, 16.

¹⁰ Buch P., Wissen und juristische Person 76. Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 188.

¹¹ შდრ. Wesen der bewussten Rechtsblindheit in MüKo/Grundmann, §276 Rn. 159; Bamberger/Roth/Lorenz, § 276 Rn. 13; Martinek M., JZ 1996, 1099 ff.; Zu §990 BGB შდრ. BGHZ 26, 256 (269), zu § 819 BGB, შდრ. BGHZ 133, 246 (250). Riedhammer M., Kenntnis,

შედეგად, ორივე კონსტელაციაში პირი იმიტომ კი არ ხდება არაკეთილსინდისიერი, რომ მან იცოდა გამსხვისებლის არამესაკუთრეობის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ მას აღნიშნულის შესახებ „უნდა სცოდნოდა“, ანუ ორივე შემთხვევაში პირის არაკეთილსინდისიერება გამონვეულია უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმის გამო.¹²

შესაბამისად საკითხავია, სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ცოდნის დეფინიციის მსგავსი რელატივირება ორივე კონსტელაციაში რამდენად გამართლებულია, ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გაანყვეტილებებში გამოყენებული ფორმულირება „უნდა სცოდნოდა“ ხომ არ არის ნაკარნახევი პროცესუალური თვალსაზრისით მტკიცების ტვირთის გამარტივებით.

მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, სტატიაში უპირველესად მიმოხილული იქნება როგორც სიმართლეზე „განზრახ თვალის დახუჭვა“, ასევე გაუცნობიერებელი სამართლებრივი სიბრმავის არსი და მისი გამოყენების ფარგლები ჯერ ზოგადად, შემდეგ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით და საბოლოოდ, წარმოდგენილი იქნება შემაჯამებელი პოზიცია.

II. გაუცნობიერებელი სამართლებრივი სიბრმავე

პირველი კონსტელაცია, როდესაც უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევაში ცოდნა შესაძლოა, უხეში გაუფრთხილებლობით, არცოდნას გაუთანაბრდეს, არის სიმართლეზე „განზრახ თვალის დახუჭვა“. ამ შემთხვევაში, შემძენს გამოაქვს მცდარი დასკვნა არა

იმიტომ, რომ მიზანმიმართულად თვალი დახუჭა სიმართლეზე, არამედ მისი სუბიექტური (მაგ. ინტელექტუალური ან ემოციური) უუნარობის გამო. მოცემულ შემთხვევაში, შემძენი არ მოქმედებს ბოროტი განზრახვით და მისი ინდივიდუალური უუნარობაც შეიძლება პროცესუალურად დამტკიცებადი იყოს.

ამიტომაც ისმის შეკითხვა, გაუცნობიერებელი სამართლებრივი სიბრმავე და შესაბამისად, შემძენის სინამდვილის აღქმის სუბიექტური უუნარობა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შექმნისას რამდენად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამ კითხვაზე პასუხი არ არის ცალსახა. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება უძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შექმნისას შემძენის სუბიექტური უნარების გათვალისწინება (ე. წ. სუბიექტურობის თეორია)¹³ მაშინ მისი პერსონალური უუნარობა ნამდვილ მესაკუთრეს დაანება ტვირთად, რამდენადაც იგი მაინც დაკარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას, ხოლო თუ შემძენის ინდივიდუალური უნარები უგულებელყოფილი იქნება (ე. წ. ობიექტურობის თეორია),¹⁴ მაშინ შემძენი არაკეთილსინდისიერად ჩაითვლება და ნამდვილი მესაკუთრე შეინარჩუნებს საკუთრების უფლებას სადავო უძრავ ნივთზე.

რადგან ზემოაღნიშნული თეორიებისა და, შესაბამისად, შეფასების მასშტაბების გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს, უპირველესად დამოუკიდებლად უნდა მიმოვიხილოთ სუბიექტურობისა და ობიექტურობის თეორიების არსი. შემდგომში უნდა გაანალიზდეს, რომელი შეფასების მასშტაბი უნდა

grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 118 ff.; Eberhard S., Wissenszurechnung im Zivilrecht, 292 ff.

¹² შდრ. RGZ 73, 125 und RGZ 117 180 (189). ცოდნის შერაცხვის გამოყენება განსაკუთრებით თვალშისაცემია ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც სადავო საკითხი ეხება მიწის ნაკვეთის საზღვარს. თუ შემძენმა კონკრეტული დასკვნა გამოიტანა, რომ მიწის ნაკვეთის საზღვარი აქ არის და არსად სხვაგან, ივარაუდება რომ მან „იცის“ საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ - Lutter M., AcP 164 (1964), 122 (165).

¹³ შდრ. BGH VersR 1967, 909 (910); BGH NJW 1988, 1265 (1266); BGH NJW 1992, 316 (317); BGH NHW 2001, 2092 (2093); BGH NJW 2003, 1118 (1119); NGH NJW 2007, 2988; BGH NJW 2009, 1482; BGH VersR 1967, 909 (910); BGH NJW 1988, 1265 (1266).

¹⁴ შდრ. RGZ 141, 129 (131); RGZ 163, 104 (106); BGHZ 10, 14 (16); BGH NJW 1992, 3235 (3236); BGHZ 145, 337 (340); BGH NJW 2007, 2988, BGH NJW-RR 2014, 90 RGZ 127, 313 (315); BGHZ 24, 21 (27); BGH NJW 1994, 2232 (2233); BGH NJW 2001, 1786 (1787); BGH 2003, 2022 (2024).

იყოს გამოყენებული უძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შექმნის დროს.

1. ობიექტურობის თეორია

ობიექტურობის თეორიის მიხედვით, შემძენის ინდივიდუალური უნარები არ უნდა იყოს გათვალისწინებული და ყოველი განხორციელებული ქმედება მხოლოდ შესაძარებელი პირისგან მოსალოდნელი წინდახედულობის მიხედვით უნდა შეფასდეს.¹⁵ აღნიშნულის დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო ბრუნვა ნდობის დაცვას მოითხოვს.¹⁶ ანუ თითოეულ, კონკრეტულ სიტუაციაში საჭირო წინდახედულობა უნდა განისაზღვროს ზოგადად მოქმედი და შედარებადი შეფასების მასშტაბით და მისი არსებობა არ უნდა იყოს დამოკიდებული თითოეული ინდივიდის პერსონალურ უნარებზე.¹⁷ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირს ყოველთვის უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, პირმა სამოქალაქო ბრუნვისთვის აუცილებელი წინდახედულობა უგულებელყო თუ არა.¹⁸ კერძო სამართალში საკითხი ეხება არა „ცოდვებს“, არამედ ზიანის სამართლიან გადანაწილებასა და მის თავიდან აცილებას.¹⁹

ობიექტური შეფასების მასშტაბის გამოყენების გასამართლებლად ასევე შეგვიძლია მოვიხმოთ ე. წ. „ბრალის ნებაყოფლობის საკუთარ თავზე აღების“ თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირი თავის თავზე იღებს რისკს როდესაც იგი საკუთარი ნების შესაბამისად კისრულობს რთული და სარისკო დავალების შესრულებას და მისი

პერსონალური თვისებები მოსალოდნელ სტანდარტს არ შეესაბამება.²⁰

2. სუბიექტურობის თეორია

სუბიექტურობის თეორია ეფუძნება კერძო სამართალში აღიარებულ ბრალის პრინციპს.²¹ საჭირო წინდახედულობის უგულებელყოფისას ქმედების განმახორციელებელი პირი პასუხს აგებს იმიტომ, რომ იგი თავისი ფიზიკური თუ კოგნიტური მდგომარეობის საფუძველზე ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას სამართლებრივად გადამწყვეტი გარემოებების შეცნობა არ შეუძლია.²² ბრალი არის გასაკიცხი ქმედება და ამ გაკიცხვადობის წინაპირობას წარმოადგენს, რომ მოქმედ პირს მეტი წინდახედულობის გამოჩენა მართებდა.²³

ბრალის პრინციპი ემსახურება პრევენციას.²⁴ ანუ არასასურველი შედეგი მაშინ შეიძლება იქნეს აცილებული, თუ ქმედების განმახორციელებელ პირს შეუძლია და სურს კიდევ კანონის შესაბამისად იმოქმედოს.²⁵ თუ ქმედების განმახორციელებელ პირს თავისი სუბიექტური უნარებიდან გამომდინარე არ შეუძლია საჭირო წინდახედულობის გამოჩენა, მას ასევე არ უნდა ჰქონდეს უფლება, თავიდან აიცილოს ზიანის მომტანი ქმედების სამართლებრივი შედეგებისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

როგორც ციტელმანი აღწერს, ქმედების განმახორციელებელი პირის ქმედება ორ საფეხურად უნდა შეფასდეს. თავდაპირველად, პირის მიერ განხორციელებული ქმედება უნდა შევადაროთ გონიერი და მონესრიგებული საშუალო

¹⁵ შდრ. RGZ 127, 313 (315); BGHZ 24, 21 (27); BGH NJW 1994, 2232 (2233); BGH NJW 2001, 1786 (1787); BGH 2003, 2022 (2024); *Deutsch E.*, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 28; *Jacob M.M.*, *Beurteilung grober Fahrlässigkeit*, 39; *Röhl F.K.*, *JZ 1974, 521 (526)*; *Bokelmann E.*, *Grobe Fahrlässigkeit*, 16 ff.

¹⁶ *Deutsch E.*, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 2 Aufl. München, 29.

¹⁷ *Jacob M.M.*, *Beurteilung grober Fahrlässigkeit*, 39.

¹⁸ *Deutsch E.*, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 2 Aufl. München, 29.

¹⁹ *Röhl F.K.*, *JZ 1974, 521 (522)*.

²⁰ *Deutsch E.*, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 2 Aufl. München, 29.

²¹ BGH VersR 1967, 909 (910); BGH NJW 1988, 1265 (1266); *Röhl F.K.*, *JZ 1974, 521 (526)*; *Jacob M.M.*, *Beurteilung grober Fahrlässigkeit*, 39. Mehr dazu *Deutsch E.*, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 25 ff.; *Bokelmann E.*, *Grobe Fahrlässigkeit*, 19.

²² BGH NJW 2015, 2419; *Deutsch E.*, *AcP 202 (2002)*, 889 (894 ff.); a.A. *Englisch K.*, *Untersuchungen über Vorsatz und Fahrlässigkeit im Strafrecht*, 15 ff.

²³ *Leonhard F.*, *Fahrlässigkeit und Unfähigkeit*, 44.

²⁴ შდრ. *Röhl F.K.*, *JZ 1974, 521 (522)*.

²⁵ იხ. დეტალურად *Röhl F.K.*, *JZ 1974, 521 ff.*

სტატისტიკური ადამიანის ქმედებებს და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა დაისვას შეკითხვა, ქმედების განმახორციელებელ პირს შეეძლო თუ არა ემოქმედა, მისი პიროვნული უნარების გათვალისწინებით, უფრო წინდახედულად.²⁶

3. ობიექტურ-ტიპიზირებულობის თეორია

ობიექტურ-ტიპიზირებულობის თეორია აკონკრეტებს ობიექტურობის თეორიას და მოითხოვს საოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირისგან მეტი ცოდნისა და უნარების გამოყენებას.²⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მოქმედი პირისგან ისეთი მაღალი წინდახედულობის მასშტაბი უნდა იყოს მოთხოვნილი, როგორც, ტიპურად მოსალოდნელი იქნებოდა იმ ჯგუფის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლისაგან, რომელსაც ის მიეკუთვნება.²⁸ ასეთი ჯგუფები შეიძლება განისაზღვროს მაგალითად, განათლების ან სოციალური მდგომარეობის მიხედვით, თუმცა არავითარ შემთხვევაში ასაკის, სქესის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.²⁹

მაგალითად, თუ პირი ფლობს განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს თავის პროფესიაში, იგი ვალდებულია გამოიყენოს კიდევ ეს პროფესიული ცოდნა სამოქალაქო ბრუნვაში.

III. „განზრახ თვალის დახუჭვა“

გერმანული სასამართლო პრაქტიკა, ისევე როგორც იურიდიული ლიტერატურა, პირს მიიჩნევს არაკეთილსინდისიერად, თუ მან საჯარო

რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე მიზანმიმართულად დახუჭა თვალი.³⁰ მისი მოსაზრების მიხედვით, ბოროტი განზრახვით თვალის დახუჭვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არსებობს არაგონივრული სამართლებრივი ხარვეზი, რადროსაც შემძენი არ იმსახურებს კანონისმიერ დაცვას.³¹ აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლად ქართულ კანონმდებლობაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სკ-ის 98 I მუხლის ანალოგია, რომლის მიხედვითაც, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებისა, ცოდნის გაცნობიერებული უარყოფა არასდროს არ არის ცოდნა, რომლის არსებობასაც მოითხოვს სკ-ის 185-ე მუხლი, რადგან კანონმდებელმა მუხლის სიტყვასიტყვითი ფორმულირებით მიზანმიმართულად შემოიტანა შემძენის არამესაკუთრეობის შესახებ პოზიტიური ცოდნის მოთხოვნა, რათა დაცული ყოფილიყო სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და სიცხადე.³²

თუმცა სამოქალაქო სტაბილურობა ვერ იქნება დაცული, თუ შემძენის სუბიექტური, შინაგანი ცოდნის არსებობა პროცესუალურმა მონინალმდეგემ უნდა დაამტკიცოს. უპირველესად იმიტომ, რომ მტკიცების ტვირთის მქონე პირს შემძენის აღნიშნული ინდივიდუალური წარმოდგენები არ შეუძლია ამოიცნოს და ამასთან, შემძენს ყოველთვის ექნებოდა შესაძლებლობა, თავისი რეალური ცოდნა მიზანმიმართულად კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა.³³

²⁶ Zitelmann E., Allg. Teil, 158.

²⁷ Jacob M.M., Beurteilung grober Fahrlässigkeit, S. 39; Deutsch E., Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt, 30 ff., Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 96.

²⁸ Jacob M.M., Beurteilung grober Fahrlässigkeit, 40.

²⁹ იხ. დეტალურად Deutsch E., Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt, 33 ff.

³⁰ OLG Stuttgart BWNotZ 1978, 124 f.; OLG Hamm NJW-RR 1993, 1295 (1298); Staudinger/Gursky, 2002, § 892, S. Rn. 150.

³¹ შდრ. Bewusste Rechtsblindheit zu § 819 BGB in Martinek M., JZ 1996, 1099 (1102). Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 118 ff.; Martinek M.,

JZ 1996, 1099 ff.; Reuter D./Martinek M., Ungerechtfertigte Bereicherung, 643.

³² იხ. დეტალურად განსხვავებული სუბიექტური ელემენტის არსებობის მიზეზები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნისას - გოგიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 12/2023, 40 და შემდეგი გვერდები.

³³ შდრ. Schreiber K., JuS, 1978, 230; Martinek M., JZ 1996, 1099; Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 119; BGHZ 19, 378 (390) იმ პირის ქმედება, რომელიც საქმის რელევანტური გარემოებების შესახებ საკუთარ ცოდნას სინამდვილის საპირისპიროდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ეწინააღმდეგება გერმანიის საპროცესო კოდექსის 138 I პარაგრაფს და

მტკიცების ტვირთის ნაწილში ცოდნის უხეშ გაუფრთხილებლობამდე გათანაბრება, ჯერ კიდევ რომის სამართალშია დაფიქსირებული. მართალია, რომის სამართალი *dolus* (განზრახვას) *culpa lata*-სგან (გაუფრთხილებლობისგან) მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით განასხვავებდა,³⁴ თუმცა ბრალის ფორმებს შორის ეს განსხვავება პრაქტიკაში ქრებოდა, ხოლო ცოდნა კი არ მტკიცდებოდა, არამედ შესაბამის პირს *culpa*-ს მიხედვით შეერაცხებოდა.³⁵ *culpa lata*-ს *dolus*-თან გათანაბრება მე-19 საუკუნის პანდეკტიკაში იმით მართლდებოდა, რომ თუ ყურადღების ნაკლებობა სცილდება ყველა ზღვარს, ის ყოველთვის ბადებს ეჭვს, რომ ზიანის მიმყენებელი არა მხოლოდ უყურადღებოდ, არამედ განზრახ მოქმედებდა.³⁶ მისი განცხადება იმის შესახებ, რომ მან არ იცის ის, რაც ყველამ იცის, უნდა განიხილებოდეს როგორც უბრალო საბაბი და შესაბამის პირს უნდა შეერაცხოს სამართლებრივი ცოდნის პასუხისმგებლობის შედეგები.³⁷

მართალია, გაცნობიერებული ცოდნის უარყოფა არ არის ნამდვილი ცოდნა, თუმცა მათი გათანაბრება ფიქციით შესაძლებელია.³⁸

IV. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ცოდნის შეფასების ჭრილში

სამწუხაროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერების შეფასებისას ცოდნის ალტერნატივად იყენებს უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმისთვის დამახასიათებელ ფორმულირებას „უნდა სცოდნოდა“, რაც თავისთავშივე მიუღებელია, რადგან გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის

ალტერნატიული ფორმა, უძრავი ნივთების კონსტელაციაში არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენება.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უძრავი ნივთის შემძენის ცოდნის შეფასებისას პრიორიტეტს ანიჭებს ობიექტურობის თეორიას, ხოლო მენარმე სუბიექტებთან მიმართებით ამკაცრებს პასუხისმგებლობას მათ მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამო და მოითხოვს არამენარმე სუბიექტებისგან განსხვავებით მეტი წინდახედულობისა და ყურადღების გამორჩენას და შესაბამისად იყენებს ობიექტურ-ტიპიზირებულობის თეორიას. ამასთან მენარმე სუბიექტში საქართველოს უზენაესი სასამართლო მოიაზრებს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. მოცემული მოსაზრებების გასამყარებლად ქვემოთ წარმოგენილი იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

1. გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმის გამოყენება უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ცოდნის შეფასებისას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის ას-1071-2022 განჩინება

სახელმძღვანელო წინადადება:

(8)

„ს.კ-ის 185-ე და 312-ე მუხლებით გათვალისწინებული ცოდნის გამორკვევისას „გამოსაკვლევი შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით ან უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა

ასეთი პროცესუალური „ტყუილი“ იგნორირებულ უნდა იქნეს.

³⁴ Engelm W., Irrtum und Schuld, 180. Hoffmann H. J., Die Abstufungen der Fahrlässigkeit in der Rechtsgeschichte, 40.

³⁵ Kaser M., Das römische Privatrecht, Erster Abschnitt, 511. Hoffmann H. J., Die Abstufungen der Fahrlässigkeit in der Rechtsgeschichte, 71.

³⁶ Windscheid B./ Kipp T., Lehrbuch des Pandektenrechts, Band I, 522 ff.

³⁷ Hasse J. H./ Bethmann- Hollweg A., Die Culpa des römischen Rechts, 85 ff.

³⁸ შდრ. Bewusste Rechtsblindheit zu § 819 BGB in Martinek M., JZ 1996, 1099 (1102).

თუ არა სადავო ფაქტის შესახებ. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით (შდრ. სუსგ. №ას-355-334-2014, 21.07.2014წ.; №ას-375-352-2014, 14.07.2014წ.) [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 12 ოქტომბერს A-მ თავისი მიწის ნაკვეთი წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდა მოსარჩელეს, რომელიც ამ უკანასკნელმა არ დაირეგისტრირა, თუმცა ახორციელებდა მის ექსპლუატაციას.

2018 წელს A გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდრემ, შემდგომში პირველმა მოპასუხემ, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, რომელშიც სადავო მიწის ნაკვეთი არ იყო მოხსენიებული, A-ს დატოვებული ქონება მემკვიდრეობით მიიღო. პირველმა მოპასუხემ 2020 წელს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით და ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა სადავო მიწის ნაკვეთის თავის სახელზე რეგისტრაცია, რაც განხორციელდა კიდევ 2020 წლის 23 ივლისს. ამის შემდეგ, პირველმა მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა თავისი წარმომადგენლის მეუღლესთან, შემდგომში მეორე მოპასუხესთან, რომელმაც 2020 წლის 29 ივლისს ეს მიწის ნაკვეთი თავის სახელზე დაირეგისტრირა.

შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვდა პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

სამართლებრივი დასაბუთება:

მოცემულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია და მეორე მოპასუხე არ ჩათვალა კეთილსინდისიერ შემძენად სკ-ის 185-ე მუხლის საფუძველზე და მიუთითა შემდეგზე:

(8)

„სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებით გათვალისწინებული ცოდნის გამორკვევისას „გამოსაკვლევია შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით ან უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტის შესახებ. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით (შდრ. სუსგ. №ას-355-334-2014, 21.07.2014წ.; №ას-375-352-2014, 14.07.2014წ.).“

(9)

განსახილველ შემთხვევაში, სადავო გარიგების მხარეებმა იცოდნენ, რომ მამკვიდრებელმა სადავო ნივთი მოსარჩელეს სიცოცხლეშივე მიჰყიდა, შესაბამისად, იგი სამკვიდრო მასაში არ შედიოდა, მიუხედავად ამისა, მეორე მოპასუხის მეუღლემ დახმარება აღმოუჩინა პირველ მოპასუხეს, სადავო ქონება ჯერ საკუთრებაში დაერეგისტრირებინა, ხოლო შემდგომ მინდობილობის საფუძველზე ა.ა-ზე გაესხვისებინა.

შესაბამისად, მოქმედებს პირველი მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობის პრეზუმფცია, რაც კასატორმა სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტებით ვერ გააქარწყლა. აქედან გამომდინარე, ვლინდება 2020 წლის 29 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, პირველი მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, თავის სახელზე აღერიცხა სადავო ქონება და შემდგომ წარმომადგენლის მეშვეობით მეორე მოპასუხისთვის მიეყიდა სხვის საკუთრებაში არსებული ნივთი [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

2. უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ცოდნის შეფასება ობიექტური მასშტაბით

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვემოთ მოხმობილი გადაწყვეტილების მიხედვით, უარს ამბობს შემძენის ნამდვილი სუბიექტური

ცოდნის გამოკვლევაზე, არამედ ახლო ნათესავთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამო აყალიბებს პრეზუმფციას, რომ შემძენისთვის გამსხვისებლის არამესაკუთრობის შესახებ ცნობილი უნდა ყოფილიყო, სანინალმდეგოს მტკიცების ტვირთს კი მოპასუხეს აკისრებს. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უძრავი ნივთის შემძენის ცოდნის შესაფასებლად იყენებს ობიექტურობის თეორიას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 ოქტომბრის ას-964-2022 განჩინება

მთავარი წინადადება: (28)

„დადგენილია, რომ სადავო 2018 წლის 28 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები პირველი მოპასუხის ახლო ნათესავები არიან, ხოლო 2018 წლის 6 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ქონების შემძენი პირველი მოპასუხის შვილია. ამასთან, ხელშეკრულება დადებულია მას შემდეგ, რაც მოსარჩელის მოთხოვნით, მინის ნაკვეთის თაღლითური დაუფლების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო. ამდენად ივარაუდება, რომ ნათესავებისათვის მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ქონების თაობაზე არსებული დავის შესახებ ცნობილი იყო. აღნიშნული პრეზუმფციის სანინალმდეგო მტკიცება მოპასუხეებს არ წარუდგენიათ [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2006 წლის 14 ივნისს გაიცა უძრავი ქონებისა და 26,26 ჰა მინის ნაკვეთის შეძენის დამადასტურებელი ოქმი №142. ქონება დარეგისტრირდა მოსარჩელის სახელზე და მიენიჭა საკადასტრო კოდი. 2006 წლის 27 დეკემბერს, გარდაბანში, ნოტარიუს სოფიო ხალოვას სანოტარო ბიუროში, გაფორმდა უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც მო-

სარჩელემ თავის ძმას – პირველ მოპასუხეს სადავო უძრავი ქონება აჩუქა. თუმცა დადგენილია, რომ 2006 წლის 27 დეკემბერს მოსარჩელე საქართველოში არ იმყოფებოდა და ჩუქების ხელშეკრულებაზეც ხელი არ მოუწერია.

2008 წლის 23 ოქტომბერს პირველმა მოპასუხემ იპოთეკით დატვირთა სადავო უძრავი ქონება, რომელიც ხელახლა დაიტვირთა იპოთეკით 2010 წლის 29 სექტემბერს სს „ვ.ბ.ჯ-ის“ სასარგებლოდ. მოსარჩელემ ამის შესახებ შეიტყო 2018 წლის გაზაფხულზე და დაუყოვნებლივ წარადგინა განცხადება შსს-ს გარდაბნის სამმართველოში. ამის პარალელურად, 2018 წლის 28 მარტს, პირველმა მოპასუხემ სასწრაფოდ გაასხვისა აღნიშნული უძრავი ქონება თავისი უახლოესი ნათესავის – მეორე მოპასუხის სახელზე, მოგვიანებით კი, ამ უკანასკნელმა – მესამე მოპასუხეზე (06.09.2018 წელს), რომელიც არის პირველი მოპასუხის ოჯახის წევრი – ქალიშვილი. მოსარჩელემ მოითხოვა 2006 წლის 27 დეკემბერის ჩუქების ხელშეკრულების, 2018 წლის 28 მარტისა და 2018 წლის 6 სექტემბერის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებათა ბათილად ცნობა და სადავო ქონების მის საკუთრებაში დაბრუნება.

სამართლებრივი დასაბუთება: (27)

„.....როდესაც საქმე უკავშირდება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია, დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც, სინამდვილეში, უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები. ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობით გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციას და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ კომპონენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამ საკითხის გამორკვევისას გამოსაკვლევიან შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან

მიმართებით ან უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტის შესახებ. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით (შდრ. სუსგ. №ას-355-334-2014, 21 ივლისი, 2014 წელი; №ას-375-352-2014, 14 ივლისი, 2014 წელი; №ას-607-2019, 4 ივლისი, 2019 წელი).

(28)

დადგენილია, რომ სადავო 2018 წლის 28 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები პირველი მოპასუხის ახლო ნათესავები არიან, ხოლო 2018 წლის 6 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ქონების შემძენი პირველი მოპასუხის შვილია. ამასთან, ხელშეკრულება დადებულია მას შემდეგ, რაც მოსარჩელის მოთხოვნით, მინის ნაკვეთის თაღლითური დაუფლების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო. ამდენად ივარაუდება, რომ ნათესავებისათვის მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ქონების თაობაზე არსებული დავის შესახებ ცნობილი იყო. აღნიშნული პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცება მოპასუხეებს არ წარუდგენიათ. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მეორე და მესამე მოპასუხე უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენები არ არიან. ამდენად, საკასაციო პალატის დასკვნით, ნასყიდობის ხელშეკრულებები დაიდო მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს სადავო უძრავი ქონების დაბრუნების პროცესში დაბრკოლება შეჰქმნოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

3. უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შექმნის ცოდნის შეფასება ობიექტურ-ტიპიზირებულობის თეორიით

საქართველოს უზენაესი სასამართლო მენა-

რმე სუბიექტების კეთილსინდისიერების შეფასებისას იყენებს ობიექტურ-ტიპიზირებულობის თეორიას, რამდენადაც მათგან მოითხოვს, არამენარმე სუბიექტებთან შედარებით, მეტი წინდახედულობისა და ყურადღების გამოჩენას ხელშეკრულების დადებისას, მათ მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, უზენაესი სასამართლო მოცემულ გამკაცრებულ პასუხისმგებლობას იყენებს, როგორც მენარმე ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან მიმართებით.

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის ას-950-2020 განჩინება

მთავარი წინადადება:

(34)

„საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას, რომ კასატორი მენარმე სუბიექტს წარმოადგენს, რომელსაც მისი ყოველდღიური საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მოეთხოვება მეტი წინდახედულება და გონივრულობა გარიგებების დადებისას. [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

ფაქტობრივი გარემოებები:

A-ს (შემდგომში მოსარჩელე) სახელზე ირიცხებოდა მინის ნაკვეთი. B-მ (შემდეგში პირველი მოპასუხე) გააყალბა მინდობილობა, რომელშიც მიუთითა, თითქოს იგი იყო მოსარჩელის წარმომადგენელი და უფლებამოსილება ჰქონდა, ნებისმიერი სახით განეკარგა მისი კუთვნილი უძრავი ქონება. მინდობილობის გამოყენებით პირველ მოპასუხესა და მის რძალს (შემდგომში მეორე მოპასუხე) შორის, 2017 წლის 17 ივლისს, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მეორე მოპასუხემ შეიძინა მინის ნაკვეთი, რომელიც 2017 წლის 18 ივლისს, რეესტრში დაირეგისტრირა და აღნიშნული მინის ნაკვეთი გაყო ორ ნაწილად – 2 000 კვ.მ და 1 263 კვ.მ მინის ნაკვეთებად. 2017 წლის 20 ივლისს მეორე მოპასუხესა და შპს-ს შორის 1 263 კვ.მ მინის ნაკვეთზე დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება,

რომლითაც ნასყიდობის საგნის ღირებულება 189 500 აშშ დოლარად განისაზღვრა და ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგნის საფასური მყიდველმა სრულად გადაიხადა. ნასყიდობის ხელშეკრულება, რეგისტრაციის მიზნით, იმავე დღეს წარედგინა რეესტრს.

მოსარჩელე ითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას და 2 000 კვ.მ და 1 263 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე მესაკუთრედ აღიარებას.

თავის მხრივ, შპს არ ეთანხმებოდა მოთხოვნას და უთითებდა, რომ იგი გახდა 1 263 კვ.მ მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი შემძენი.

სამართლებრივი დასაბუთება:

(34)

„საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას, რომ **კასატორი მენარმე სუბიექტს წარმოადგენს, რომელსაც მისი ყოველდღიური საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მოეთხოვება მეტი წინდახედულება და გონივრულობა გარიგებების დადებისას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს, რომელმაც სადავო გარიგების საფუძველზე შეიძინა უძრავი ქონება უნდა გამოეჩინა მეტი წინდახედულება ქონების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო აქტის ნაკლის მიმართ, ამასთან, იმ გარემოების სანაღმდეგოდ, თუ რატომ არ შეეძლო სანარმოს უშუალოდ უძრავი ქონების ნამდვილი მესაკუთრის წარმომადგენლისაგან შეეძინა მისთვის სასურველი მიწის ნაკვეთის ნაწილი, დასაბუთებული მტკიცება არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის. სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად იმსჯელა მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არაკეთილსინდისიერებაზე და შესაძენი ქონების ნამდვილი მესაკუთრის ვინაობის შესახებ ცოდნაზე, რაც ვერც ერთი მტკიცებულებით გააქარწყლა კასატორმა [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“**

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 14 მარტის ას-406-2023 განჩინება

მთავარი წინადადება:

(27)

„მოპასუხეთა განმარტებით, მინას ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე იძენდნენ, მისი შემდგომი განვითარებისა და სამშენებლოდ გამოყენების მიზნით. ასეთ პირობებში, **მათ როგორც ბიზნესსაქმიანობაში ჩაბმულ ფიზიკურ პირებს, მეტი წინდახედულობის გამოჩენა მოეთხოვებოდათ, რათა მინის გასხვისებასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნამდვილი ნება გაერკვიათ და მხოლოდ საჯარო რეესტრისა და საექვო ფორმის მინდობილობის მონაცემებს არ დაყრდნობოდნენ [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“**

ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 21 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ირანის მოქალაქეებმა (შემდგომში მოსარჩელეებმა) 132 000 აშშ დოლარად შეიძინეს მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, თანასაკუთრებაში დაირეგისტრირეს.

2016 წლის 18 მაისს, ვ.კ-ძემ, ყალბი მინდობილობის საფუძველზე (რომელზეც მესაკუთრეთა ხელმოწერა არ ყოფილა და რომელიც თითქოსდა ბაქოს N1 სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2016 წლის 5 მაისს დამოწმებული იყო) უძრავი ქონება პირველ მოპასუხეზე 200 000 აშშ დოლარად გაასხვისა. ორი დღის შემდეგ, 2016 წლის 20 მაისს, პირველმა მოპასუხემ უძრავი ნივთი მეორე მოპასუხეს მიჰყიდა, რომელიც ერაცის მოქალაქეა. აღნიშნულ შემთხვევაშიც, ნასყიდობის ფასად 200 000 აშშ დოლარია მითითებული. მოპასუხეთა შორის ხანგრძლივი ბიზნეს-პარტნიორული ურთიერთობა არსებობდა. უძრავი ქონების რეგისტრაციის განცხადების შეტანისას მეორე მოპასუხის საცხოვრებელ მისამართად თავისივე პარტნიორის – პირველი მოპასუხის თბილისის მისამართი ფიქსირდებოდა, დავის მომენტში კი უძრავი ნივთი მეორე მოპასუხის საკუთრებაში ირიცხებოდა.

მოსარჩელეები ითხოვდნენ 2016 წლის 18 მაისისა და 2016 წლის 20 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და უძრავ ნივთებზე თანასაკუთრების უფლების აღდგენას.

**სამართლებრივი დასაბუთება:
(27)**

„საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააკაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას იმის თაობაზე, რომ გარიგების დადებისას პირველ მოპასუხეს მეტი წინდახედულობა და გონივრულობა მოეთხოვებოდა. ამ მოსაზრებას ამყარებს საქმეზე გამოკვეთილი რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

1). პირველი მოპასუხე უძრავი ქონების ნასყიდობის ოპერაციებში გამოცდილი პირია, რომელსაც, მისივე განმარტებით, მინდობილობების გაფორმების თვალსაზრისითაც დიდი გამოცდილება აქვს. შესაბამისად, მისთვის როგორც გონივრულად მოაზროვნე საშუალოსტატისტიკური ადამიანისთვის შეუიარაღებელი თვალთაც ცხადად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, რომ მინდობილობაზე, რომელიც არც ლეგალიზებული იყო და არც აპოსტოლით დამონშებული არ ყოფილა, მესაკუთრეთა ხელმოწერები ერთი და იგივე პირის მიერ იყო შესრულებული.

2). მოპასუხეთა განმარტებით, მიწას ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე იძენდნენ, მისი შემდგომი განვითარებისა და სამშენებლოდ გამოყენების მიზნით. ასეთ პირობებში, მათ როგორც ბიზნესსაქმიანობაში ჩაბმულ ფიზიკურ პირებს, მეტი წინდახედულობის გამოჩენა მოეთხოვებოდათ, რომ მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნამდვილი ნება გაერკვიათ და მხოლოდ საჯარო რეესტრისა და საეჭვო ფორმის მინდობილობის მონაცემებს არ დაყრდნობოდნენ.

მით უმეტეს, მათივე განმარტებით, ვ.კ-ძე სხვადასხვა მოტივებს იშველიებდა, თუ რატომ არ იმყოფებოდნენ ადგილზე მიწის უშუალო მესაკუთრეები, თუმცა აღნიშნული გარემოებები შემძენისათვის (პირველი მოპასუხე) საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა მესაკუთრის ნების ნამდვილობა დაეზუსტებინა.

ამდენად, პირველ მოპასუხეს, რომელმაც უძრავი ქონება 2016 წლის 18 მაისის სადავო გარიგების საფუძველზე შეიძინა, საქმესთან დაკავშირებით ქვემდგომი ინსტანციების მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით ქონების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო აქტის თვალშისაცემი ნაკლის მიმართ მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა [ავტორის შენიშვნა: სასამართლოს სტილი და ორთოგრაფია დაცულია].“

IV. დასკვნა:

სკ-ის 185-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ უძრავი ნივთის შემძენმა საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე გააკეთოს დასკვნა გამსხვისებლის არამესაკუთრეობის შესახებ, თუმცა რამდენად მოახერხებს პირი რეალურ ცხოვრებაში ასეთი დასკვნის გამოტანას, მაინც მის ინდივიდუალურ ცოდნაზე, გამოცდილებაზე და უნარებზეა დამოკიდებული.³⁹ შესაბამისად, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სუბიექტურობის თეორიის მომხრეთა მოსაზრების მიხედვით, ქმედების განმახორციელებელი პირის პერსონალური ცოდნა თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იყოს გამოკვლეული.⁴⁰ ცალკეული პირის ცოდნა მცდარად არ უნდა იყოს მიჩნეული მხოლოდ იმიტომ, რომ მისი წარმოდგენები სხვებისას არ ემთხვევა.⁴¹

ზემოაღნიშნული შეხედულებისგან განსხვავებით, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, ობიექტურობის თეორიის მომხრეთა მიხედვით, შემძენის ცოდნის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს „კეთილსინდისიერად მოაზროვნე პირის“ შეფასების მასშტაბი,⁴² რომელიც უარყოფს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედი პირის სუბიექტური ცოდნის გამოკვლევისა და მის მტკიცებას.⁴³ ე. ი. თუ კეთილსინდი-

³⁹ Sallawitz H. J., Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, 24.

⁴⁰ სუბიექტურობის თეორიასთან მიმართებით დეტალურად იხ. Thur A. v., Allg. Teil, Band II, 127; მსგავსი პოზიცია დეტალურად იხ. Becker C., Kennen und Kennen-Müssen, 7 f.

⁴¹ Greger R., Beweis und Wahrscheinlichkeit, 21.

⁴² შდრ. OLG Stuttgart BWNotZ 1978, 124f.; OLG Hamm NJW-RR 1993, 1295 (1298); Lutter M., AcP 164 (1964), 122 (165).

⁴³ შდრ. Jung S., Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, 47. Riedhammer M.,

სიერად მოაზროვნე ადამიანი, კონკრეტულ სიტუაციაში, უძრავი ნივთის გამსხვისებელს არამესაკუთრედ ჩათვლის, გამსხვისებლის არამესაკუთრეობის შესახებ ცოდნა უნდა შეერაცხოს მოქმედ პირსაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკა პრიორიტეტს ობიექტურობის თეორიას ანიჭებს, იგი შემძენს (მაგ. გამსხვისებლის ახლო ნათესავს) შემძენის არამესაკუთრეობის შესახებ ცოდნას მიაწერს და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთს მასვე აკისრებს.

აღნიშნული პოზიცია სრულიად უნდა იქნეს გაზიარებული სამართლის სიცხადის აუცილებლობიდან გამომდინარე,⁴⁴ რამდენადაც თუკი ყველა პირს ერთ დონეზე მოეპყრობიან⁴⁵ და მათი ცოდნის შესაფასებლად ზოგადი შეფასების კრიტერიუმები იქნება გამოყენებული, სამოქალაქო ბრუნვა უკეთ იქნება დაცული.⁴⁶

ობიექტურობის თეორიის გამოყენების პრიორიტეტულობა განსაკუთრებით ჩანს მტკიცების ტვირთის ნაწილში.⁴⁷ სუბიექტური ცოდნის პირდაპირი და სრულყოფილი მტკიცება პრაქტიკაში შეუძლებელია, რადგან ის როგორც შინაგანი ფაქტი, ყოველთვის ადამიანის გონებაში რჩება და აღიარების გარდა მისი დამტკიცება

თითქმის შეუძლებელია.⁴⁸

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო როგორც მენარმე ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისგან უძრავი ნივთების შეძენისას მეტ წინდახედულობისა და სიფრთხილის გამოჩენას ითხოვს, რაც ასევე მისაღები და გასაზიარებელია.

თუმცა, კრიტიკულად უნდა შეფასდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის ალტერნატიული ფორმის გამოყენება უძრავი ნივთის შემძენის ცოდნის შესაფასებლად. ამიტომ, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებების ფორმულირებისას უნდა ამოიღოს შაბლონად ქცეული შემდეგი წინადადება: **„ან უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტის შესახებ“**.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ცოდნის დეფინიციის ობიექტურობის მასშტაბით შეფასება მტკიცების ტვირთის სწორ დანაწილებას, სამოქალაქო ბრუნვაში ნდობის განმტკიცებასა და პროცესის მონაწილე პირთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებებების განხორციელებას შეუშლის ხელს.

Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 188; Buch P., Wissen und juristische Person, 84 ff.

⁴⁴ შდრ. BGH NJW 1993, 648 (653); Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 188.

⁴⁵ Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 188.

⁴⁶ Jacob M.M., Beurteilung grober Fahrlässigkeit, 39.

⁴⁷ Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 101 ff.

⁴⁸ შდრ. BGH NJW 1984, 661. Buch P., Wissen und juristische Person S. 89. Riedhammer M., Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, 188; Jung S., Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, 47.

დაუფლების, როგორც ქურდობის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განსაზღვრება სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

1. შესავალი

წინამდებარე ნერილში განხილვის საგანს წარმოადგენს დაუფლება, როგორც ქურდობის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება. კერძოდ, არის თუ არა შესაძლებელი დაუფლება მოქმედებასთან ერთად უმოქმედობითაც და რა წინაპირობები უნდა არსებობდეს ამისთვის; როდის ითვლება დაუფლება განხორციელებულად; როგორ წყდება იმ ნივთის დაუფლების საკითხი, რომელიც არის თანამფლობელობაში და რა მნიშვნელობას იძენს იმ პირთა უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულება, რომელთა თანამფლობელობაშიც დაუფლებული ნივთი იმყოფებოდა; არის თუ არა შესაძლებელი დაუფლება სხვისი საბანკო ბარათის გამოყენებით და რომელი თეორიის მიხედვით უნდა გადაწყდეს საკითხი; როგორ კვალიფიცირდება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით იმ პირის ქმედება, რომ-

ლის მპყრობელობაშიც არის ნივთი; რა მნიშვნელობას იძენს ამ თვალსაზრისით მპყრობელობის და მფლობელობის გამიჯვნა და სხვა. საკითხის განხილვის დროს გათვალისწინებულია სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები განსახილველი საკითხის თავისებურების გათვალისწინებით.

2. დაუფლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით

ქურდობის დროს განსახორციელებელი ქმედება გულისხმობს სხვისი ნივთის დაუფლებას. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით ქურდობა, მაშასადამე, სხვისი ნივთის დაუფლება, აქტიური მოქმედებით ხორციელდება¹. თუმცა, მართებული შეხედულების მიხედვით, ქურდობა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით². როცა სხვის

¹ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მერვე გამოცემა, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 31.

² ცქიტიშვილი თ., რეცენზია, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი 2019; წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი 2020, შედარებითი სამართლის

მოძრავ ნივთს ეუფლება მცირეწლოვანი და მას ხელს არ უშლის ის, ვისაც მასზე გარანტის ფუნქცია გააჩნია, პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მცირეწლოვანს, არამედ გარანტს, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულება ხელი შეეშალა მისთვის³. დანაშაული განხორციელებულია უმოქმედობით, ვინაიდან საქმე ეხება ხელის არშეშლას, რის შედეგადაც სხვისი ნივთის მფლობელი გარანტი ხდება.

3. დაუფლების განსაზღვრებისათვის

დაუფლებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება სხვისი მპყრობელობის შეწყვეტა და ახალი მპყრობელობის დაფუძნება⁴. ბოროტმოქმედი მაშინ არის ნივთს დაუფლებული, როცა მას ნივთზე ბატონობა აქვს მოპოვებული, ხოლო ძველ მპყრობელს არ შეუძლია ნივთზე ბატონობა⁵.

ნივთის დაუფლების დროს არსებობს მისი განკარგვის ფაქტობრივი შესაძლებლობა. თუ ნივთის განკარგვის შესაძლებლობა არ არის მოპოვებული, შეუძლებელია ვისაუბროთ დაუფლებაზე. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება მხოლოდ დაუფლების, შესაბამისად, ქურდობის მცდელობას.

ნივთის დაუფლების საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება იმის მიხედვით, თუ სად ხორციელდება ქმედება. მაგალითად, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული

მოსაზრებით, დაუფლება ბინაში შეჭრით ქურდობის დროს განხორციელებულად ითვლება მაშინ, როცა ბოროტმოქმედი დატოვებს ბინას⁶, ვინაიდან ბინიდან გამოსვლამდე არ აქვს მოპოვებული ნივთის განკარგვის შესაძლებლობა. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, დაუფლება ბინიდან გამოსვლამდეც არის განხორციელებული⁷. რაც მეტად მნიშვნელოვანია, მართლაც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ცალკეულ შემთხვევაში განკარგვა შეიძლება მოხდეს ბინიდან გამოსვლამდეც⁸. მაგალითად, ბინის ფანჯრიდან მოპარული ნივთის გადაგდება თანამზრახველისთვის. განსახილველ საკითხზე გასათვალისწინებელია საკვების და სასმისის დაუფლების და მოხმარების შემთხვევაც. ბინაში შეღწევით ქურდობის დროს ნივთის დაუფლების საკითხი დიფერენცირებულად უნდა განწყდეს. გაუმართლებელი იქნებოდა ბინიდან გამოსვლამდე დაუფლება ყოველთვის მიგვეჩინა განხორციელებულად.

როდესაც ადგილი აქვს ჯიბის ქურდობას ავტობუსში, ქმედება განხორციელებულად ითვლება, როცა ქურდი დაზარალებულს ჯიბიდან ფულს ამოაცლის. დანაშაულის დამთავრებისთვის არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავე ჩავიდეს ავტობუსიდან ან მოახდინოს ნაქურდალის განკარგვა, სხვისთვის გადაცემა. მთავა-

ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2022, #7, გვ. 68; ხარანაული ლ., სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, ნიგნში: დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 26, ველის ნომერი 107-109.

³ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 354, 358; *Kindhäuser/Böse, Strafrecht, Besonderer Teil II, Straftaten gegen Vermögensrechte*, 11. Auflage, 2021, S. 50, §2 Rn. 60.

⁴ *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch*, 4. Auflage, 2021, S. 327, §13 Rn. 37.

⁵ *Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar*, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 15.

⁶ *გამყრელიძე ო.*, ნიგნში: სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თბ., 2004, გვ. 10-11.

⁷ *დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ.*, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბ., 2015, გვ. 231.

⁸ საკითხს დიფერენცირებულად უდგება და ქურდობის დასრულებისთვის ბოროტმოქმედის ბინიდან გამოსვლას ყოველთვის აუცილებლად არ მიიჩნევს რენგირიც, რომელიც საკითხის გადასაწყვეტად გასათვალისწინებლად თვლის ნივთის მოცულობასაც. დასახელებული მეცნიერი უთითებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ქურდობის მცდელობად დააკვალიფიცირა ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედები, რომლებიც ცდილობდნენ 300 კილოიანი სეიფის დაუფლებას, 5 (ხუთი) მეტრით იყვნენ დაშორებული შენობას, საიდანაც მოხდა სეიფის გამოტანა. იხ. *Rengier R.*, *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 20, §2 Rn. 28.

რია, რომ მოქმედს მიეცა ნივთის განკარგვის შესაძლებლობა. მდგომარეობას არ შეცვლის ის ფაქტიც, რომ დამნაშავე მაშინვე დააკავა პოლიციამ⁹ და არ მიეცა მოპარულის განკარგვის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა პირი სასმელს მაღაზიაში დალევს, მაგრამ შემდგომ ცარიელ ბოთლს მაღაზიის მოლარესთან მიიტანს ფულის გადასახდელად? აღნიშნულ შემთხვევაში სხვისი მპყრობელობის დარღვევა, შესაბამისად, დაუფლება ქურდობის შემადგენლობის გაგებით უნდა გამოირიცხოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღაზიაში სასმელის თუ საკვების მიღება ყოველთვის არ გულისხმობს დაუფლებას. მას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა ღირებულების გადახდას არ აპირებს ის, ვინც მაღაზიაში გასაყიდად განთავსებული სასმელი ან საკვები მიიღო¹⁰. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საკვების თუ სასმელის დაუფლება შეიძლება მოხდეს მაღაზიაში, აღნიშნული სივრცის დატოვების გარეშეც, მაგრამ იმისთვის, რომ დადგინდეს, ჰქონდა თუ არა მას ადგილი, პირველ რიგში გასარკვევია, აპირებდა თუ არა აღნიშნული პირი საფასურის გადახდას. ეს დებულება ვერ გავრცელდება უკანონო შეღწევით ქურდობის შემთხვევაზე. ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ პირი მაღაზიაში უნებართვოდ შეაღწევს, დაეუფლება გასაყიდად განთავსებულ ნივთს, მაგრამ დაუფლებული ნივთის საფასურს მაღაზიაში დატოვებს, თითქოს, უნდა გამოირიცხოს ქურდობის შემადგენლობა და ქმედება მხოლოდ სსკ-ის 160-ე მუხლით (ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა) უნდა დაკვალიფიცირდეს¹¹, რაც არ არის გასაზიარებელი. მოცემულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია მხოლოდ 160-ე

მუხლით საკამათოა, ვინაიდან ნივთის დაუფლება მოხდა ფარულად და უნებართვოდ. მართალია, პირებმა, რომლებიც პროდუქტს - სხვის ნივთს დაეუფლნენ, ჯიხურის სალაროში დატოვეს თანხა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნივთის დაუფლება მაინც ვერ ჩაითვლება მესაკუთრის ნების შესაბამისად განხორციელებულ ქმედებად. შეიძლება პროდუქტზე ფასის აღმნიშვნელი ეტიკეტი იყო დატანილი, როცა მას მოქმედი პირები დაეუფლნენ და მათი ღირებულება აღნიშნულის გათვალისწინებით დაიანგარიშეს, მაგრამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდა მოემატებინა აღნიშნული ღირებულებისთვის და პროდუქტი მომატებულ ფასად გაეყიდა. პროდუქტის გასაყიდად განთავსება ვიტრინაზე და მასზე ფასის აღმნიშვნელი ეტიკეტის დატანა მაშინ გამოხატავს მესაკუთრის ნებას პროდუქტის რეალიზაციასთან დაკავშირებით, როცა აღნიშნული საგანი ხელმისაწვდომია შეძენის მსურველისთვის (მყიდველისთვის), რაც გამოირიცხება მაშინ, როცა სარეალიზაციო ჯიხური დაკეტილია და შესაბამისად, სარეალიზაციო საქონელი არ არის ხელმისაწვდომი მართლზომიერი გზით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესაკუთრეს არა მხოლოდ იმის უფლება აქვს, მოუმატოს ნივთის ღირებულებას, არამედ საერთოდ უარი თქვას რეალიზაციაზე და სხვადასხვა მიზნით ამოიღოს იგი გაყიდვიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედ პირთა ქმედება ვერანაირად ვერ იქნება მიჩნეული მესაკუთრის ნებასთან შესაბამისობაში მყოფად არა მხოლოდ მფლობელობის ხელშეუხებლობის, არამედ ასევე საკუთრების ობიექტის თავისუფალი განკარგვის ინტერესების გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით თუ საქმე ეხება მცირე

⁹ გამყრელიძე ო., დასახ. ნაშრ., გვ. 10-11.

¹⁰ ანალოგიური მაგალითი, სადაც მოქმედი პირი არ აპირებს ნაღდი ფულის გადახდას და გამყიდველს წარუდგენს სოციალური დახმარების უფარვის კუპონს, რის გამოც ავტორი ქმედებას ქურდობად აკვალიფიცირებს იხ. Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 3, 19-20, §2 Rn. 27.

¹¹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მერვე გამოცემა, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023,

გვ. 26. მსგავსი მაგალითია მოყვანილი კიდევ ერთ ქართულენოვან წიგნში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ საუბარია არა დაკეტილ, არამედ ღია მაღაზიაში შესვლაზე, რაც შეიძლება გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენდეს განსახილველ შემთხვევაში. იხ. ხარანაული ლ., სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 28, ველის ნომერი 116.

მოცულობის საგნებს, როგორცაა ფული, სამკაული, მაშინ დაუფლება განხორციელებულად ითვლება უკვე მაშინ, როცა ბოროტმოქმედი ხელს მოკიდებს და მას ადგილს მიუჩენს დაცულ ადგილას¹². მაგალითად, მალაზიაში ერთი კოლოფი სიგარეტის შარვლის ჯიბეში ჩადება. დანაშაული დამთავრებულად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, მოქმედი პირის დაკავება მოხდება მალაზიიდან გამოსვლამდე თუ მალაზიიდან გამოსვლის შემდეგ¹³. თუმცა, საკითხის ასეთი გადანაცვლება ზოგიერთი ავტორის მითითებით არ წარმოადგენს ზოგად წესს და მიუთითებენ მალაზიაში ქურდობის ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც ქურდობა დამთავრებულად არ ითვლება მალაზიის ტერიტორიის დატოვებამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით აქცენტი კეთდება იმაზე, ეხება თუ არა საქმე ე. წ. ტაბუირებულ ადგილს. სწორედ ასეთ დროს მიუთითებენ ქურდობის დასრულებაზე შემთხვევის ადგილის დატოვების გარეშე. მცირე მოცულობის საგნის საკუთარი შარვლის ჯიბეში დამალვისგან განსხვავებით, ქურდობა მალაზიის, უფრო სწორედ, ფულის გადახდის ადგილის დატოვებამდე არ ითვლება დამთავრებულად იმ შემთხვევაში, როცა პირი მოსაპარად გამზადებულ ნივთს მალავს იმ ტანსაცმელში, რომელიც ფულის გადახდისას უნდა წარუდგინოს მოლარეს. განსახილველ შემთხვევებში ძველი მპყრობელობის შეწყვეტას და ახალი მპყრობელობის დაფუძნებას ხელს არ უშლის ის, რომ დამნაშავის ქმედება ხორციელდებოდა ვიდუოკონტროლის ქვეშ.¹⁴ თუმცა, გასათვალისწინებელია, დამნაშავე თავის ქმედებას მიიჩნევდა თუ არა ფარულ მოქმედებად.

საოჯახო საქონლის, მაგალითად ტაფის მოპარვის მიზნით მოქმედებისას, როდესაც მოქმედი პირი ტაფით ხელში ტოვებს საოჯახო საქონლის განყოფილებას და ნულოვანი სართულიდან ადის პირველ სართულზე, ჯერ კიდევ არ

არის სახეზე მესაკუთრის მპყრობელობის შეწყვეტა¹⁵.

ქურდობის სრულად განსახორციელებლად ქურდობის საგანთან მხოლოდ შეხება არ არის საკმარისი. შემთხვევის ადგილიდან მოცილება საჭიროა ისეთი ნივთების დასაუფლებლად, როგორცაა მთლიანი ბანკომატი, 300 კილოიანი მძიმე სეიფი. ქურდობის საგნის საბოლოო უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიიჩნევენ ქურდობის ფაქტობრივად დასრულების ზღვრის განმსაზღვრელად¹⁶.

თუ მცირე მოცულობის ნივთის დაუფლება მოხდა ბინაში შეღწევით, ბინიდან გამოსვლამდე არ შეიძლება ნივთი დაუფლებულად ჩაითვალოს იმის გამო, რომ ნივთი მცირე მოცულობისაა? ამ შემთხვევაში ნივთი მცირე მოცულობისაა თუ დიდი მოცულობის, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აღნიშნულ შემთხვევაში საკითხი ვერ გადაწყდება საკვები პროდუქტის ანალოგიურად, რომლის მოხმარებაც ადგილზე შეიძლება მოხდეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, ჰქონდა თუ არა პირს ნივთის განკარგვის შესაძლებლობა ბინიდან გაუსვლელად, ფანჯრიდან თანამზრახველისთვის მიწოდების შედეგად. მაგრამ თუ მცირე მოცულობის ნივთის დაუფლება ხდება სხვა ადგილას, მაგალითად ქუჩაში, ღია სივრცეში (ჯიბის ქურდობა), შეიძლება ქმედების კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელი გახდეს ნივთის მოცულობა და ნივთი დაუფლებულად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედი დიდად არ იყო დაცვილებული შემთხვევის ადგილს.

რთულად გადასაადგილებელი ნივთის დაუფლება განხორციელებულია, როცა პირი ნივთს გაიტანს იმ სფეროდან, რომელზეც მესაკუთრე ბატონობს. ავტომანქანის მოპარვისას, დაუფლება განხორციელებულად ითვლება, როცა ბოროტმოქმედი მანქანას წაიყვანს იმ ადგილიდან,

¹² Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 16.

¹³ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 18, §2 Rn. 25.

¹⁴ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 17-19, §2 Rn. 25-26.

¹⁵ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 19, §2 Rn. 26.

¹⁶ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 50, §2 Rn. 32.

სადაც ის მის მფლობელს ჰყავდა გაჩერებული-¹⁷.

სხვისი ნივთის დაუფლებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, იქნება თუ არა იგი სახეზე, თუ პირი ბენზინგასამართ სადგურზე მივა, სადაც თვითმომსახურებით ხდება ბენზინის ჩასხმა და შემდეგ წავა საფასურის გადახდის გარეშე?

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში გამოთქმული მოსაზრებით აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის არც ქურდობის და არც თაღლითობის¹⁸ შემადგენლობა, რაც არ არის გასაზიარებელი. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა, მაგრამ ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს თუ თაღლითობად, უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ჰქონდა მოქმედ პირს გადაწყვეტილი აღნიშნული ქმედების განხორციელება. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, ბენზინგასამართ სადგურზე იმყოფება თუ არა ისეთი პირი, ვისაც უნდა გადაუხადონ ბენზინის საფასური და რომელიც ერთგვარ კონტროლს ახორციელებს ბენზინგასამართ სადგურზე. აღნიშნულის გათვალისწინება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოტყუებასთან დაკავშირებით წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების დროს ქმედება თაღლითობად კვალიფიცირდება, მაგრამ თაღლითობის დროს ხდება ადამიანის მოტყუება და არა ავტომატის. შესაბამისად, თუ ბენზინგასამართ სადგურზე გადახდა ავტომატის საშუალებით უნდა მომხდარიყო და მოხდა ავტომატზე მანიპულირება, ბენზინის დაუფლება საფასურის გადახდის გარეშე, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია გამოირიცხება და ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა.

სხვისი ნივთის დაუფლებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ავტომატიდან ხდება დაუფლება

ყალბი ფულის გამოყენებით¹⁹. აღნიშნულ შემთხვევაში მისაკუთრება ხდება ქურდობის გზით²⁰ და იგი ცნობილია სახელწოდებით - „Trickdiebstahl“.

ერთ-ერთ საკამათო საკითხს წარმოადგენს ქურდობის და თაღლითობის გამიჯვნა. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში კომპიუტერულ თაღლითობად განიხილება არაუფლებამოსილი პირის მიერ საბანკო ბარათის გამოყენებით ანგარიშიდან თანხის მოხსნა²¹. აღნიშნული ქმედება ქართული სსკ-ის მიხედვით 286¹-ე მუხლით შეიძლება დაკვალიფიცირდეს. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ წყდება. მაგალითად, მაშინ, როცა მესაკუთრე მოტყუების შედეგად დამნაშავეს საბანკო ბარათს მოკლე დროით გამოსაყენებლად გადასცემს და დამნაშავე ეუფლება სხვის თანხას, ქმედებას აკვალიფიცირებენ არა თაღლითობად, არამედ ქურდობად, ვინაიდან მესაკუთრე თავის მპყრობელობას კი არ წყვეტს, არამედ ადგილი აქვს მის შესუსტებას. გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევაში გამოირიცხავენ თაღლითობისთვის სპეციფიურ ქონების განკარგვას. ამასთან ერთად, მხედველობაში მიიღება ისიც, რომ ადგილი აქვს ქურდობისთვის დამახასიათებელ დაუფლებას, როცა ბოროტმოქმედი ტოვებს შემთხვევის ადგილს, ხოლო მესაკუთრეს, რომლის თანხმობაც არ არსებობდა, ტოვებს გაურკვეველ მდგომარეობაში²².

ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც, თუმცა ქურდობისა და თაღლითობის გასამიჯვნად გასათვალისწინებელ გარემოებად მიიჩნევენ იმას, ბოროტმოქმედს ბანკომატიდან იქვე უნდა აეღო ფული თუ უნდა დაეძებნა მიმდებარე ტერიტორიაზე²³.

¹⁷ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 16.

¹⁸ Heinrich B., ebenda, S. 326, 360, §13 Rn. 34, 119; Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 14.

¹⁹ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 25.

²⁰ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 23, §2 Rn. 34.

²¹ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 49, §2 Rn. 29.

²² Schramm E., ebenda, S. 49, §2 Rn. 30.

²³ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მერვე

როდესაც ხდება სხვისი საანაბრე ბარათის ფარულად დაუფლება და ბანკის თანამშრომლისთვის მისი წარდგენის შედეგად ანაბრიდან თანხის (100 ევრო) მოხსნა, შემდგომ ბარათის უკან იმ ადგილას დაბრუნება, საიდანაც მოხდა დაუფლება, ქმედების ქურდობად კვალიფიკაცია იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი თეორიის მიხედვით მოხდება საკითხის გადაწყვეტა. თუ სუბსტანციის თეორიით გამოირიცხება ქმედების ქურდობად კვალიფიკაცია, საგნის ღირებულების თეორიის მიხედვით, ქმედება შეიძლება ქურდობად დაკვალიფიცირდეს. ბოროტმოქმედი ბარათს დროებით დაუფლა, იგი ანაბრიდან თანხის მოხსნის შემდეგ უკან დააბრუნა, რის გამოც გამოირიცხება ქურდობა სუბსტანციის თეორიის მიხედვით, თუმცა საგნის ღირებულების თეორია გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმას, რომ საანაბრე ბარათში განსხეულებულია ფულის განკარგვის შესაძლებლობა²⁴. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ფულის დაუფლება მოხდა ფარულად, რისთვისაც ბარათი იქნა უნებართვოდ გამოყენებული. ბარათი ამ შემთხვევაში ტექნიკურ, დამხმარე ფუნქციას ასრულებს ფულის დასაუფლებლად. ეს იგივეა, ქურდმა სხვისი ბინის გასაღები მოიპაროს და გამოიყენოს სხვის ბინაში უკანონო შეღწევისთვის, სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებისთვის.

4. მპყრობელობა

ნივთის დაუფლება მოითხოვს იმის განმარტებას, თუ რას გულისხმობს მპყრობელობა. მპყრობელობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, როცა სახეზეა ნივთზე ბატონობის სურვილი. მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს ობიექ-

ტური და სუბიექტური კომპონენტები²⁵. ობიექტურ-ფიზიკურ კომპონენტში იგულისხმება ნივთზე ბატონობა, ხოლო სუბიექტურ-ფსიქიკურში ბატონობის სურვილი. იგი მოითხოვს ნივთზე ფიზიკური პირის ფაქტობრივ-სოციალურ ბატონობას, როცა ნივთზე ზემოქმედებას დაბრკოლება არ ექმნება. სუბიექტური თვალსაზრისით ბატონობის სურვილი სახეზეა, როცა იგი მიმართულია იქითკენ, რომ ნივთს საკუთარი სურვილისამებრ მოეპყროს²⁶. ქურდობის შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა ისეთი ნიშნის არსებობა, როგორცაა მპყრობელობის ნება (*Gewahrsamswille*)²⁷.

ქურდობის დროს სხვისი ნივთის დაუფლება უკავშირდება ძველი მპყრობელობის დასრულებას და ახალი მპყრობელობის დაფუძნებას. მპყრობელობა მთავრდება, როცა მპყრობელი ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას გასცემს ან როცა ნივთზე მპყრობელობას კარგავს²⁸. სხვისი მპყრობელობა არის დარღვეული, როცა ის მისი მფლობელის ნების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ არის მოპოვებული. თუ მპყრობელობის გადაცემაზე არსებობს თანხმობა, გამოირიცხება ქურდობის შემადგენლობით გათვალისწინებული დაუფლება, რის გამოც გამოირიცხება ქურდობის შემადგენლობა. თანხმობა აუცილებელი არ არის, რომ მკვეთრად გამოხატული სახით იყოს მოცემული, საკმარისია თუნდაც შინაგანი თანხმობა, რომელიც მდუმარე ფორმით იქნა გამოვლენილი²⁹.

საკამათოდ მიიჩნევა არსებობს თუ არა მესაკუთრის თანხმობა მაშინ, როცა ადგილი აქვს ტექნიკურ დეფექტს და ბარათის გამოყენებით ავტომატიდან თანხის მოხსნა ისე ხდება, რომ ანგარიშიდან თანხა არ ჩამოიჭრება, თანხა ისე გაიცემა, რომ მესაკუთრეს თანხა არ აკლდება.

გამოცემა, ნიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 68-69.

²⁴ Rengier R., *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 30-31, §2 Rn. 48.

²⁵ Heinrich B., ebenda, S. 328, §13 Rn. 38.

²⁶ Schramm E., *Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung*, 2. Auflage, 2021, S. 46, §2 Rn. 21.

²⁷ Heinrich B., ebenda, S. 334, §13 Rn. 49.

²⁸ Heinrich B., ebenda, S. 335, §13 Rn. 52a; Rengier R., *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 20.

²⁹ Rengier R., *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 21-22, §2 Rn. 31.

თუ ერთი შეხედვლებით, აღნიშნულ შემთხვევაში ქურდობისთვის დამახასიათებელი დაუფლება გამოირიცხება, მეორე შეხედვლებით სახეზეა ქურდობა და მისთვის დამახასიათებელი დაუფლება. ხოლო ქურდობისთვის დამახასიათებელი დაუფლების უარყოფის შემთხვევაში, უშვებენ ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას იმ ნორმით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მპყრობელობის დარღვევის გარეშე მითვისებისთვის (*Unterschlagung*, გერმანიის სსკ-ის 246-ე პარაგრაფი)³⁰. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული სსკ ითვალისწინებს მითვისებისა და გაფლანგვის შემადგენლობას, მაგრამ არა მითვისების აღნიშნულ სპეციალურ შემადგენლობას.

ასევე არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს გაყალბებული კოდირებული ბარათის გამოყენება. გერმანიის უზენაესი სასამართლო ქურდობის შემადგენლობის გამომრიცხავ თანხმობას ხედავს იმაში, რომ დამნაშავემ ბარათზე დაიტანა („დააკოპირა“) მომხმარებლის ნამდვილი მონაცემები და ფულის გაცემაც სწორედ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ხდება. თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას ლიტერატურაში არ მიიჩნევენ დამაჯერებლად. რენგირი მიუთითებს, რომ მართებულაა სათანადო მოხმარებაზე საუბარი მაშინ, როცა ხდება იმ ბარათის გამოყენება, რომელიც ბარათის გამცემმა გასცა. სხვა შემთხვევაში უნდა გამოგვერიცხა მპყრობელობის დარღვევა მაშინ, როცა ხდება საქონლის გასაყიდი ავტომატიდან საქონლის დაუფლება ყალბი ფულის გამოყენებით. ავტორი განსახილველ შემთხვევაში ქმედებას აკვალიფიცირებს კომპიუტერულ თაღლითობად (გერმანიის სსკ-ის 263 a-ე პარაგრაფი)³¹, რომელიც შეიძლება შევადაროთ საქართველოს სსკ-ის 286¹-ე მუხლით გათვალისწინე-

ბულ შემადგენლობას (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით).

როგორც ითქვა, ქურდობა გულისხმობს ახალი მპყრობელობის დაფუძნებას ძველი მპყრობელობის დარღვევის შედეგად. ახალი მპყრობელობა სახეზეა, როგორც კი დამნაშავე ნივთზე ბატონობას იმგვარად მოიპოვებს, რომ ის შეძლებს ნივთზე ბატონობას მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე და ადრინდელ მფლობელს არ შეუძლია ნივთზე ზემოქმედება³².

როდესაც პირს, რომელსაც სურს სხვისი ნივთის დაუფლება, მიუსწრებს მესაკუთრე და არ ეძლევა ნივთზე ბატონობის შესაძლებლობა, შეუძლებელია ვისაუბროთ დაუფლებაზე ანუ ახალი მპყრობელობის დაფუძნებაზე.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თუ მკვლელობის შემდეგ ბოროტმოქმედი გარდაცვლილის ჯიბიდან დაეუფლა ნივთს, ქმედება მკვლელობასთან ერთად ქურდობის მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს³³. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: „გ“ ხანდაზმული ცოლ-ქმრის – „ი“-სა და „შ“-ს კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით, ლობზე გადაძვრა და გადავიდა ზემოთმითითებული ცოლ-ქმრის საცხოვრებელი სახლის ეზოში. იგი ელოდებოდა, როდის გავიდოდნენ სახლიდან გარეთ „ი“ და „შ“. რამდენიმე ხანში „გ“-მ შენიშნა საპირფარეშოსკენ მოძრავი „ი“, რომელსაც შეასწრო საპირფარეშოში შესვლა და დაიძალა. „ი“-ის შესვლისთანავე „გ“-მ მას რამდენჯერმე ჩაარტყა მტვერსასრუტის ლითონის მილი თავის არეში, გონების დაკარგვის შემდეგ კი, მისი რაიმე ხმა რომ არ გაეგოთ გარეშე პირებს, პირში ჩატენა ნაჭერი. ამასობაში გარეთ გავიდა „შ“-ც, რომელიც გაემართა საპირფარეშოსაკენ. მან იცნო „გ“, რომელმაც პირზე ააფარა ხელი და ძალის გამოყენებით შეიყვანა სააბაზანოში, სადაც შენიშნა იატაკის სანმენდი

³⁰ Rengier R., *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 24, §2 Rn. 35.

³¹ Rengier R., *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 24-25, §2 Rn. 35.

³² Schramm E., *ebenda*, S. 49, §2 Rn. 31.

³³ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მერვე გამოცემა, სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, ნაწილი პირველი, თბ., 2023, გვ. 86.

ჯონი, რომელიც მოიმარჯვა და რამდენჯერმე ჩაარტყა „შ“-ს თავში, ასევე – სახეში დაარტყა ხელი. ამის შემდეგ მასაც ჩატენა პირში ნაჭერი. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა „შ“, ხოლო ზედა სასუნთქი გზების უცხო სხეულით დახშობის შედეგად კი – „ი“. მას შემდეგ, რაც „გ“ დარწმუნდა, რომ ცოლ-ქმარი მოკლა და ამით გაუადვილდებოდა სხვისი ფულადი თანხის დაუფლება, უკანონოდ შეაღწია „ი“-ს საცხოვრებელ სახლში და დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ ფულად თანხას – 1050 ლარს. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ქმედება დააკვალიფიცირა როგორც ქურდობის მუხლით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით), ისე განზრახ მკვლელობის მუხლით (მკვლელობა ორი ან მეტი პირისა, მკვლელობა დანაშაულის დაფარვის ან დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით. ასევე სახეზეა ანგარების მოტივი)³⁴. განსახილველ შემთხვევაში სხვისი ნივთის (ფულის) დაუფლება განხორციელდა მკვლელობის შემდეგ, მაგრამ მკვლელობამდე ადგილი ჰქონდა ქურდობის მცდელობას, რომელიც დასრულდა მკვლელობის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის მცდელობა მის დასრულებამდე მკვლელობაში გადაიზარდა, მაინც სახეზეა ქურდობა და არა ყაჩაღობაში გადაზრდილი ქმედება, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია მსხვერპლისთვის მოთხოვნის წაყენებას.

მპყრობელი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი ადამიანი. ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად მპყრობელობის მომენტი ქრება. შესაბამისად, არ ითვლება მპყრობელობაუნარიანად³⁵. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს სპეცია-

ლური ნორმა (§246), რომლითაც კვალიფიცირდება „გვამის გაქურდება, როცა ნივთზე მპყრობელობა სხვა პირს არ მიუღია“³⁶. თუმცა, ადამიანის გარდაცვალებისას გასათვალისწინებლად მიიჩნევა ისიც, არის თუ არა მასთან ახლოს ახლო ნათესავი³⁷, ვინაიდან ასეთ დროს ნივთი არ ითვლება მფლობელობიდან გასულად. მაგალითად, სამკაულის დაუფლება, რომელიც გარდაცვლილ ადამიანს უკეთია ან მიცვალებულის ტანსაცმლიდან თუ საცხოვრებელი სახლიდან ფულის დაუფლება, შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქურდობად, ვინაიდან იგი გარდაცვლილის ახლობლის მპყრობელობაში გადადის. ხოლო თუ მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ მოხდა საფლავიდან მიცვალებულის ამოთხრა და იმ სამკაულის დაუფლება, რომელიც მიცვალებულს ეკეთა, ქმედება არა ქურდობის მუხლით, არამედ მიცვალებულისადმი უპატივცემულობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

თუ ადამიანს ძინავს, მპყრობელობა არ არის დასრულებული ანუ მძინარე ადამიანი ითვლება მპყრობელად. საკითხი იგივენაირად გადაწყდება უგონო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ³⁸.

ბავშვები და ფსიქიკურად შეურაცხები ითვლებიან მპყრობელებად. რაც შეეხება იურიდიულ პირს, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მპყრობელია არა იურიდიული პირი, არამედ პირები, რომლებიც ფაქტობრივ მმართველობას ახორციელებენ³⁹, პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც შეუძლიათ მათ მპყრობელობაში არსებული ქონების მიმართ არა ქურდობის, არამედ მითვისების განხორციელება⁴⁰.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან.

³⁵ *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 10; *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 11.

³⁶ *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 115, §5 Rn. 14.

³⁷ *Heinrich B.*, ebenda, S. 335, §13 Rn. 52.

³⁸ *Heinrich B.*, ebenda, S. 335, §13 Rn. 52; *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 21.

³⁹ *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 13; *Eisele J.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 12, Rn. 31; *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 21-22.

⁴⁰ *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 17, §2 Rn. 22.

დამქირავებელი, რომელსაც აქვს დაქირავებული ოთახი, ითვლება იმ ნივთების მპყრობელად, რომელიც განთავსებულია დაქირავებულ ბინაში⁴¹.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ადამიანები, რომლებიც მუშაობენ მაღაზიებში და ასრულებენ სამუშაო მოვალეობას ხელმძღვანელობის ქვეშ, ეს იქნება გასაყიდ საქონელთან თუ სალაროსთან და უწევთ კლიენტების მიღება და მომსახურება, არ ითვლებიან თანამპყრობელებად. ისინი ითვლებიან მპყრობელის დამხმარე პერსონალად, შესაბამისად, მპყრობელობის დამცველად. აღნიშნულ შემთხვევაში მაღაზიის მესაკუთრე, მმართველი განიხილება ერთპიროვნულ მპყრობელად. სხვაგვარად წყდება საკითხი იმ თანამშრომლებთან მიმართებით, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ პირადი პასუხისმგებლობით. მათ აქვთ თანამპყრობელობა იმ პირებთან ერთად, რომლებიც არიან განყოფილების, ფილიალის ხელმძღვანელი, წარმოების მმართველი და ა. შ⁴².

ინკასატორი, რომელიც სალაროს პირადი პასუხისმგებლობით მართავს, ერთპიროვნულ მპყრობელად განიხილება, თუ მოლარის ნების საწინააღმდეგოდ ფულის ალების უფლება არავის არ გააჩნია. ერთპიროვნულ მპყრობელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ფულზე წვდომის შესაძლებლობა მხოლოდ მას აქვს იმის გამო, რომ სალაროს გასაღებს მხოლოდ ის ფლობს. სხვაგვარად წყდება საკითხი, თუ სხვა პირებიც არიან ჩართული ფულის გაცემის პროცესში⁴³. საკამათოდ მიიჩნევენ, თუმცა ანალოგიურად წყდება საკითხი სუპერმარკეტის ფილიალის ხელმძღვანელის და ბენზინგასამართი სადგურის ინკასატორის მიმართაც. ვინაიდან აღნიშნული პირები

ერთპიროვნულ მპყრობელებად ითვლებიან, მათ შეუძლიათ მპყრობელობაში არსებული ნივთის (ფულის) არა ქურდობის, არამედ მითვისება-გაფლანგვის განხორციელება⁴⁴. არგუმენტი, რომელსაც ეფუძნება აღნიშნულ პირთა მხრიდან ქურდობის განხორციელების გამორიცხვა, არის ის, რომ ისინი ერთპიროვნულად ახორციელებენ სალაროს ადმინისტრირებას. ამ მოსაზრებას იზიარებს გერმანიის უზენაესი სასამართლოც.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვან მოსაზრებას იწვევს დაკარგულ და დაზინყებულ ნივთებთან დაკავშირებული საკითხი. საკამათოა ნივთის დაზინყების და დაკარგვის გამიჯვნასთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით ნივთი დაკარგულია თუ ის მის პატრონს დარჩა დაუცველად ადგილას, ხოლო დაზინყებული, თუ პატრონს იგი დარჩა დაცულ ადგილას. აღნიშნული შეხედულებით, თუ ნივთი მის პატრონს დაცულ ადგილას დარჩა და მას სხვა დაეუფლა, სახეზე იქნება ქურდობა, ხოლო დაუცველ ადგილას ნაპოვნი ნივთის დაუფლებისას საერთოდ გამოირიცხება დანაშაული და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა⁴⁵.

ნივთი, რომელიც მესაკუთრეს დაავინყდა, არ ითვლება მპყრობელობიდან გასულად მანამ, სანამ მესაკუთრემ იცის ნივთი სად იმყოფება. თუ მესაკუთრემ ნივთის ადგილსამყოფელი არ იცის, ნივთი დაკარგულად ითვლება⁴⁶. ნივთის დაზინყების დროს არსებობს თანამპყრობელობა. თანამპყრობელობაზე იმიტომ მიუთითებენ ნივთის დაზინყების დროს, რომ ძველი მპყრობელობა არ არის დასრულებული⁴⁷.

⁴¹ *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 14.

⁴² *Eisele J.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 14-15, Rn. 38.

⁴³ *Eisele J.*, ebenda, S. 15, Rn. 39.

⁴⁴ *Schramm E.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 51, §2 Rn. 37; *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 15, §2 Rn. 18.

⁴⁵ *ლეკვიძიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, ნიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 22-23.

⁴⁶ *Heinrich B.*, ebenda, S. 336, §13 Rn. 52; *Eisele J.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 14, Rn. 37; *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 20.

⁴⁷ *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 14, §2 Rn. 14.

სტუდენტი „ს“ პაემანის დროს მოედნის სკამზე დადებს თავის ჩანთას. პაემანის შემდგომ, როცა სახლში ბრუნდება, შენიშნავს, რომ არა აქვს ჩანთა და უკან მიბრუნდება. თუმცა, მისი მისვლა დაგვიანებული აღმოჩნდება, ვინაიდან „ხ“-მ ჩანთა მის მისვლამდე იპოვა და ხელს გააყოლა. ჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს „ხ“-ს ქმედება? რ. რენგიერის შეხედულებით, აღნიშნულ შემთხვევაში „ს“-ს მპყრობელობა არ იყო დასრულებული. ამგვარად, „ხ“-მ განახორციელა ქურდობა⁴⁸. ხოლო თუ „ს“-ს არ ეხსომებოდა ჩანთა სად დატოვა, ჩანთა უბატონო იქნებოდა, რის გამოც ქურდობა გამოირიცხებოდა და სახეზე იქნებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული. თუ პარკის სკამი იქნებოდა უნივერსიტეტის ეზოში, ქმედება შეიძლება ქურდობით დაკვალიფიცირებულიყო, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არგუმენტად შეიძლება მოშველიებულ იქნას ის, რომ სახეზეა უნივერსიტეტის მხრიდან მპყრობელობის გენერალური ნება. რ. რენგიერის შეხედულებით, ანალოგიურად შეიძლება გადაწყდეს საკითხი მაშინაც, როცა ადამიანს ჩანთა ავინყდება მუნიციპალურ სატრანსპორტო საშუალებაში⁴⁹.

ჩნდება კითხვა, დაკარული ნივთი არასდროს არ შეიძლება იყოს ქურდობის საგანი? არ უნდა გავითვალისწინოთ დაკარგული ნივთის ადგილსამყოფელი? თუ ნივთი დაიკარგა მპყრობელობაში არსებულ სივრცეში, მაგალითად, სახლში სამკაულის დაკარგვისას, ნივთი არ ითვლება მპყრობელობიდან გასულად⁵⁰. როცა ნივთი სხვისი მპყრობელობის სფეროში იკარგება და პირადი მპყრობელობა მთავრდება, თვლიან რომ მპყრობელობა გადადის იმ პირზე, რომელიც ფლობს უცხო მპყრობელობის სფეროს. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მპყრობელობის გენერალური ნება⁵¹. თუ ნივთი მე-

საკუთრემ თავის სახლში დაკარგა და ვერ პოულობს, რომელიც სტუმრად მოსულმა პირმა იპოვა, ფარულად, ჩუმად ჯიბეში ჩაიდო და თან გაიყოლა, ქმედება შესაძლებელია ქურდობად დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ნივთი მესაკუთრის სახლში იყო და არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ მესაკუთრე თავის ნივთს იპოვიდა. გარდა ამისა, სტუმრად მოსული პირებისთვის გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის, რომ ნივთი, რომელიც მასპინძლის სახლში იპოვა, (დიდი ალბათობით) მასპინძლის საკუთრებაში მყოფი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომელიც დაკარგულ ნივთს არ თვლის საკუთრების საგნად⁵².

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ ნივთთან მიმართებით, რომელიც მესაკუთრემ დაკარგა არა საკუთარ სახლში, არამედ ისეთ ადგილას, სადაც მისი პოვნა შედარებით ნაკლებ შესაძლებლობას შეიცავდა. თუ ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მპოვნელი ვალდებულია ნაპოვარი მესაკუთრეს დაუბრუნოს ან ნივთის პოვნის შესახებ შესაბამის სამსახურს აცნობოს, რის ვალდებულებასაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს. აღნიშნული ვალდებულებებისგან ნივთის მპოვნელი არ თავისუფლდება მაშინაც, როცა დაკარგული ნივთის პოვნა მოხდა არა სამუშაო სივრცეში, არამედ სხვაგან. მაგრამ, თუ მპოვნელი (შეტყობინებასთან დაკავშირებით) ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს მითვისების მუხლით.

მაგალითი: მაშინ, როცა მესაკუთრე „ო“-მ არ იცის, რომ საათი პარკში დააგინყდა და ის იპოვა „ტ“-მ, რომელიც ჯიბეში ჩაიდო. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნული ნივთი არ ითვლება მფლობელობაში არსებულად, შესაბამისად, ქმედება ქურდობის მუხლით არ დაკვალიფიცირდება. თუმცა, აღნიშნული პი-

⁴⁸ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 20.

⁴⁹ გერმანული სსკ-ის 246-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომლის იდენტურ შემადგენლობას ქართულ სსკ-ში არ ვხვდებით, მაგრამ ახლოს დგას მითვისების შემადგენლობასთან.

⁵⁰ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 11.

⁵¹ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 14, §2 Rn. 14.

⁵² ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეშვიდე გამოცემა, სახელმძღვანელო, ნიგნი პირველი, თბ., 2019, გვ. 462-463.

რი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგანაც არ გათავისუფლდება. ხოლო თუ „ო“ დაკარგავს საათს „ბ“-ს საცხობში, „ბ“-ზე გადადის ერთპიროვნული მპყრობელობა საათზე. თუ აღნიშნულ საათს „ტ“ აიღებს, ადგილი ექნება „ბ“-ს მპყრობელობის დარღვევას⁵³.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით თუ ტაქსის მძღოლმა მისთვის ნაცნობი კლიენტის დავიწყებული მობილური ტელეფონი რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ აღმოაჩინა, თუმცა არ დაუბრუნა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის წარმოშობის გამო, ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს⁵⁴. თუმცა, შეიძლება საკამათო იყოს საკითხი იმის შესახებ, აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება უმოქმედობით ქურდობას თუ მითვისებას. მითვისებად ქმედების კვალიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ნივთი მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის აღმოცენებამდე მართლზომიერ მპყრობელობაში იყო.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი გაქცეულ ცხოველებთან მიმართებით? გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გაქცეულ ცხოველებთან მიმართებით საკითხი ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც დაკარგულ ნივთებთან დაკავშირებით და მოცემულ შემთხვევაშიც მპყრობელობა შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, თუ ცხოველის მესაკუთრემ არ იცის გაქცეული ცხოველის ადგილსამყოფელი⁵⁵. საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკამათოა. თუ ცხოველი გაიქცა და მესაკუთრემ ადგილსამყოფელი არ იცის, არ ნიშნავს ყოველთვის იმას, რომ ქურდობის განხორციელება

გაქცეულ ცხოველთან დაკავშირებით შეუძლებელია. როდესაც სოფელში მცხოვრებმა ცხოველის მესაკუთრის მეზობელმა იცის, რომ ცხოველი, რომელიც მის მეზობელს ეკუთვნის, გაქცეულია, არ აქვს უფლება ცხოველი მიისაკუთროს იმის გამო, რომ საქმე გაქცეულ ცხოველს ეხება და მესაკუთრემ მისი ადგილსამყოფელი არ იცის.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ნივთის მპყრობელობიდან გასვლის და მპყრობელობის შესუსტების შემთხვევებს. მაგალითად, როცა „ა“ ჰკითხავს „ბ“-ს შეუძლია თუ არა ათხოვოს მობილური ტელეფონი მოკლე ხნით საუბრისთვის. „ბ“ გადასცემს მობილურ ტელეფონს იმ რწმენით, რომ საუბრის დასრულებისას უკან დაუბრუნებს. როგორც თავიდან ჰქონდა განზრახული, „ა“-მ მობილური ტელეფონი ჯიბეში ჩაიღო და მიიშალა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ქურდობის შემადგენლობას გამორიცხავს⁵⁶. აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, რომელიც ემხრობა ქმედების ქურდობად კვალიფიკაციას⁵⁷.

ქურდობად და არა თაღლითობად აკვალიფიცირებენ ქმედებას მპყრობელობის შესუსტების შემდეგ შემთხვევებში: მაგალითად, როცა გამყიდველი გასაყიდ ნივთს - სამკაულს ან ტანსაცმელს ცრუმაგიერ მყიდველს გადასცემს დასათვალისწინებლად და შემდეგ იგი ნივთის მისაკუთრების მიზნით გაუჩინარდება⁵⁸.

მპყრობელობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ნაქურდალი. მართალია, ქურდი არ არის

⁵³ Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 14, Rn. 36.

⁵⁴ ხარანაული ლ., სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: დვალაძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 29, ველის ნომერი 121; Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 16, §2 Rn. 20.

⁵⁵ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 15.

⁵⁶ Heinrich B., ebenda, S. 336, §13 Rn. 52b.

⁵⁷ თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 140-141; თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 19-20; ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 503; გამყრელიძე ო., შეცდენა და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, „ცხოვრება და კანონი“, 2011, #2-3, გვ. 4.

⁵⁸ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 20-21, §2 Rn. 30.

მესაკუთრე, მაგრამ შეიძლება იყოს არამართლ-ზომიერად მოპოვებული ნივთის მპყრობელი. იმისთვის, რომ ნივთი ქურდობის საგნად ჩაითვალოს, აუცილებელი არ არის, რომ იგი იყოს მართლზომიერ მპყრობელობაში. ქურდიც შეიძლება გაქურდონ⁵⁹. მაშასადამე, ქურდის ქურდიც ქურდია⁶⁰. თუმცა, ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როცა პირი ეუფლება და იბრუნებს იმ ნივთს, რომელიც მას მოპარეს⁶¹. აღნიშნულ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ადგილი შეიძლება ჰქონდეს არა საკუთრების, არამედ მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (360-ე მუხ., თვითნებობა)⁶².

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, იქნება თუ არა სახეზე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და შესაბამისად, ქურდობა, როცა მევალე ფარულად დაეუფლება მოვალის ფულს, რომლის გადახდის ვალდებულებაც გააჩნდა. ერთი მოსაზრებით, რომელიც ასევე გაზიარებულია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, მაინც სახეზეა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედება, ხოლო მეორე შეხედულება გამორიცხავს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს. თუმცა, გასათვალისწინებლად მიიჩნევენ იმას, მევალე ეუფლება ფულს, რომლის მოთხოვნის უფლებაც მას ჰქონდა, თუ ადგილი აქვს მის ნაცვლად სხვა ნივთის დაუფლებას⁶³.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან მიჯნავენ მფლობელობას და ნივთის პყრობას. სამოქალაქოსამართლებრივი მფლობელობა და სისხლისსამართლებრივი მპყრობელობა არ შეიძლება გაიგივდეს⁶⁴. მფლობელი არის ასევე მპყრობელიც, თუმცა შუალობით მფლობელს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მფლობელია, არ აქვს ნივთზე ბატონობა. მიუხედავად იმისა, რომ მფლობელის მოსამსახურე ფორმალურად არის მფლობელი, მისი გაქურდება შესაძლებელია. პყრობის ცნება მოიცავს არანებადართულ, აკრძალულ ბატონობასაც ნივთზე. ავტორთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, აქედან გამომდინარეა შესაძლებელი ნაქურდალის ქურდობა⁶⁵.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით ქურდი ნაქურდალის მფლობელს შეიძლება წარმოადგენდეს⁶⁶. ქურდობა შესაძლებელია როგორც მფლობელობაში, ისე მპყრობელობაში არსებული ნივთისაც.

5. მპყრობელობის დარღვევა ქურდობის დროს

ქურდობის განხორციელებისას ადგილი უნდა ჰქონდეს მესაკუთრის მპყრობელობის დარღვევას. მპყრობელობის დარღვევა მაშინ ხდება, როცა მპყრობელობიდან ნივთი გადის მპყრობელის ნების საწინააღმდეგოდ. თუ ხდება ნივთის შეგნებულად გადაცემა სხვა პირისთვის ან თუ

⁵⁹ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 12; Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 5, 11a. ასევე იხ. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 43.

⁶⁰ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მერვე გამოცემა, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 17.

⁶¹ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 42, §2 Rn. 6.

⁶² ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მერვე გამოცემა, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 28.

⁶³ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 50-51, §2 Rn. 89.

⁶⁴ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 12, §2 Rn. 12.

⁶⁵ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 47, §2 Rn. 22.

⁶⁶ ნაქურდალის მფლობელობაში არსებულ ნივთად მიჩნევაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 43; ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 165; თოდუა ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის კომენტარი, წიგნი II: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბ., 2018, გვ. 36; ხარანაული ლ., სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, წიგნი II: დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 13, ველის ნომერი 54.

მესაკუთრე ან მპყრობელი თანახმა იყო ნივთის სხვა პირის მპყრობელობაში გადასვლასთან დაკავშირებით, გამოირიცხება ქმედების შემადგენლობა. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას⁶⁷.

როცა სუპერმარკეტში შედის მყიდველი და ჩანთაში იღებს გასაყიდ ტანსაცმელს, რომელსაც სალათის ფურცლებით ფარავს, ისე რომ გამყიდველმა ვერ შეამჩნიოს, ქმედებას ქურდობად აკვალიფიცირებენ, მაგრამ როცა მყიდველი ნივთს, რომლის დაუფლებაც სურს, საფასურის გადახდის გარეშე, სხვა ნივთებთან ერთად იღებს, ქმედებას თაღლითობის კვალიფიკაციას აძლევენ⁶⁸. მათი გამიჯვნა ხდება შემდეგნაირად: პირველ (ქურდობის) შემთხვევაში არამართლზომიერად დაუფლებული ნივთი არ გადის გამყიდველის კონტროლს, ხოლო თაღლითობის დროს ნივთი გამყიდველის კონტროლს ფორმალურად გადის, ისეა სხვა ნივთებთან ერთად მოთავსებული, რომ გამყიდველს აღნიშნული ნივთი რჩება მხედველობის არედან ანუ გამყიდველი შეყავთ შეცდომაში.

თუ პირი სამსახურში მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემულ ნივთს გამოიყენებს უნებართვოდ, პირადი მოხმარებისთვის და ისევე უკან დააბრუნებს, ქმედება არ დაკვალიფიცირდება ქურდობად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება მისაკუთრების მიზანი⁶⁹. აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა საგნის უნებართვო მოხმარება. თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლი გაუქმდა აღნიშნული სახის ქმედებები, მიუხედავად მისაკუთრების მიზნის არარსებობისა, სასამართლო პრაქტიკაში ქურდობის მუხლით კვალიფიცირდება ფარული დაუფლების შემთხვევაში, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

დაუფლება ქურდობის შემადგენლობის გაგებით სრულად არის სახეზე, თუ დამნაშავემ ახალი მპყრობელობა დააფუძნა. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ერთპიროვნულ მპყრობელობას ან თანაამსრულებლობის შემთხვევაში თანამპყრობელობას⁷⁰.

6. თანამპყრობელობისთვის დამახასიათებელი თავისებურებები

თანამპყრობელობის დროს მპყრობელობის სხვა პირზე გადასვლასთან დაკავშირებით თანხმობა ყველა მპყრობელმა უნდა გამოთქვას. თუ ყველა მპყრობელის თანხმობა არ არსებობს, სახეზეა თანამპყრობელობის დარღვევა, ვინაიდან თანამპყრობელიც შეიძლება იყოს დანაშაულის ამსრულებელი. თუმცა, მიუთითებენ გამონაკლისის არსებობაზეც, როცა თანამპყრობელი არის უფლებამოსილი ნივთის განკარგვაზე⁷¹. თანამპყრობელობასთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განასხვავებენ უპირატესი უფლების (ზემდგომ) მპყრობელობას, თანასწორფასოვან თანამპყრობელობას და დაქვემდებარებულ (ქვემდგომ) თანამპყრობელობას⁷². თანამპყრობელობის დროს, თუ თანამპყრობელები თანაბარი რანგის არიან, თანამპყრობელობის დარღვევა ნებისმიერს შეუძლია, მაგრამ თანამპყრობელობის ისეთ შემთხვევაში, როცა გარკვეულ დამოკიდებულებით ურთიერთობაში არიან, მპყრობელობის დამრღვევად, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გვევლინება ის, ვინც ამ ურთიერთობაში დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებს⁷³. აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ შვილმა მშობლების დაუკითხავად ფარულად გაყიდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა (მაგალითად, ტელევიზორი) სახეზე იქნება ქურდობა.

⁶⁷ *Heinrich B.*, ebenda, S. 336, §13 Rn. 53.

⁶⁸ *Heinrich B.*, ebenda, S. 337, §13 Rn. 54a.

⁶⁹ *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 14.

⁷⁰ *Heinrich B.*, ebenda, S. 340, §13 Rn. 60-61; *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 17.

⁷¹ *Heinrich B.*, ebenda, S. 341, §13 Rn. 63.

⁷² *Rengier R.*, Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 14-15, §2 Rn. 16.

⁷³ *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 13; *Schramm E.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 51, §2 Rn. 36.

დაუფლებსთვის საკმარისად მიიჩნევა როგორც ზემდგომი მპყრობელობის, აგრეთვე თანასწორფასოვანი მპყრობელობის დარღვევა. ქურდობის ამსრულებელი შესაძლოა იყოს როგორც თანასწორფასოვანი მპყრობელი, ისე ქვემდგომი მპყრობელი. ქვემდგომი მპყრობელობის დარღვევა არ მიიჩნევა დაუფლებად. ქვემდგომი მპყრობელს არც მიიჩნევენ მპყრობელად⁷⁴. მაგალითად, თუ ოჯახის საკუთრებაში არსებულ ტექნიკას მშობელი გაყიდის და ამის შესახებ შვილი მოგვიანებით შეიტყობს, მშობლის ქმედება ქურდობად ვერ დაკვალიფიცირდება.

თანასწორფასოვან მპყრობელობაში არსებულად ტიპურად მიიჩნევა ქორწინებაში მყოფ პირთა საერთო სარგებლობაში არსებული ნივთი, რომელიც განთავსებულია იმ ბინაში, სადაც ისინი ერთად ცხოვრობენ⁷⁵. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თანაქორწინებაში მყოფი პირი მისი მეუღლის დაუკითხავად ფარულად გაყიდის საერთო სარგებლობაში არსებულ ნივთს, სახეზე იქნება ქურდობა.

დაქვემდებარებული მპყრობელობა სახეზეა მაშინ, როცა საქმე ეხება მფლობელის მოსამსახურეს, როგორცაა დამხმარე, დარაჯი და სხვა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სამსახურებრივი და სახელშეკრულებო ურთიერთობები. რ. რენგირის შეხედულებით, მაგალითად, ქურდობა იქნება განხორციელებული, თუ მაღაზიის კონსულტანტმა (რომლის ფუნქციაში შედის მხოლოდ მყიდველისთვის კონსულტაციის გაწევა და არა საქონლის მიყიდვა) ერთპიროვნულად მაღაზიის თაროდან ფარულად აიღო და დაეუფლა ნივთს. მპყრობელობის მფლობელი არის ბიზნესის მფლობელი (ფილიალის მფლობელი, განყოფილების ხელმძღვანელი). გამყიდველი არის დაქვემდებარებული მპყრობელი⁷⁶.

რაც შეეხება მაღაზიის გამყიდველს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული

მოსაზრებით, იგი მართლზომიერ მფლობელად არის მიჩნეული. შესაბამისად, მის მიერ მაღაზიაში გასაყიდად განთავსებული ნივთის დაუფლება კვალიფიცირდება არა ქურდობად, არამედ მითვისებად⁷⁷.

დისტრიბუტორი, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ყოველთვის არ მიიჩნევა თანამპყრობელად. მაგალითად, თუ დისტრიბუტორს ევალება ახლო მანძილზე საქონლის (მაგალითად, ღვინის) მიწოდება მაღაზიების ქსელისთვის და გზაში, საქონლის გადატანის დროს ფარულად დაეუფლება ათ ბოთლ ღვინოს, სახეზე იქნება ქურდობა, ვინაიდან დამსაქმებლის მპყრობელობა ისევ განაგრძობდა არსებობას და საქონლის ტრანსპორტირებით არ მომხდარა მპყრობელობის დასრულება, შესაბამისად, დისტრიბუტორის ქმედებით მოხდა მპყრობელობის დარღვევა. ხოლო სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა საქონლის ტრანსპორტირება ხდება შორ მანძილზე და დამსაქმებელმა ზუსტად არც იცის სად მდებარეობს მაღაზიების ქსელი, რომლის მომარაგებაც ხდება. ასეთ დროს დისტრიბუტორის (მომარაგების აგენტის) ქმედება ქურდობად არ კვალიფიცირდება და სახეზე იქნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული (გერმანული სსკ-ის მიხედვით *Unterschlagung*, მითვისება მპყრობელობის დარღვევის გარეშე)⁷⁸.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დისტრიბუტორი გამონაკლისების გარეშე მიჩნეულია იმ პირად, ვის მართლზომიერ მფლობელობაშიც იმყოფება სარეალიზაციოდ მინდობილი საქონელი⁷⁹, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი ქმედება კვალიფიცირდება არა ქურდობად, არამედ მითვისებად. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაზიარებელია გერმანულ სისხლის სამართლის

⁷⁴ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 15, §2 Rn. 16.

⁷⁵ Rengier R., ebenda, S. 15, §2 Rn. 16.

⁷⁶ Rengier R., ebenda, S. 15, §2 Rn. 17-18.

⁷⁷ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მერვე გამოცემა, სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 87-88.

⁷⁸ Rengier R., ebenda, S. 15-16, §2 Rn. 19.

⁷⁹ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მერვე გამოცემა, სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 87.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ახდენს დისტრიბუციის შემთხვევათა დიფერენცირებას.

ჩაკეტილ, მაგრამ ტრანსპორტირებად საგნებზე ვრცელდება ერთპიროვნული მპყრობელობა და არა თანამპყრობელობა. მაგალითად, ის, ვისაც გასაღები აქვს ან ფლობს კოდს, გაბატონებული მოსაზრებით თანამპყრობელად არ ითვლება, ვინაიდან მას არ შეუძლია ნივთის ბედზე ზეგავლენის მოხდენა. თუმცა, ასევე უშვებენ გამონაკლისი შემთხვევის არსებობას, როცა აღნიშნული ნივთით სარგებლობაზე შეუზღუდავი შესაძლებლობა (უფლება) არსებობს⁸⁰.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება შემდეგ შემთხვევაში: „ვ“ არის ავტოპარკის დარაჯი და აქვს მესაკუთრე „ე“-ს მანქანის გასაღები. მას შეუძლია გასაღების გაცემა მესაკუთრის თანხმობით. „გ“ მოატყუებს „ვ“-ს, რომ „ე“ თანახმაა მანქანის გასაღები მას გადასცენ. მიამიტი „ვ“ გასაღებს გადასცემს „გ“-ს მანქანით გასამგზავრებლად. მოცემულ შემთხვევაში „ვ“-ს და „ე“-ს ჰქონდათ გასაღებზე თანამპყრობელობა. ვინაიდან „ვ“ უფლებამოსილი იყო მანქანის გასაღების გადაცემაზე, გამორიცხავენ ქურდობისთვის დამახასიათებელ დაუფლებას (შუალობითი ამსრულებლობის ფორმით) და ქმედებას თაღლითობის მუხლით აკვალიფიცირებენ⁸¹.

ქურდობისთვის უცხო ნივთის დაუფლება რომ არის მნიშვნელოვანი გარემოება, მოწმობს შემდეგი მაგალითიც: „ე“-მ შვებულებაში ყოფნის დროს გაიცნო „გ“. „ე“-ს ბინას, სადაც მისი სამკაულიც ინახებოდა, დარაჯობდა დარაჯი „ვ“. „ე“-მ სთხოვა „გ“-ს სამკაული გამოეტანა, რითაც ის ერთი მხრივ, შეძლებდა სამკაულის მისთვის ჩუქებას, ხოლო მეორე მხრივ, შეეძლო ქურდობასთან დაკავშირებული დაზღვევის თა-

ნხა მიეღო. მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა შემდეგი გარემოებები: „ე“-თვის აღნიშნული ნივთი არ იყო უცხო და არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მოყვანილ მაგალითში, თუ მოხდა სადაზღვეო კომპანიისგან თანხის მიღება, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა, ვინაიდან საქმე ეხება საკუთარი ნივთის გამოყენებას სადაზღვეო კომპანიისაგან თანხის არამართლზომიერად მიღების მიზნით. ხოლო თანხის მიღების მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში მის მომზადებას ან მცდელობას ექნება ადგილი. თუ შევცვლით ზემოთ მოყვანილი მაგალითის შინაარსს და ვიტყვით, რომ სამკაული ეკუთვნოდა არა „ე“-ს, არამედ მის ძმას, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ქმედება როგორ დაკვალიფიცირდება? ასეთ შემთხვევაში ქმედება მითვისების მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ქურდობის შემადგენლობა გამოირიცხება⁸².

7. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ დაუფლება შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ქურდობისთვის დამახასიათებელი დაუფლება შეიძლება განხორციელდეს თანამფლობელის მხრიდან თანამფლობელობაში არსებული ნივთის მიმართაც, მაგრამ ასეთ დროს გასათვალისწინებელია თანამფლობელთა შორის არსებული უფლებრივი დამოკიდებულება. დაუფლება შეიძლება განხორციელოს იმ პირმაც, რომლის მპყრობელობაშიც იყო სხვისი ნივთი. ქურდობის და მითვისების გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, ადგილი ჰქონდა სხვისი ნივთის დაუფლებას მპყრობელის მხრიდან თუ მოქმედებას მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მართლზომიერი მფლობელის მიერ.

⁸⁰ Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 13-14, Rn. 35.

⁸¹ Heinrich B., ebenda, S. 341, §13 Rn. 64.

⁸² Heinrich B., ebenda, S. 342, §13 Rn. 65.

► გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: „ჯარისკაცები არიან მკვლელები“

1. გამოხატვის თავისუფლებასა და პატივისა და ღირსების დაცვას შორის კონფლიქტის შემთხვევის განსჯისას, კონკრეტული შემთხვევის ყველა ცალკეული გარემოება გასათვალისწინებელი. გამოხატვის თავისუფლებამ აპრიორი უკან არ უნდა დაიხიოს პატივისა და ღირსების დაცვის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საუბარია დიფამაციაზე, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების დისკრედიტაციას და არა თემატურ დისკუსიას.

2. პირთა ჯგუფისათვის მიყენებული შეურაცხყოფა მხოლოდ მაშინ ლახავს მის წევრ კონკრეტულ ინდივიდთა პატივისა და ღირსებას, თუ ჯგუფი არის განსაზღვრადი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამი ეხება ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც ამ ჯგუფის ყველა წევრს ახასიათებს.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 1995 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 1 BvR 1476/91

გერმანიის კონსტიტუციის 5 | 1, 103 II მუხლები

სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გაერთიანებულია ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი საკონსტიტუციო საჩივარი, რომ-

ლებიც შეეხება სისხლისსამართლებრივი მსჯავრის დადებას ფედერაციის შეირაღებული ძალებისა და ცალკეული ჯარისკაცების შეურაცხყოფისთვის ისეთი განცხადებებით, როგორებიცაა „ჯარისკაცი არის მკვლელობა“ და „ჯარისკაცები არიან პოტენციური მკვლელები“. მოცემული ანალიზის ფარგლებში განხილული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება – 1 BvR 1476/91.

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო 30 წლის სტუდენტი, იმყოფებოდა ნაცნობებთან ერთად შუა ფრანკონიაში, სადაც იმართებოდა ნატოს საშემოდგომო მანევრი „Certain Challenge“. როგორც საქალაქო სასამართლომ დაადგინა, სტუდენტი, რომელიც იყო პაციფისტი, პირველად შეესწრო მსგავსი მასშტაბის მანევრებს. მის საცხოვრებელთან ახლოს კი ამერიკული არმიის შვიდიდან ათამდე ტანკი იყო განლაგებული, რამაც მოსარჩელეზე ემოციურად ძლიერად იმოქმედა და რის გამოც ნაჭერზე წითლად გამოსახა წარწერა: „A soldier is a murder“ („ჯარისკაცი არის მკვლელობა“). მოსარჩელემ ბანერი ამ წარწერით 10:00 საათისათვის მიამაგრა ქუჩის გადაკვეთაზე, ქალაქის გარეუბანში. დაახლოებით 12:00 საათზე ამ ადგილზე ჩაიარა შეიარაღებული ძალების ოფიცერმა, რომელმაც შეამჩნია ბანერი და შეატყობინა პოლიციას. პოლიციის თანამშრომლებმა 14:00 საათისათვის ბანერი ჩამოხსნეს. უფროსმა ლეიტენანტმა სტუდენტის წინააღმდეგ შეიტანა სისხლისსამართლებრივი საჩივარი.

საქალაქო სასამართლოს მსჯელობა: საქალაქო სასამართლომ სტუდენტს დააკისრა ჯარიმა შეურაცხყოფისთვის. მისი მსჯელობით, მოსარჩელემ სიტყვა „მკვლელის“ ნაცვლად შეცდომით გამოიყენა სიტყვა „მკვლელობა“. გარდა ამისა, სტუდენტი პროცესზე ახსენებს ბატონი P-ს (უფროსი ლეიტენანტი) სიტყვებს, რომელიც ამბობდა, რომ მას ომში უნდა „მოეკლა“, თავად სტუდენტი კი ამბობს, რომ ლეიტენანტი ომში უნდა „დახოცოს“. ამასთან, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი ინგლისურ ენაზე გამართულად ვერ საუბრობდა. სიტყვა „Murder“ მსგავსია გერმანული სიტყვისა „Mörder“, რაც ნიშნავს მკვლელს. შესაბამისად, ეს ენობრივ შეცდომაზე მიუთითებს და რეალურად, სტუდენტს უნდოდა ეთქვა, რომ „ჯარისკაცი არის მკვლელი“. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სტუდენტის განცხადება წარმოადგენდა უფროსი ლეიტენანტის პატივისა და ღირსების ხელყოფას, მისი შეგნებული დამცირების გზით. განცხადება, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ფედერაციის შეირაღებული ძალების ყველა ჯარისკაცს საჯაროდ აცხადებდა კრიმინალად მაშინ, როდესაც ამ ჯარისკაცებს – თუ უბედურ შემთხვევებს არ გავითვალისწინებთ – არავინ მოუკლავთ.

სამხარეო სასამართლოს მსჯელობა: სამხარეო სასამართლომ მომჩივნისა და პროკურატურის საჩივრები არ დააკმაყოფილა. თუმცა ქვედა ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მან სიტყვა „მკვლელობა“ „მკვლელის“ ნაცვლად გამოიყენა განზრახ, რათა გამოეხატა ჯარისკაცის ორგვარი როლი – ჯარისკაცი, როგორც დამნაშავე და როგორც მსხვერპლი. ამით მას სურდა მოცემულ თემასთან დაკავშირებული დისკუსიის წამოწყება. სასამართლოს მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმა ჯარისკაცზე, თეორიულად, ჯარისკაცის პროფესიის კრიტიკაა, მან ამ პროფესიის წარმომადგენელი ცალკეული ინდივიდებიც შეურაცხყო. კოლექტიური სახელწოდებებით შესაძლებელია, ასევე, ამ ჯგუფის ცალკეული წევრების შეურაცხყოფაც გვექონდეს სახეზე, თუ ეს აშკარად ეხება ჯგუფის ყველა წევრს. სხვა მხრივ, სამხარეო სასამართლოს მსჯელობა თითქმის სიტყვასიტყვით

იმეორებდა საქალაქო სასამართლოს არგუმენტაციას.

უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ სტუდენტისა და პროკურატურის საჩივრები უკუაგდო. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება ეხებოდა მხოლოდ პროკურატურის მხრიდან გასაჩივრებულ საპროცესოსამართლებრივ დარღვევებს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელყოფდა მის ძირითად უფლებებს, კერძოდ, გერმანიის ძირითადი კანონის 5 | 1 და 103 II მუხლებით დაცულ სფეროებს. იგი აღნიშნავდა, რომ სამხარეო სასამართლომ, მისი განცხადების შინაარსი შეუსაბამოდ განმარტა – თითქოს სტუდენტი ჯარისკაცების მიერ ჩადენილ თითოეულ მკვლელობას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად მიიჩნევდა, მაგრამ ამ განცხადების მიზანი იყო, რომ თავად ჯარისკაციც ასევე მსხვერპლად წარმოეჩინა. გერმანიის კონსტიტუციის 103 II მუხლიდან გამომდინარე (სისხლისსამართლებრივი ნორმის) ანალოგიით გამოყენების აკრძალვა დარღვეული იყო, რადგან ჯარისკაცები კოლექტიურად არ წამოადგენენ შეურაცხყოფის ობიექტებს. ინდივიდუალიზება სახეზე არ იყო, რადგან ჯარისკაცები არ ქმნიან ცალკეული პიროვნებებისგან შემდგარ ცალსახა, გამოკვეთილ წრეს. შესაბამისად, შეურაცხყოფა მიემართება არა კონკრეტულ პირს, არამედ შთაინთქმებოდა უაღრესად დიდ ჯგუფში.

ბავარიის იუსტიციის სამინისტრომ საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვებად, თუმცა დაუსაბუთებლად მიიჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა: საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, სტუდენტის განცხადება ექცევა კონსტიტუციის 5 | 1 მუხლის დაცვის სფეროში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით ან გამოსახულებით. საკონსტიტუციო სასამართლომ თითოეული ინსტანციის გადაწყვეტილება შეაფასა და დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის გამოც სტუდენტის განცხადე-

ბამ გამოიწვია დიდი საზოგადოებრივი ინტერესი მნიშვნელოვანი თემის შესახებ. სასამართლომ არ დააბალანსა აზრის გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების დაცვა, რაც აუცილებელია, როდესაც არც ფორმალური შეურაცხყოფა და არც ცილისწამება არის სახეზე. საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, სამხარეო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სიტყვა „მკვლელობა“ შეგნებულად გამოიყენა სიტყვა „მკვლელის“ ნაცვლად ჯარისკაცის ორგვარ როლზე ყურადღების გასამახვილებლად და ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცების დასაფიქრებლად. მიუხედავად ამისა, სამხარეო სასამართლომ სიტყვების „murder“ (მკვლელობა) და „Mörder“ (მკვლელები) მსგავსი ჟღერადობის გამო მიიჩნია, თითქოს მოსარჩელემ სიტყვა „murderer“ (მკვლელი) გამოიყენა და ამით ჯარისკაცები მძიმე დამნაშავეებად გამოაცხადა. მათ შორის უფროსი ლეიტენანტი ო. საბოლოოდ, მანაც, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, მოსარჩელის კანონიერი ინტერესი არ გაითვალისწინა. შესაბამისად, აქაც უგულბელყოფილ იქნა კონსტიტუციის 511 მუხლი.

ვინაიდან, ბავარიის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სარჩელი, მასაც იგივე ხარვეზები ახასიათებდა, რაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სტუდენტის გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლით გარანტირებული უფლების – აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაში სასამართლო გადაწყვეტილებით ჩარევის თანაზომიერებაზე, კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის კონსტიტუციურობასთან შესაბამისობაზე, რამეთუ სასამართლოების განაჩენი სწორედ ამ მუხლს ეფუძნებოდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, შეურაცხყოფა ისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით, ხოლო თუ შეურაცხყოფა ჩადენილია საჯაროდ, შეხვედრაზე, შინაარსის გავრცელებით (11 III პარაგრაფი) ან ფიზიკური ძალადობით, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. ნორმის ფორმალური და მატერიალური კანონიერების შემოწმების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა გერმანიის სისხ-

ლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის კონსტიტუციურობა, თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის განმარტებისა და გამოყენების კონსტიტუციურობა. საკითხავია, გამოიყენება თუ არა სასამართლოების მიერ აღნიშნული პარაგრაფი „კოლექტიური შეურაცხყოფის“ კონტექსტში. აქ წარმოიშობა რისკი იმისა, რომ დაირღვეს კონსტიტუციის 103 II მუხლით დადგენილი ანალოგიის აკრძალვა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების პატივი და ღირსება არ არის წმინდად ინდივიდუალური და განცალკევებული იმ კოლექტივისგან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, მაგალითად, მისი სამუშაო კოლექტივი. შესაბამისად, ჯგუფისათვის შეურაცხყოფის მიყენებამ, შესაძლოა, ჯგუფის წევრების პატივზეც მოახდინოს გავლენა. სწორედ ამიტომ, ანალოგიის აკრძალვასთან წინააღმდეგობა სასამართლომ გამოიჩინა. რთულია მკაცრი ზღვარის გავლება პირად ღირსებაზე თავდასხმასა და ლეგიტიმურ კრიტიკას შორის, ამიტომ კარგად უნდა შემოწმდეს, მოსარჩელის მსგავსი განცხადებები რეალურად ახდენს თუ არა გავლენას ინდივიდის პატივსა და ღირსებაზე ისე, რომ არ მოხდეს სოციალურ თუ პოლიტიკურ თემებზე კრიტიკული აზრის ჩახშობა.

ამისთვის საკონსტიტუციო სასამართლომ ორი წინაპირობა დაადგინა:

1. ჯგუფი უნდა იყოს განსაზღვრადი

2. გაკეთებული განცხადება უნდა ეხებოდეს ნიშან-თვისებას, რომელიც ამ ჯგუფის ყველა წევრს ახასიათებს.

მოცემულ შემთხვევაში, ზოგადად ჯარისკაცების შესახებ გაკეთებული განცხადება, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად თითოეული მათგანის პიროვნულ პატივსა და ღირსებას ხელყოფს, თუმცა, თუ ეს განცხადება მიემართება კონკრეტულად ფედერაციის შეირაღებული ძალების ჯარისკაცებსა და მათ საერთო მახასიათებელს, მაშინ შესაძლოა სახეზე იყოს კონკრეტულად ამ ჯარისკაცების პატივისა და ღირსების შელახვა. სხვა შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა საერთო სასამართლოების მსჯელობის არათანმიმ-

დევერულობაზე და იმ ფაქტზე, რომ 185-ე მუხლის მსგავსი ინტერპრეტაცია, არაპროპორციულად ზღუდავს კონსტიტუციურად გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის განმარტება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. პირველმა სენატმა დააკმაყოფილა საკონსტიტუციო საჩივარი და დაადგინა, რომ „ჯარისკაცები მკვლელები არიან“ შეურაცხყოფაა და ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ იგი აშკარად შეურაცხყოფს ცალკეულ ჯარისკაცს ან, კერძოდ, ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს. თუმცა, პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ განცხადება უნდა იყოს გაგებული, როგორც „ჯარისკაცის პროფესიისა“ და „ომის ხელობის“ ზოგადი კრიტიკა. ასეთი ზოგადი პოლიტიკური განცხადება დაცულია გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებით.

პირველი სენატის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოსამართლე ჰაასი განსხვავებულ აზრზე დარჩა. მის მიხედვით, პოლიტიკური დებატების ფარგლებში მნიშვნელოვანია, თავიდან იქნეს აცილებული პირადი ცილისწამება. აღნიშნული განსაკუთრებით სენსიტიურია გერმანიის შეიარაღებული ძალების წე-

ვრების მიმართ გაკეთებული განცხადებების შემთხვევაში, რადგან ჯარისკაცებმა მთელი თავიანთი ძალისხმევა უნდა მიმართონ კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოს თავდაცვის მისიის შესრულებისაკენ. ისინი რისკის ქვეშ აყენებენ საკუთარ სიცოცხლეს, რათა მშვიდობიან მოსახლეობას თავიდან აარიდონ ომი და დაიცვან მათი სიცოცხლე, ასევე იმ ადამიანების სიცოცხლე, რომლებიც აკნინებენ ჯარისკაცის პროფესიას და საჯაროდ დასცინიან მათ. სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო სისტემამ, რომელიც ახალგაზრდებს ავალდებულებს ეჭიროთ იარაღი და ემსახურონ სახელმწიფოს, უნდა უზრუნველყოს ასევე მათი დაცვა, როდესაც მათ მკვლელებად მოიხსენიებენ და საჯაროდ ამცირებენ. მოსამართლის აზრით, აქ საუბარი არ არის „ჯარისკაცის სპეციალურ პატივსა და ღირსებაზე“, არამედ ფაქტზე, რომ თუკი კონსტიტუციას არ სურს დაკარგოს სახალხო ნდობა, არ უნდა ტოვებდეს დაუცველს მას, ვინც მის მოთხოვნებს ასრულებს და ვისაც სწორედ ამის გამო ესხმიან თავს. დაცვასა და მორჩილებას შორის ურთიერთკავშირი წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის უკუგდებაც დაუშვებელია.

ნანული შაკინოვი

იუმორი და სამართალი

იუმორი ჩვენი ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრია. იუმორი ინვეს დადებით ემოციებს, გვაინფიცებს უსიამოვნებებს და გვეხმარება სირთულეების გადალახვაში. იუმორის დახმარებით შეგვიძლია ვისაუბროთ ისეთ თემებზე, რომლებსაც სხვანაირად შეიძლება ვერ შევეხოთ.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ხუმრობა აღმოჩენილია შუმერების თიხის ფირფიტაზე, რომელიც თარიღდება 1900 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე: "მალღმირი შევიდა ტავერნაში და თქვა: "ვერაფერს ვერ ვხედავ. ამას გავხსნი". მეცნიერები ვერ ხსნიან ამ ხუმრობის შინაარსს, რადგანაც ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია შუმერების კულტურის შესახებ. საინტერესოა, რომ ბევრი თანამედროვე ხუმრობა ასევე იწყება ბარში (თანამედროვე ტავერნა) შესვლით. მაგალითად, ორი დრაკონი შედის ბარში. ერთი ეუბნება მეორეს: "აქ საკმაოდ ცხელა." მეორე უპასუხებს: "პირი დახურე!"

იუმორს ზოგჯერ განასხვავებენ ქვეყნების მიხედვით. ინგლისურ იუმორს აქვს ბევრი თავისებურება. ინგლისელები ხშირად ხუმრობენ საკუთარ თავზე. ამასთან, ზოგჯერ რთულია იმის გარჩევა, ინგლისელი ხუმრობს, თუ საუბრობს სერიოზულად. როგორც ამბობდა უინსტონ ჩეჩერილი, "ხუმრობა ძალიან სერიოზული რამეა."

გერმანელებს ზოგჯერ დაუმსახურებლად აბრალებენ იუმორის გრძობის არქონას. გერმანული ხუმრობები ხშირად ეფუძნება სიტყვებით თამაშს. მაგალითად, ორი გერმანელი შევა ლონდონის ბარში და შეუკვეთავს ორ მარტინის. "Dry?" ("მშრალი?") ეკითხებათ ბარმენი. "Nein, zwei!" ("არა, ორი!"), უპასუხებენ გერმანელები.

თავისუფალ საზოგადოებაში და ტოტალიტარულ რეჟიმში იუმორი ძალიან განსხვავებულია. ტოტალიტარიზმის დროს ადამიანები მიმართავენ პოლიტიკურ სატირას, რომლითაც ვრცელდება კრიტიკული აზრი და ამ ფორმით იფარება აზრის ავტორის ვინაობა. თუმცა, ტოტალიტარულ რეჟიმში პოლიტიკური ხუმრობის მოყოლა ხშირად უკვე დანაშაულია. საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ანეკდოტი ითვლებოდა ანტისაბჭოთა აგიტაციად და ისჯებოდა სისხლის სამართლებრივი წესით. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, საბჭოთა კავშირში 200 000 ადამიანი იხდიდა სასჯელს პოლიტიკური ანეკდოტების მოყოლისთვის (იხ. "საბჭოთა პოლიტიკური ხუმრობები: სასაცილო სატირალი რომ არ იყოს", Gnomon Wise კვლევა, 2023, gnomonwise.org).

იუმორი დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური უფლებაა და დაცულია, როგორც გამოსატყვის თავისუფლების უმნიშვნელოვანე-

სი ნაწილი. არსებობს უამრავი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ დაიცვა პოლიტიკური იუმორი და საჯარო პირებზე გავრცელებული პაროდია. მათ შორის, საინტერესოა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Hustler v. Falwell* (485 U.S. 46, 24 თებერვალი-1988) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Vereinigung Bildender Künstler v. Austria* (No. 8354/01, 25 იანვარი 2007).

იუმორს შეიძლება წავანყდეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, საავტორო სამართალში, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისას, შრომით ურთიერთობებში და ბევრ სხვა სფეროში. შესაბამისად, იუმორის სამართლებრივი რეგულირება საკმაოდ მრავალფეროვანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გვხვდება ნორმები ხუმრობის შესახებ. კერძოდ, “ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა” (57.1 მუხლი). კოდექსის ეს ნორმა იცავს ნების გამოვლენის ინტერესებს, თუ მის მიერ გამოხატული ნება არ იყო გაკეთებული სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვით და იგი ვარაუდობდა, რომ მის არასერიოზულობას გამოიცნობდა მეორე მხარე. მაგალითად, ანდერძი შეიძლება იყოს არასერიოზული და, შესაბამისად, ბათილი.

მსოფლიოში არსებობს უამრავი უცნაური ანდერძი. მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია კანადელი ადვოკატის, ჩარლზ მილარის ანდერძი. მან დაუტოვა თავისი ქონების დიდი ნაწილი ტორონტოში მცხოვრებ იმ ქალბატონს, რომელიც ჩარლზ მილარის გარდაცვალებიდან ათი წლის განმავლობაში გააჩენდა ყველაზე მეტ ბავშვს. ანდერძის ეს პირობა გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა სასამართლომ დატოვა იგი ძალაში. კანადაში მილარის ანდერძით გამოწვეულ მოვლენებს უწოდეს “ტორონტოს დიდი დერბი.” ანდერძის გამოქვეყნების შემდეგ ტორონტოში და მთელს კანადაში საოცრად გაიზარდა ბავშვების დაბადების მაჩვენებელი. 1938 წელს კი ანდერძით დატოვებული ჯი-

ლდო თანაბრად გაიყო ოთხ ოჯახს შორის, სადაც ათი წლის განმავლობაში გაჩნდა ცხრა-ცხრა ბავშვი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს, რომ “ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ” (57.2 მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლს უწოდებენ სამოქალაქო სამართლის “უცხო სხეულს”, რადგანაც მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან მცირეა (იხ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 57, 3). ამას ადასტურებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლის გამოყენების პრეცედენტი ძალიან იშვიათია.

საავტორო სამართლის მიზნებისთვის ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ პაროდია, სატირა და “ჩვეულებრივი” ხუმრობა.

პაროდის სამიზნეა თავად ნაწარმოები. შესაბამისად, პაროდის აუცილებელი პირობაა, რომ შესაძლებელი უნდა იყოს პაროდის ობიექტის ამოცნობა. ამიტომ, პაროდის ავტორს უნევს ორიგინალი ნაწარმოების გამოყენება საკმაოდ დიდი მოცულობით.

არაერთი სახელმწიფოს საავტორო უფლებების კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ გამონაკლისს პაროდისთვის. თუმცა, ხშირად პაროდია პირდაპირ არ არის ნახსენები და მას მოიცავს ნაწარმოების გამოყენება “კრიტიკული მიზნებისთვის” (იხ. მაგალითად აშშ-ს საავტორო უფლებების აქტი, მუხლი 107). საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” აგრეთვე პირდაპირ არ ახსენებს პაროდიას, როგორც ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების საფუძველს. თუმცა, კანონით ნებადართულია “ნაწარმოებებიდან ციტირება კრიტიკული მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით” (იხ. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის 23(ა) მუხლი).

ძალიან ცოტა ავტორი თუ დაეთანხმება მისი ნაწარმოების პაროდირებას. ამიტომ, კანონმდებლობით ნებადართული გამონაკლისის გარეშე ნაწარმოების პაროდია, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, შეიძლება საერთოდ გაქრეს. ნაწარმოების პაროდიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საინტერესო პრეცედენტი აშშ-ს სასამართლოს მიერ განხილული საქმე **Leibovitz v. Paramount Pictures Corporation (137 F.3d 109, 19 თებერვალი 1998)**. დავა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც **Paramount Pictures**-მა გამოიყენა პაროდისთვის ცნობილი ფოტოგრაფის, ენი ლეიბოვიცის მიერ გადაღებული ფოტო.

პაროდისგან განსხვავდება სატირა. სატირა აკრიტიკებს საზოგადოებაში არსებულ რეალობას. მაგრამ, პაროდისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ სატირა ეფუძნებოდეს საავტორო უფლებით დაცულ რომელიმე ნაწარმოებს ან იყენებდეს ნაწარმოების მნიშვნელოვან ნაწილს.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში **Campbell v. Acuff-Rose Music, Inc., 510 U.S. 569 (1994)** განმარტა, რომ „პაროდია სჭირდება ორიგინალის მიბაძვა, რომ თავისი აზრი გამოთქვას და, შესაბამისად, აქვს გარკვეული პრეტენზია გამოიყენოს მისი მსხვერპლის (ან კოლექტიური მსხვერპლის) ფანტაზია, მაშინ როდესაც სატირა შეიძლება დადგეს საკუთარ ფეხებზე და, შესაბამისად, მოითხოვს გამართლებას ნაწარმოებიდან სესხებისთვის“.

პაროდისგან და სატირისგან განსხვავდება “ჩვეულებრივი” ხუმრობა. მაგალითად, ასეთი

ხუმრობა: სამართლის სკოლაში ისე კარგად ვსწავლობდი, რომ დამთავრების დღესვე ვუჩივლე სკოლას და სწავლის საფასური სრულად დავიბრუნე.

ხშირად ხუმრობები ერთმანეთის მსგავსია, რადგან ისინი ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს ან მიმდინარე მოვლენას. ხუმრობა შეიძლება იყოს ძალიან მოკლე (ერთი წინადადება) ან საკმაოდ მოცულობითი. როგორც აღნიშნა აშშ-ს ერთ-ერთმა სასამართლომ, ხუმრობის სამართლებრივი დაცვა ძალიან „ვიწროა“ (იხ. **Kaseberg v. Conaco, LLC, 260 F. Supp. 3d 1229 (S.D. Cal. 2017)**).

რაც უფრო მოკლეა ხუმრობა, მით უფრო რთულია მისი დაცვა საავტორო უფლებით. მოკლე ხუმრობა შეიძლება იდეასაც შევადაროთ. საავტორო სამართალი კი არ იცავს იდეებს (იხ. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის მუხლი 5.3). ხუმრობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს ფოლკლორად, რომლის ავტორი უცნობია. შესაბამისად, ასეთ ხუმრობაზე ვერ გავრცელდება საავტორო უფლება.

ამ ბლოგს დავასრულებ საბჭოთა პერიოდის ანეკდოტით: რა განსხვავებაა დემოკრატია და დიქტატურას შორის? დემოკრატის დროს ადამიანები ხუმრობენ საკუთარ მთავრობაზე, ხოლო დიქტატურის დროს - სხვა ქვეყნის მთავრობაზე. იმედია, საქართველოში ყოველთვის იქნება შესაძლებელი საკუთარ მთავრობაზე ხუმრობა და არასდროს დაბრუნდება დრო, როდესაც პოლიტიკური ანეკდოტის მოყოლა ისჯებოდა სისხლის სამართლებრივი წესით.

ლევან ნანობაშვილი